ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრობის) ქ. № 88, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—20.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 24 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 118 (2161)

დღიური

- განაჩენი ბელორუსთა გრომადის საქმეზე.
- ვარშავაში მუშაობა დაიწყო პოლონეთ-ლიტვის კომისიამ.
- ნახევარი დღის საყოველთაო გაფიცვა შვეციაში.
- ინგლისის კომპარტიის საარჩევნო სამზადისი.
- გაიდერაბადი (ინდოეთის სამთავრო) ინგლისისაგან დამოუკიდებლობას მოითხოვს.
- ჰამბურგის ქიმიურ ქარხანაში აფეთქდა შხამიანი გაზი.—მოიწამლა 98 კაცი.
- ლორდთა პალატამ მიიღო კანონპროექტი ქალთა საარჩევნო უფლების გაფართოების შესახებ.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

ინგლისის საქმიანი წრეები საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ

კელოგის „მუდმივი მშვიდობიანობის" პროექტის დამარცხება

იაპონელები გარბიან პეკინიდან.—ინგლისი ჯარებს გზავნის ტიანცზინში

ბელორუსთა გრომადის თუ პილსუდსკის რეჟიმის გასამართლება

ურიცხვ პროცესებ შორის, რომლებიც მშრომელთა წინააღმდეგ ეწყობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, უეჭველად განირჩევა ბელორუსთა გრომადის გასამართლება, რომელიც ესაა დასრულდა.

პილსუდსკის პოლონეთის ფაშისტური რეჟიმი ერთნაირად ხასიათდება როგორც მუშათა და გლეხთა უსასტიკესი დევნით, ისე ეროვნულ უმცირესობათა უფლება-ინტერესების ფეხქვეშ გათელვით. პოლონელ კაპიტალისტებს და მემამულეთ განსაკუთრებით ყავთ ნიშანში ამოღებული უკრაინელთა და ბელორუსთა მოსახლეობა. დღეს ჩვენ ბელორუსთა ბედი გვაინტერესებს.

პოლონეთის ბელორუს მშრომელთა მასის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ფართე ხასიათი მიიღო 1925-27 წლებში. ამან გამოხატულება ჰპოვა მათ პოლიტიკურ ორგანიზაციის—„ბელორუსთა მუშურ-გლეხურ გრომადის" გრანდიოზულ ზრდაში. მისი წევრთა რიცხვი, მაგ., 1927 წ. გასულისათვის აღწევდა 160.00 კაცს. მისი გავლენა კერძოდ მძლავრი იყო სოფლად, სადაც ამავე დროისათვის მას 2.000 უჯრედი მოეპოვებოდა. ასეთი მრავალრიცხოვანი და მასიური ორგანიზაცია მეორე არ იყო პოლონეთში.

რა ამოცანებს ისახავდა „გრომადა"? ბელორუსთა სკოლის გაეროვნება (ეხლანდელი სკოლები დევნას განიცდიან პოლონეთში), ნაციონალურ უფლებების განხორციელება, მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევა და მათი გადაცემა გლეხობისათვის და სხ.—აი, რა შეადგენდა გრომადის პროგრამას და მოღვაწეობის შინაარსს.

ბელორუსთა გრომადა, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდა კომუნისტურ ორგანიზაციას — მისი მიზნები გაცილებით უფრო განსაზღვრული იყო და მოქმედების მეთოდებიც სხვაა, მაგრამ მისი არსებობა და განვითარება მაინც დიდ საფრთხეს წარმოადგენდა პოლონელ პანების ბატონობისათვის.

და იწყება გრომადის გაუგონარი დევნა. პოლიცია არბევს მის ორგანიზაციებს და მასიურად აპატიმრებს გრომადის მეთაურთ და მოწინავე ელემენტებს; მოსყიდვის თუ თვალთმაქცური დაპირებების გზით ბელორუსთა ნაციონალურ უფლებების დაკმაყოფილების შესახებ პილსუდსკის ბრბო ცდილობს გრომადის რიგების შიგნით დაშლას და სხ. მაგრამ გრომადის გასანადგურებლად პირველ ყოვლისა აუცილებელი იყო მისი ორგანიზაციული და იდეოლოგიური ცენტრის მოსპობა. ამ მიზნით პილსუდსკი აწყობს გრომადის პროცესს.

გრომადისათვის სახელის გასატეხად პილსუდსკის ხელისუფლება მის წევრებს მოსკოვის მიერ მოსყიდულ აგენტებად და ჯაშუშებად აცხადებს. მაგრამ ვინაიდან 160.000 კაცის დასმა საბრალდებულო სკამზე მოუხერხებელი იყო როგორც პოლიტიკურად (ეს სკანდალი იქნებოდა პოლონეთის სახელმწიფო რეჟიმისათვის), ისე ტეხნიკურად, შეარჩიეს უფრო აქტიური პირები, რომელნიც პოლონეთის მთავრობას ყველაზე უფრო საშიშად მიაჩნდა.

მთავარი „დამნაშავენი" იყვნენ სეიმის ბელორუსი დეპუტატები. პარლამენტის დეპუტატების ხელშეუხებლობა, როცა საქმე მშრომელთ რევოლიუციონურ წარმომადგენლებს ეხება, მხოლოდ ქაღალდზე წერია პოლონეთში. ეს ნათელყო კომუნისტ დეპუტატების ამას წინად სასამართლოსათვის გადაცემამ. უფრო წინად ეს დაადასტურა ბელორუს დეპუტატების გაცემამ მათ მიმართ სრულიად დაუსაბუთებელ ბრალდების წაყენების გამო. ორივე შემთხვევაში სეიმმა ქედი მოიხარა პილსუდსკის მათრახის წინაში და გამოაშკარავდა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის, „დემოკრატიის"—არარაობა. თვით სეიმის უმრავლესობა არა მარტო შიშის, არამედ „სინდისის" ქვეშ დათანხმდა ხსენებულ დეპუტატების გაცემაზე, ვინაიდან ის პილსუდსკიზე არა ნაკლებადაა დაინტერესებული მშრომელთა განმათავისუფლებელ მოძრაობის აღმოფხვრაში და ამისათვის მზად არის შეურიგდეს თავის უფლებების შელახვას.

ბრალდებულნი ციხეებში იჯდენ ერთ წელიწადზე მეტი საჯარო გასამართლების მოლოდინში. ხელისუფლება ეძებდა საბუთებს მათ გასამტყუნებლად. როგორც პროცესზე, ისე მანამდე ნათლად გამოჩნდა, რომ მთელი მასალა, რომელსაც უნდა დაემტკიცებია ბრალდებულთა „სახელმწიფო ღალატი" და „ჯაშუშობა" იყო მხოლოდ პოლონეთის მთავრობის აგენტების, პოლიციელების და მოსყიდულ პროვოკატორების ყალბი ჩვენებანი. არავითარი სხვა საბუთები ამ ბრალდების დასამტკიცებლად არ მოიპოვება.

გრომადის პროცესის შინაარსი და ხასიათი ამით არ ამოიწურება. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მომენტია ის, რომ მასთან დაკავშირებით წამოიჭრა პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის საკითხი. საბრალმდებლო ოქმში აღნიშნულია, რომ თითქო გრომადასთან კავშირი ქონდათ საბჭოთა კავშირის ვარშავის წარმომადგენლებს, თითქო კერძოდ ჩვენი წარმომადგენლობის ყოფილი მარჩეველი ამხ. ულიანოვი დასწრებოდეს დანციგში გამართულ გრომადის საიდუმლო კონფერენციას და მისი ხელმძღვანელობით და წინადადებით ამ კონფერენციას გამოემუშავოს ბელორუსთა აჯანყების გეგმა, აჯანყება, რომლის მიზანი ვითომდა ყოფილიყოს დასავლეთ ბელორუსიის შემოერთება საბჭოთა კავშირთან. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს პროვოკაციული ჭორია, დამყარებული პოლონეთის მთავრობის აგენტების ჩვენებაზე. ჭორი, რომელიც თავის დროზე კატეგორიულად გააბათილა ამხ. ულიანოვმა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ბრალმდებელმა პროცესზე კვლავ გაბედა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრება: „მოსკოვის მიერ მოსყიდული სეიმის დეპუტატები, რომელნიც სხედან საბრალმდებლო სკამზე, ეფარებოდნენ ხელისუფლებას, რომ მოეხდინათ პოლონეთის ლიკვიდაცია. ფარულად მოქმედებდნენ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლები"-ო. ამგვარად, პოლონეთის მთავრობა (თავისი პროკურორის სახით) ავრცელებს ზღაპარს, თითქო საბჭოთა კავშირი აგრესიულ ზრახვებს ატარებდეს პოლონეთის მიმართ. ასეთივე „ბრალდება", როგორც ვიცით, მას წამოუყენა ზალესკიმაც პოლონეთ-ლიტვის კონფერენციაზე. ასეთი გზით პოლონეთის მესვეურთ სურთ მიჩქმალონ თავისი მტრული მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოამზადონ „საზოგადოებრივი აზრი" ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად.

პოლონეთის სასამართლომ ბელორუსთა გრომადის საქმეზე უკვე გამოიტანა განაჩენი. 37 კაცს მიესაჯათ საერთოდ 209 წელი საკატორღო ციხე. მაგრამ ამ სასტიკი განაჩენით პილსუდსკი, ცხადია, ვერ შესძლებს ბელორუსთა და საერთოდ მშრომელთა ბრძოლის შენელებას განთავისუფლებისათვის. გრომადის პროცესი არსებითად გადაიქცა პოლონეთის ფაშისტური რეჟიმის გასამართლებად. პროცესმა პილსუდსკის სახელმწიფო წყობილებას უეჭველად ლახვარი ჩასცა მორალურად და პოლიტიკურად ფართე მოსახლეობის თვალში. და უეჭველია, რომ ეს პროცესი გამოსავალ წერტილად შეიქნება მშრომელ მასების მედგარი რევოლიუციონური ბრძოლისათვის.

ჩინეთი და იმპერიალისტები

იაპონელი ინტერვენტების სამხედრო მოქმედება შანდუნის პროვინციაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გადაიქცა მხოლოდ დასაწყისად უფრო ფართო იმპერიალისტური გეგმების განხორციელებისათვის. ამ ჟამად საქმე შეეხება მანჯურიას, რომელსაც იაპონიის იმპერიალიზმი უკვე დიდი ხანია სცნობს თავის განუყოფელ ნადავლად. მემორანდუმი, რომელიც იაპონელებმა გადასცეს ჩან-ძო-ლინს და მის წინააღმდეგ მებრძოლ ფინს, ჩან-კაი-შის და ენ სი შანის ჯგუფს, შეიცავს გარკვეულ გაფრთხილებას, რომ თუ „არეულობა (!) განვითარდება აგრეთვე პეკინსა და ტიანძინის მიმართულებით და მდგომარეობა გახდება იმდენად სერიოზული, რომ წარმოიშობა საფრთხე მშვიდობიანობისა და წესიერებისათვის მანჯურიაში, იაპონიის მთავრობა იძულებული შეიქნება მიიღოს სათანადო „ეფექტიური ზომები" მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცავად მანჯურიაში". თუ რას ნიშნავს „ეფექტიური ზომები" ეს საკმაოდ ნათლად გვიჩვენა ცზინანის მაგალითმა, სადაც იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქს, რომელშიაც სცხოვრობს მრავალი ათასი მშვიდობიანი მოსახლეობა. თვით ლიბერალური ინგლისური გაზეთი „მანჩესტერ გარდიენ"-იც კი, რომელიც, რასაკვირველია სცნობს, რომ იაპონელებს აქვთ ყოველგვარი უფლება „დაიცვან მოქალაქეთა სიცოცხლე და საკუთრება", გაკვრით ამბობს, რომ იაპონელთა სამხედრო სარდლობის მოქმედება თითქოს სპეციალურად იყო ნავარაუდევი იმისათვის, რომ გამოეწვია უფრო მწვავე კონფლიქტი და ამით გაემართლებია შემდეგი ულტიმატუმები და ჯარების დიდი რაოდენობით გაგზავნა ჩინეთში. ამერიკული ჟურნალი „პეკინ ლიდერი", რომელიც პეკინში გამოდის, იძულებულია აღიაროს იაპონელთა მტაცებლური ზრახვები მანჯურიაში. მეორე ამერიკული ჟურნალი პირდაპირ აცხადებს, რომ „იაპონია ხელში ჩაიგდებს მანჯურიას მაშინვე, როგორც კი ამისათვის ხელსაყრელ მომენტს გამონახავს იაპონიის გენშტაბი".

მიუხედავად იაპონიის მთავრობის მრავალჯერ განცხადებისა, რომ მას არ აქვს განზრახვა ჩაერიოს ჩინეთის შინაურ ცხოვრებაში და ნეიტრალიტეტს იცავს ჩინეთის სამოქალაქო ომში, ჩვენ ნათლად ვხედავთ აშკარა ჩარევის ფაქტს. ბრძოლამ ცზინანთან დაბანდა სამხრეთელების მნიშვნელოვანი ძალები და ჩან ძო-ლინი იმ მომენტში დაიხსნა გადამჭრელი დამარცხებისაგან. მემორანდუმი გაფრთხილებას იძლევა ახალი, კიდევ უფრო „ეფექტიური" გამოსვლის შესახებ, რომლის მიზანი იქნება დაიხსნას ჩან ძო-ლინი საბოლოო განადგურებისაგან და ამავე დროს კიდევ უფრო მტკიცედ ჩაიგდოს ხელში მანჯურია.

ცნობილმა ინგლისელმა მოღვაწემ ფრედერიკ უაიტმა ჯერ კიდევ ამას წინად ამერიკელი და ინგლისელი ბანკირების თათბირზე ხელი მოაწერა იმ დადგენილებას, რომლის თანახმად ინგლისმა და ამერიკამ დახმარება უნდა აღმოუჩინონ ჩინელ ნაციონალისტებს. მისტერ უაიტი მოუწოდებდა, რომ დაკავებულ უნდა იქნას „ცარიელი ადგილი", რომელიც მისი აზრით, დარჩა ჩინეთში ბოლშევიკების წასვლის შემდეგ და ჩინეთს უნდა აღმოეჩინოს ფართე მასშტაბის ფინანსიური დახმარება და ამ მიზნისათვის საჭირო შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას ერთა ლიგის აპარატი. „როცა ჩინელები შეიგნებენ,—ამბობდა იგი თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა ლონდონში 1928 წ. 6 მარტს.—რომ სუვერენიტეტის დაუკარგავად შეუძლიათ ისარგებლონ ერთა ლიგის დახმარებით, როცა ისინი შეიგნებენ იმ უდიდეს ცვლილებას, რომელიც მოხდა საერთაშორისო ურთიერთობაში, მაშინ ისინი დაადგებიან იმ გზას, რომელიც მუდმივ მშვიდობიანობას დაამყარებს მათ ტერიტორიაზე"-ო.

ამერიკელი ბანკირი ლამონტი, მორგანის ფირმის წევრი, დიდის თანაგრძნობით შეხვდა ამ იდეებს, ხოლო იაპონელმა ცურუმიმ ერთ-ერთ ბანკეტზე განაცხადა, რომ „იაპონია მზად არის გახდეს შემაერთებელ ძალად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის"-ო. მაგრამ სანამ მისტერ უაიტი ლამონტთან, შიფთან, ადონ ტერნერთან და ბანკების სხვა მეთაურებთან ერთად განიხილავდნენ საკითხს, იმის შესახებ, რომ „მშვიდობიანად" და „კულტურულად" გააძრონ ტყავი ჩინეთისათვის საერთაშორისო კონსორციუმებისა და ერთა ლიგის აპარატის საშუალებით, მოვლენები მაინც თავის გზით ვითარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეგრედწოდებული ნაციონალური მთავრობა მზად იყო შეთანხმებოდა უცხოეთის იმპერიალისტებს, სცენაზე გადამჭრელი ფაქტორის სახით კვლავ გამოდის ინტერვენტების ხიშტები და არტილერია. იაპონიის, „როგორც შემაერთებელი ძალის" როლი ნათლად იჩენს თავს ცზინანის ამბებში. მთელი „განათლებული" მსოფლიო, და პირველ რიგში ინგლისი და საფრანგეთი, იწონებენ იაპონიის გამოსვლას. ერთა ლიგამ, რომელსაც გულუბრყვილოდ მიმართა პროტესტით ნანკინის მთავრობამ, სრულიად დამშვიდებით გადაისროლა ეს პროტესტი ნაგვის ყუთში და თავისი მზრუნველობა ალბად გადასდო იმ დრომდე, როცა ბატონი ბანკირები მოიწვევენ მას მიიღოს მონაწილეობა ჩინეთის ექსპლოატაციაში.

შეერთებული შტატები საეჭვო დუმილს განაგრძობენ და კმაყოფილდებიან ბუნდოვანი ლაპარაკით იმაზე, რომ „ის არ სცნობს იაპონიის სპეციალურ უფლებებს მანჯურიაში". მაგრამ ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოები ენერგიულად ემზადებიან იმისათვის, რომ იარაღით დაიცვან „თავის მოქალაქეთა ინტერესები" ჩინეთის ტერიტორიაზე, ყველანი ემზადებიან ახალი ძალადობისათვის ჩინეთის ხალხის მიმართ.

ბურჟუაზიული პრესა მოუწოდებს „დაცულ იქნას" კონცესიები ტიანძინში და საელჩოს კვარტალი პეკინში. ამართლებენ რა წინასწარ იმ ტაქტიკას, რომელსაც იაპონელებმა მიმართეს შანდუნში, ყვითელი გაზეთები, როგორც, მაგალითად პარიზის „ეკო", წინდაწინვე სცდილობენ მთელი დანაშაული მოახვიონ თავზე... კომუნისტურ ელემენტებს, რომლებითაც, ვითომც სავსეა ჩან კაი-შის არმია და რომლებიც განსაკუთრებული მძულვარებით არიან გამსჭვალული უცხოელთა მიმართ. ამას სწერენ სწორედ ის გაზეთები, რომლებიც ჩან კაი-შის და ჩინეთის რევოლიუციის სხვა მოღალატეებს ამას წინად ქება-ხოტბას უძღვნიდნენ კომუნისტების მასიურად ჟლეტისათვის.

წინააღმდეგობათა ნასკვი, რომელიც ჩინეთში წარმოიშვა, სულ უფრო და უფრო მეტად იხლართება. იაპონიის მთავრობის უკანასკნელი ნაბიჯი და დანარჩენი სახელმწიფოების პოზიცია მოწმობს იმას, რომ დაიწყება უაღრესად უხეში ძალმომრეობა ჩინეთის ხალხის მიმართ. ამავე დროს ეს ამბები ქმნის საფრთხეს, რომ ყოველ მომენტში არის შესაძლო გაჩაღდეს ბრძოლა იმპერიალისტურ მტაცებელთა შორის.

საკმაოდ მძაფრია, დაჭიმულია აგრეთვე შინაური მდგომარეობა ჩინეთში. მდგომარეობის საფრთხე შეგნებული აქვთ იმპერიალისტებს. „მიმდინარე წელმა მშვიდობიანობა უნდა მისცეს ჩინეთს,—სწერს ინგლისური გაზეთი „პეკინ ენდ ტიანძინ ტაიმსი", ან აუცილებელი გახდება უსაშინელესი აფეთქება: კომუნისტებისა და ჩინეთის მემარცხენე მასების აჯანყება"-ო.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი ერთსულოვნად, მკაცრად გმობენ ძალადობის პოლიტიკას, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები მიმართავენ ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები იმაღლებენ რა თავის გამაფრთხილებელ ხმას იმათ წინააღმდეგ, ვინც სთესავს ახალი ომის თესლს შორეულ აღმოსავლეთში, მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ჩინეთის რევოლიუცია, რომელსაც ასე ბეჯითად მარხავდენ, ადრე თუ გვიან იტყვის თავის გადამჭრელ სიტყვას.

„პრავდა" 23 მაისი.

ახალი ტონი

ლონდონი, 22 მაისი. უკანასკნელ დროს ძმათა ბერრის ტრესტის გაზეთებმა იცვალეს ტონი საბჭოთა კავშირის მიმართ. ტონის ასეთ შეცვლა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტრესტის ხელმძღვანელ გაზეთებში, როგორც მაგ., „დეილი ტელეგრაფი", „სენდეი ტაიმსი" და „ფაინენშიელ ტაიმსი".

„სენდეი ტაიმს"-ში დაბეჭდილია მაკენზის წერილი, რომელიც მეტად კეთილსასურველი ტონით არის დაწერილი საბჭოთა კავშირის მიმართ. მაკენზი აღნიშნავს, რომ ვაჭრობა საგრძნობლად ზარალობს იმის გამო, რომ ნორმალური ურთიერთობა არ არსებობს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

შოტლანდიის საქმიანი წრეების წარმომადგენელმა სტივენსონმა „სენდეი ტაიმს"-ში მოათავსა წერილი, რომელშიაც უერთდება მაკენზის თვალსაზრისს. (სტივენსონი არის ქვა-ნახშირის მრეწველობის წარმომადგენელი). თავის წერილში იგი სხვათა შორის სწერს:

„დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტამ ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის უდიდესი ზიანი მიაყენა ვაჭრობას, რომელშიაც ორივე მხარე არის დაინტერესებული".

სტივენსონის აზრით, ახლო მომავალში განახლდება საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკება, რომელიც შეეხება რუსეთის ვალების დაფარვა და საბჭოთა კავშირისათვის ახალი სესხის მიცემას საფრანგეთის მიერ.

„ამას წინად მე ვიყავი პარიზში,—სწერს სტივენსონი,—სადაც ერთმა მეტად ავტორიტეტულმა პირმა მაცნობა, რომ არამც თუ კეთილსასურველი პერსპექტივები არსებობს საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების დარგში, არამედ რუსეთი ყოველთვის იყო მზად და ეხლაც მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება ინგლისთან ამ ნიადაგზე". (ადს).

კელოგი მალავს თავის დამარცხებას

ნიუ-იორკი, 22 მაისი. კელოგმა გაუგზავნა ავსტრიას, კანადას, ირლანდიას, ახალ ზელანდიას, სამხრეთ-აფრიკის კავშირს და ინდოეთს ნოტები, რომლებშიაც, ჩემბერლენის სურვილის თანახმად, სთხოვს მათ მონაწილეობა მიიღონ ომის უარმყოფელ ყოველმხრივ ხელშეკრულებაში. სახელმწიფო დეპარტამენტში კელოგის ნოტას დამაკმაყოფილებლად სთვლიან, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის, საფრანგეთის და პოლონეთის შენიშვნები აქარწყლებენ კელოგის პროექტს. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ კელოგი პრეზიდენტის არჩევნების გამო ცდილობს დამალოს თავისი დამარცხება. ამავე წრეებში აღნიშნავენ ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების მარცხს მანჯურიაში, სადაც „იაპონიამ ჩაჰკეტა გაღებული კარი", და ნიკარაგუაში, სადაც სანდინო წარმატებით ებრძვის ამერიკის ჯარებს. ეს მომენტები აფუჭებს კულიჯის საგარეო პოლიტიკის შედეგებს, რის გამო კელოგისათვის საჭიროა ისე დახატოს საქმის ვითარება, ვითომც მოლაპარაკება მუდმივი მშვიდობიანობის შესახებ წარმატებით მიმდინარეობდეს. (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

იაპონელები პეკინს სტოვებენ

პეკინი, 22 მაისი. პეკინში მცხოვრებ იაპონელთა ოჯახების ერთმა მესამედმა უკვე დასტოვა ქალაქი. მათ შორის არის იაპონიის პეკინელი ელჩის ოჯახი და იაპონიის მისიის სხვა წევრთა ოჯახები. (ადს).

პროტესტი ყუმბარების ჩამოყრის წინააღმდეგ

შანხაი, 22 მაისი. ნანკინის მთავრობამ იაპონიის კონსულს ენერგიული პროტესტი განუცხადა იმის გამო, რომ იაპონიის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ტაიანში. (ადს).

იაპონელთა ადმინისტრაცია

შანხაი, 22 მაისი. ცზინან-ცინდაოს რკინის გზაზე მგზავრობა განახლდა; რკინის გზის მთელი ადმინისტრაცია შეცვლილია იაპონელებით. (ადს).

იაპონელები მანჯურიაში

პეკინი, 22 მაისი. „ტა-კუნ-ბაო" იუწყება: პეკინის გზათა სამინისტრომ იაპონიასთან ხელშეკრულება დასდო ორი რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის შესახებ მანჯურიაში. მაგრამ გზათა მინისტრის თანამდებობის ამსრულებელი ჩან ცინ-ხუაი არ სცნობს შეთანხმებას, რომელიც დადებულ იქნა მისი სხვაგან ყოფნის დროს. (ადს).

ნანკინის მთავრობის ცნობისათვის

შანხაი, 22 მაისი. გომინის დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს თავის ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ, რომ კონგრესის დეპუტატმა ბლეკმა დეპუტატთა პალატაში შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც წინადადებას აძლევს ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ მან აღიაროს ნანკინის მთავრობა ჩინეთის მთავრობად და დაუყოვნებლივ შეუდგეს არსებულ ხელშეკრულებათა გადათვალიერების საკითხის განხილვას.

სტუდენტთა ორგანიზაციების დაშლა

პეკინი. 22 მაისი. პეკინის ხელისუფლებამ ხელახლა გამოსცა ბრძანება სტუდენტთა ორგანიზაციების დაშლისა და ანტიიაპონიური დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ. დაპატიმრებულია მრავალი სტუდენტი—გომინდანელი. (ადს).

ჩინელებს თავისი ანაბარი გააქვთ

შანხაი, 22 მაისი. შანხაის იაპონიური ბანკებიდან ჩინელებმა გამოიტანეს თავისი ანაბარი—10 მილიონი დოლარი.

კანტონში ჩინელებმა მთელი თავისი ანაბარი გაიტანეს ბანკებიდან. (ადს).

„ფორვერტსი" სპეკულიაციას ეწევა

ბერლინი, 22 მაისი. 21 მაისს საღამოთი ჰამბურგის ჰოსპიტალებში მიიყვანეს ფოსგენით (შხამიანი გაზი) მოწამლული 98 ავადმყოფი. მასიური მოწამვლა გამოიწვია გაზსაცავის აფეთქებამ ქიმიურ ქარხანაში. ჰამბურგის გარე-უბნის—ვილგელმსბურგის საავადმყოფოებში მიიყვანეს 30 მოწამლული მუშა.

„ფორვერტსი" აფეთქებას იყენებს იმ მიზნით, რომ გააჩაღოს ისეთივე კამპანია, როგორიც იყო კამპანია ეგრედწოდებული „საბჭოთა ყუმბარების" შესახებ. გაზეთი ამტკიცებს, რომ შტოლცენბერგის ფირმამ შხამიანი გაზების ქარხანა ააშენა საბჭოთა კავშირისათვის.

„ფორვერტს"-ის „მხილებაში" აშკარად იჩენს თავს მისწრაფება, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს უჩვენოს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის როგორც მომავალი მთავრობის პარტიის „ლოიალობა" და ანტისაბჭოთა ორიენტაცია.

საბჭოთა ნავთი ინგლისში

საბჭოთა ბენზინი ლონდონში.

ლონდონი, 22 მაისი, რეიტერის სააგენტო იუწყება:

თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვაზე ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა: ინგლისსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში შეტანილი რუსული ბენზინი 1926 წლის პირველ კვარტალში უდრიდა 7.520.000 გალონს, 1927 წლის პირველ კვარტალში 7.514.000 გალონს და 1928 წ. პირველ კვარტალში 8.113.000 გალონს (ადს).

ლონდონი, 22 მაისი. მას შემდეგ, რაც ახალი გადასახადი იქნა შემოღებული ბენზინზე, **ძლიერ იზრდება საბჭოთა ნავთის პროდუქტებით ვაჭრობა ინგლისში.** საბჭოთა ნავთის ზოგიერთ საწყობებში ვაჭრობა გაიზარდა 100 პროცენტით (ადს).

ინგლისის კომპარტია ემზადება არჩევნებისათვის

ლონდონი, 22 მაისი. ინგლისის კომპარტიის ორგანოში „უორკერს ლაიფ"-ში გამოქვეყნებულია ცნობები იმ ზომების შესახებ, რომლებიც პარტიამ მიიღო საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით. ყველა საარჩევნო ოლქებში განზრახულია მოწვეულ იქნას ადგილობრივი მუშათა ორგანიზაციების კონფერენციები კანდიდატების დასახელებისათვის მომავალ საპარლამენტო არჩევნებში. კონფერენცია ჩატარდება ნამდვილი მუშათა კანდიდატების არჩევის ლოზუნგით.

უახლოეს ხანში გაიმართება ორი კონფერენცია სამხრეთ უელსში და შოტლანდიაში. (ადს).

არჩევნები გერმანიაში

ბრაუნი—კანდიდატი რეიხ კანცლერის თანამდებობაზე

ბერლინი, 22 მაისი. პოლიტიკურ წრეებში სერიოზულად ფიქრობენ, რომ გერმანიის ახალ მთავრობის შედგენა დაევალება პრუსიის მთავრობის პრემიერს—ბრაუნს, რომელიც კვლავ დარჩება პრუსიის პრემიერის თანამდებობაზედაც. ამგვარად, თუ ბრაუნს დაევალა გერმანიის მთავრობის შედგენა, განხორციელდება გერმანიის ნაციონალისტების მიერ საარჩევნო კამპანიის დროს წამოყენებული მოთხოვნილება, რომ ერთი პირი ასრულებდეს სრულიად გერმანიის და პრუსიის მთავრობის მეთაურის ფუნქციებს.

პოლონეთ-ლიტვის კომისია

ვარშავა, 22 მაისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

ვარშავაში, ეკონომიური, სამიმოსვლო და სატრანზიტო საკითხების განმხილველი პოლონეთ-ლიტვის კომისიის სხდომების დაწყების გამო გაზეთი „ეპოკა" (ოფიციოზი) აღნიშნავს, რომ ვარშავაში ლიტვის დელეგაციის მოსვლას სიამოვნებით ეგებება პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი, რომლისთვის ძვირფასია მოძმე ლიტველი ერის დამოუკიდებლობა. საკითხებს, რომლებიც მოლაპარაკების საგანს შეადგენენ, დიდი მნიშვნელობა აქვთ ორივე სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის.

დასასრულ გაზეთი მხურვალე სალამს უძღვნის ლიტვის დელეგაციას. (ადს).

პოლონეთის მენშევიკების ფაშისტური გადაგვარება

ვარშავა, 22 მაისი. კიდევ ერთი საბუთი მიემატა იმ დოკუმენტებს, რომლებიც ამხელენ პოლონეთის სოციალისტურ პარტიას და ფაშიზმის პარტიად ახასიათებენ. ჟურნალ „თავისუფალ ცხოვრებაში" პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრმა, „რაბოტნიკის" თანამშრომელმა **მინკევიჩმა** გამოაქვეყნა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტისადმი მიმართული ღია წერილი. წერილის სათაურია: „დროა ამოიწყვას იავოროვსკის მუწუკი", მინკევიჩი აცხადებს:

„მეტი დუმილი შეუძლებელია. გახრწნის შხამი პოლონელ სოციალისტური პარტიის ორგანიზმს ღრღნის. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ვარშავის ორგანიზაცია ხელში ჩაიგდო იმ პირთა ჯგუფმა, რომლებიც მოკლებული არიან მორალურ და სულიერ კულტურას. ჯგუფის სათავეში სდგას იავოროვსკი, რომელიც თავისი ხარბი თათებით ჩაებღაუჭა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობას. იგი დეპუტატია, ქალაქ ვარშავის პრეზიდენტი და პარტიის საოლქო კომიტეტის წევრი. სეიმის და სენატის არჩევნების შემდეგ, რომელიც პარტიისათვის კატასტროფიული გამოდგა, აღარ შეიძლება დავმალოთ, რომ მუშათა ვარშავაში იავოროვსკის 10 წლის პოლიტიკამ დააკარგვინა პოლონეთის სოციალისტურ პარტიას პოლიტიკური გავლენის ორი მესამედი და დააშორა მუშები სოციალისტურ მოძრაობას. 1-ლ მაისის სისხლის ღვრელი ამბების შემდეგ რამდენიმე რაიონმა პროტესტი განაცხადა იავოროვსკის ჯგუფის პოლიტიკის წინააღმდეგ. არ შეიძლება ხმა მაღლა გამოითქვას არც ერთი ეჭვი იავოროვსკის საქციელის შესახებ, ვინაიდან მაშინვე ჩაგვთვლიან აშკარა ბოლშევიკად და გვითვალთვალებენ, როგორც გადამდებ სენს.

ვარშავის პარტიული კომიტეტის შენობაში სისტემატიური ლოთობის (რომელსაც ხელს უწყობს იავორსკი) კრიტიკის თავიდან ასაცილებლად, პარტიის შენობაში შესვლა აკრძალულია.

ფაშიზმის ატმოსფეროთ იჟღინთება ნაწილი სტუდენტობისა, რომელსაც ხშირად აქვს საქმე იავოროვსკისთან. ასეთია შემზარავი სინამდვილე და პოლ. სოციალისტური პარტიის ვარშავის კომიტეტის არავითარი ანტიბოლშევიკური ყიჟინა, არავითარი თვალთმაქცი რეზოლიუციები ვერ შეანელებენ ამ სამარცხვინო ფაქტს".

მინკევიჩი მოითხოვს, რომ ეს საკითხები მორიგი პარტიული ყრილობის დღის წესრიგში დაისვას, ამ წერილს მინკევიჩი ფურცლის სახით ავრცელებს მუშათა რაიონებში. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რაბოტნიკი" ჯერ-ჯერობით სდუმს ამის შესახებ. (ადს).

შეკითხვა შვეციის სენატში

სტოკჰოლმი, 22 მაისი. სენატორმა იუნგლუნდმა (რეაქციონური გაზეთის რედაქტორმა) გარეშე საქმეთა მინისტრს სენატში შეკითხვა მისცა იმ განსაკუთრებულ უფლებათა შესახებ, რომლებიც საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლებს ენიჭება სტოკჰოლმში, და კერძოდ ექსტერიტორიალობის უფლების მინიჭების შესახებ.

იუნგლუნდის შეკითხვა გამოწვეულია იმით, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შვეციაში კოპპი სავაჭრო წარმომადგენლობის აივანიდან უყურებდა საპირველმაისო დემონსტრაციას სტოკჰოლმში.

გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი" მკაცრად აკრიტიკებს შეკითხვას და ხაზს უსვამს იმას, რომ კოპპის მოქმედება სავსებით დასაშვები იყო. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ იუნგლუნდი ცილისწამების საშუალებით სცდილობს აღძრას ეჭვი სავაჭრო წარმომადგენლობის ტელეფონზე მომუშავე ქალის წინააღმდეგ, რომ ვითომც მან მონაწილეობა მიიღო ანტი-რელიგიური პლაკატის დამზადებაში, რომელსაც პოლიციამ კონფისკაცია უყო.

„შვეციის არც ერთი პასუხისმგებელი მთავრობა,—სწერს დასასრულ გაზეთი,—არ დასთანხმდება იუნგლუნდის მოთხოვნილებაზე, რომ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობას წაერთვას დიპლომატიური ხელშეუხებლობის უფლება" (ადს).

ავღანისტანის ფადიშაჰი ანგორაში

ანგორა, 22 მაისი, ავღანისტანის ფადიშაჰმა მიიღო დელეგაცია ანგორის ქალაქის თავის მეთაურობით. დელეგაციამ ფადიშაჰს საჩუქრები მიართვა. ფადიშაჰმა აღნიშნა დიდი წარმატება ქალაქ ანგორის რეკონსტრუქციის საქმეში. ავღანისტანის ფადიშაჰმა დაათვალიერა ჩენკაიარის საავარაკო ადგილი და დაესწრო დარბაზობას, რომელიც მის პატივსაცემად გამართა მეჯლისის თავმჯდომარემ. 22 მაისს, საღამოთი, ფადიშაჰმა გამართა დიდი ბანკეტი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ქემალ ფაშას პატივსაცემად (ადს).

ს.-დემ. შეკითხვა სეიმში

რიგა, 22 მაისი. სოციალ-დემოკრატებმა სეიმში შეიტანეს შეკითხვა იმის შესახებ, რომ „მთავრობა სდევნის მემარცხენე პროფკავშირებს და თანაგრძნობით ეპყრობა ფაშიზმს"

მთავრობის პასუხს შეკითხვაზე მოელიან ამ დღეებში. (ადს).

ქალთა საარჩევნო უფლების გაფართოვება

ლონდონი, 22 მაისი. მეორედ წაკითხვის შემდეგ ლორდთა პალატამ 114 ხმით წინააღმდეგ 35 ხმისა მიიღო კანონპროექტი ქალთა საარჩევნო უფლების გაფართოვების შესახებ (ადს).

საბჭ. ფილმების დაკავება

ლონდონი, 22 მაისი გაზეთების ცნობით, ინგლისის საბაჟო მმართველობის წარმომადგენლებმა დაიჭირეს და სკოტლენდ იარდის საგანგებო განყოფილებას გადასცეს ორი ყუთი ფილმები, რომლებიც გერმანიიდან საჰაერო ფოსტით მოვიდა „საბჭოთა კავშირის მეგობართა ინგლისური საზოგადოების" სახელზე.

საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების მდივანმა ბერნსმა განაცხადა, რომ ყუთებში იყო საბჭოთა ფილმები, რომლებიც თან წაიღო ინგლისის მუშათა დელეგაციამ საბჭოთა კავშირიდან, სადაც იგი გაემგზავრა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე.

განაჩენი ბელორუსთა გრომადის საქმეზე

ვილნო, 22 მაისი. გამოქვეყნებულია განაჩენი ბელორუსთა გრომადის საქმეზე. 56 ბრალდებულიდან 37 ცნობილ იქნა დამნაშავედ იმ შეთქმულობის მზადებაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა აღმოსავლეთის რაიონების მოწყვეტა პოლონეთისაგან. ბრალდებულ დეპუტატებს **ტარაშკევიჩს, მეტლას, ვოლოშინს** და **რაკ-მიხაილოვსკის** მიუსაჯეს საკატორღო მუშაობა 12 წლით თითო, გრომადის გენერალურ მდივანს **ბუსევიჩს** და გრომადის იურისკონსულტს საკატორღო მუშაობა რვა-რვა წლით, 8 ბრალდებულს მიუსაჯეს საკატორღო მუშაობა ექვს-ექვსი წლით, 9 ბრალდებულს—ხუთ-ხუთი წლით, 10 ბრალდებულს—ოთხ-ოთხი წლით, 4 ბრალდებულს—სამ-სამი წლით. 15 ბრალდებული გამართლეს. გამართლებულთა შორის არიან ბელორუსული გიმნაზიის დირექტორი **ოსტროვსკი**, ბელორუსის ცნობილი მოღვაწე **ლუცკევიჩი** და მღვდელი კოვში. ამგვარად, 37 კაცს საერთოდ მიუსაჯეს 209 წლით საკატორღო მუშაობა.

ბრალდებულებმა დამშვიდებულად მოისმინეს განაჩენი. დამსწრე ხალხიდან ბრალდებულებს ესროლეს ყვავილები. ბრალდებულებმა დაიწყეს ბელორუსული რევოლიუციონური ჰიმნის სიმღერა. თავმჯდომარემ გასცა განკარგულება, რათა ბრალდებულნი და ხალხი გაეყვანათ დარბაზიდან.

განაჩენმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. არავინ არ მოელოდა ასეთ მკაცრ განაჩენს. დეპუტატებს ყველაზე უფრო სასტიკი განაჩენი გამოუტანეს (მე-102 მუხლით გათვალისწინებული სასჯელი). დანარჩენებს გამოუტანეს იმავე მუხლის სხვა პუნქტებით გათვალისწინებული სასჯელი.

მეფის კანონი „დემოკრატიულ" პოლონეთში

დეპუტატ ბაჩინსკის გადაცემა სასამართლოსათვის

ვარშავა, 22 მაისი. სეიმის პლენალურ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვით კომუნისტი დეპუტატი ბაჩინსკი გადაეცემა სასამართლოს.

ბაჩინსკის გადაცემას ხმა მისცა 161 დეპუტატმა, წინააღმდეგ—145 დეპუტატმა. მოხსენება სეიმის კომისიის სახელით გააკეთა პეპესოველმა დეპუტატმა კუშაკმა.

„სასამართლო,—განაცხადა კუშაკმა,—ბაჩინსკის გადაცემას მოითხოვს მეფის დროის სისხლის სამართლის კოდექსის მე-102 მუხლის ძალით. სასამართლოს გამომძიებელი აცხადებს, რომ ბაჩინსკი ეკუთვნის იმ პარტიას, რომელიც სცდილობს არსებული წყობილების დამხობას, ე. ი. კომპარტიას. ბაჩინსკის წინააღმდეგ ბრალდების აღძვრის საბაბია ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის 10 წლის არსებობის იუბილეს დროს, მას ჩაბარეს წითელი დროშის ორდენი ციხეში მყოფ დეპუტატ ლანცუცკისათვის გადასაცემად. ბაჩინსკიმ მაშინ ვოროშილოვს მადლობა გადაუხადა პოლონეთის პროლეტარიატის სახელით. საბჭოთა კავშირიდან ჩამოსვლის შემდეგ ბაჩინსკი მოგზაურობდა დომბროვის ქვა-ნახშირის რაიონში და აკეთებდა მოხსენებებს საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

კომისია დარწმუნდა, რომ ბრალდება ბაჩინსკის წინააღმდეგ, დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ პოლიციის ცნობებზე. ეს ცნობები, კომისიის აზრით, არ არის საკმაო დანაშაულის დასამტკიცებლად. კომისიას სურს გაიგოს—არის თუ არა კომპარტია არალეგალური, ვინაიდან არ არსებობს იურიდიული აქტი, რომელიც ამტკიცებდეს, რომ კომპარტია არალეგალურია. კომისიამ უარჰყო წინადადება ბაჩინსკის გადაცემის შესახებ".

ბაჩინსკის გადაცემის წინააღმდეგ შემდეგ გამოვიდნენ უკრაინის სახალხო-დემოკრატიული გაერთიანების წარმომადგენელნი და კომუნისტი დეპუტატი სიპულა.

როცა სეიმი იხილავდა ბაჩინსკის სასამართლოსათვის გადაცემის საკითხს, ბაჩინსკი არ იმყოფებოდა სეიმის სხდომაზე. (ადს).

მუშათა ბრძოლა

ნახევარი დღის საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

სტოკჰოლმი, 22 მაისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება: **22 მაისს მთელ შვეციაში დაიწყო ნახევარი დღის საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა მთავრობის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც აკანონებს იძულებით არბიტრაჟს სამრეწველო კონფლიქტების დროს.** ბრძანება გაფიცვის დაწყების შესახებ გასცეს სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა. სტოკჰოლმის ქუჩებზე პარლამენტის შენობის წინ ჩაიარა რამდენიმე დიდმა პროცესიამ, რომლებსაც წინ მიუძღოდა ორკესტრები და წითელი დროშები. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და შრომის მინისტრს წარუდგნენ სოციალისტებისა და კომუნისტების დელეგაციები და გადასცეს საპროტესტო რეზოლიუციები. პრემიერმა უპასუხა დელეგაციებს და განუცხადა, რომ მთავრობა ვერ შესცვლის თავის თვალსაზრისს კანონპროექტის შესახებ. გაფიცვისა და დემონსტრაციების დროს წესრიგი არსად არ დარღვეულა, არც დედაქალაქში და არც პროვინციაში, სადაც დემონსტრაციები აგრეთვე ძლიერ მრავალრიცხოვანი იყო. (ადს).

თანაგრძნობის საყოველთაო გაფიცვა.

ნიუ-იორკი, 22 მაისი. არგენტინის ქალაქს როზარიო-რიოში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა ნავთსადგურის გაფიცულ მუშებისადმი თანაგრძნობის გამოსახატავად. ტრამვაის მუშაობა ქალაქში შეჩერებულია. ვაჭრობა შეწყვეტილია. სამხედრო ნაწილები დაეცნენ გაფიცულთა დემონსტრაციას. მოკლულია ორი მუშა, ბევრი დაჭრილია.

სანტა-ფეს ნავთსადგურში გამოცხადდა თანაგრძნობის ასეთივე გაფიცვა

საფრანგეთის სოციალისტების ყრილობის წინ

პარიზი, 22 მაისი. მომავალ ყრილობასთან დაკავშირებით ფართოვდება ბრძოლა სოციალისტური პარტიის შიგნით. მემარცხენეთა ორგანო „ეტენსელ"-ში გამოქვეყნებულია რეზოლიუციის პროექტი, რომელსაც მემარცხენენი წარადგენენ ყრილობაზე. რეზოლიუცია ილაშქრებს ყველა იმ ცდების წინააღმდეგ, რომლებსაც მიზნად აქვს დაფარონ კლასთა ანტაგონიზმი ბურჟუაზიულ პარტიებთან დაახლოების მიზნით და გმობს „მთავრობის მიმართ მხარის დაჭერისა ან ნეიტრალიტეტის პოლიტიკას".

პარტიის საერთაშორისო ამოცანათა დარგში **რეზოლიუცია აუცილებლად სთვლის ბრძოლას ომის საფრთხესთან და გადაჭრით მხარის დაჭერას საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური მთავრობის მიერ წამოყენებული წინადადებებისათვის"** (ად).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი გორკის მოლოდინში

მოსკოვი, 23 მაისი. ბერლინიდან მიღებულია ცნობა რომელიც ადასტურებს წინანდელ ცნობას გორკის ჩამოსვლის შესახებ მოსკოვში 30 მაისს.

პროფესიონალურ კავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭო ამზადებს პროგრამას მ. გორკის საზეიმო შეხვედრისათვის. სადგურზე გორკის შეხვდება საგუბერნიო პროფსაბჭოს და ფაბრიკა ქარხნების დელეგაცია. ჩამოსვლის დღის პირველ საღამოსვე პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭო გამართავს პლენუმის საზეიმო სხდომას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მაქსიმ გორკი. პლენუმის სხდომა მთლიანად მიეძღვნება გორკის ლიტერატურულ დამსახურების დახასიათებას და მოგონებებს მწერლის წარსული ცხოვრებიდან.

ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის საქმე

განაჩენი

მოსკოვი, 23 მაისი. თავის საბოლოო სიტყვაში ბრალდებულ ალტშულერმა, ანოხინმა და ავრუშჩენკომ თავი დამნაშავეთ იცნეს.

მოსკოვის საგუბერნიო სასამართლომ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გამოიტანა განაჩენი, რომელიც დადასტურებულად აღიარებს ისლამოვის ქალის გაუპატიურების ფაქტს. განაჩენში ნათქვამია, რომ ალტშულერმა, ანოხინმა და ავრუშჩენკომ წინასწარი შეთანხმებით შეიტყუეს სასტუმროში ისლამოვის ქალი ლიტერატურული საღამოს მოწყობის საბაბით, დაათვრეს იგი და ამის შემდეგ რიგ-რიგობით გააუპატიურეს.

ბრალდებულებს განაჩენი სცნობს სოციალურად განსაკუთრებით მავნებლად.

სასამართლომ მიუსაჯა ალტშულერს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ავრუშჩენკოს 4 წლით, და ანოხინს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა უფლებების ახდით. განაჩენმა დამსწრე მუშებში დიდი კმაყოფილება გამოიწვია, აუდიტორია აპლოდისმენტებით შეხვდა სასამართლოს დადგენილებას.

რამდენი პროცენტით არის გასაღებული საგლეხო სესხი ამიერ-კავკასიაში.

მოსკოვი, 23 მაისი. საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა ცნობები იმის შესახებ, თუ საბჭოთა კავშირის რომელ რაიონში, როგორ მიმდინარეობს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის გასაღება.

აღნიშნულ ცნობების თანახმად ამიერ-კავკასიაში გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი გასაღებულია 95,2 პროცენტის რაოდენობით.

ელექტრო-ტეხნიკის საერთაშორისო გამოფენა შესდგება მოსკოვში.

მოსკოვი, 23 მაისი. გადაწყვეტილია ელექტრო-ტეხნიკის საერთაშორისო გამოფენა მოეწყოს მოსკოვში მომავალ 1929 წელს.

შახტის პროცესის გარშემო.

მოსკოვი, 23 მაისი. გაზეთ „იზვესტია"-ში მოთავსებულია საუბარი შახტის მაღაროების მუშათა დელეგაციებთან იმის შესახებ, თუ რა პირობებში მიმდინარეობდა მუშაობა აღნიშნულ მაღაროებში კონტრ-რევოლიუციონერთა შეთქმულების აღმოჩენამდე.

მუშა გორნოსტაევი ამბობს, რომ ბრალდებული კოლოდუბი „დამსახურებული" შავრაზმელია. 1905 წელში, როცა დონბასის მაღაროების მუშებმა წამოაყენეს მოთხოვნილება 8 საათის სამუშაო დღის შესახებ, კოლოდუბმა მოიწვია მაღაროებში კაზაკების რაზმები და მათი საშუალებით გაამათრახა მოწინავე მუშები.

მუშა ბეზზუბოვი აცხადებს, რომ ბრალდებულ შადლუნის უხეშ მოპყრობას მუშებისადმი საზღვარი არ ქონდა. მაღაროებში შექმნილ რეჟიმის გამო, ჩამკვდარი იყო ყოველგვარი საზოგადოებრივი მუშაობა. საწარმოო თათბირებზე, მაგალითად, ცხადდებოდა 20 კაცი, ეხლა კი 400 მეტი ესწრება ყოველთვის.

ბიბლიოთეკა

შახტის კონტრ-რევოლიუციონერების გასამართლება

ბერეჟკოვსკის დაკითხვა

მოსკოვი, 23 მაისი. შახტის პროცესის 22 მაისის დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ ბერეჟკოვსკის დაკითხვა. *)

დაკითხვას აწარმოებს გორლეცკის დამცველი მალიანტოვიჩი. მალიანტოვიჩის კითხვებზე ბერეჟკოვსკი უპასუხებს, რომ გორლეცკის ის დიდი ხანია იცნობს. მასში გაკვირვება არ გამოუწვევია გორლეცკის წერილს, რომელშიაც უკანასკნელი წინადადებას აძლევდა ბერეჟკოვსკის შესულიყო კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციაში. ეს წერილი ბერეჟკოვსკიმ მიიღო მას შემდეგ, რაც მან შადლუნთან უკვე მიაღწია შეთანხმებას ორგანიზაციაში მუშაობის შესახებ.

დამცველი ეხება მთელ რიგ მომენტებს, რომლებიც დაკავშირებულია ბერეჟკოვსკის მუშაობასთან მაღაროებში. ბრალდებული ჯერ მუშაობდა „დონუგოლის" გამგეობაში, ხოლო იქედან გადავიდა შჩერბინოვკის რაიონში მას არ ახსოვს, რომ ის ოდესმე „ტანკით" გამოეგდოთ მუშებს მაღაროებიდან. განმეორებით შეკითხვაზე კონტრ-დაზვერვაში სამსახურის შესახებ ბერეჟკოვსკი კვლავ უპასუხებს, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონია კონტრ-კონტრ-დაზვერვასთან. ერთ-ერთი დამცველი შორის, უბრუნდება საკითხს სკაჩინსკის მაღაროს შესახებ და ცდილობს გამოარკვიოს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ბრალდებულის მიერ წარმოებული საზიანო მუშაობა. ბერეჟკოვსკის პასუხიდან აშკარად სჩანს, რომ ორგანიზაციის მუშაობა სკაჩინსკის მაღაროში არ ყოფილა საზიანო მუშაობა ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. ის მხოლოდ აფერხებდა მაღაროს გათხრას, აფერხებდა როგორც ადგილზე, ისე ცენტრში. მაგრამ ესეც, რასაკვირველია, უდიდეს ზარალს აძლევდა საბჭოთა ქვანახშირის მრეწველობას.

კითხვაზე, თუ როგორ კეთდებოდა ეს, ბერეჟკოვსკი უპასუხებს.

„განზრახ ფერხდებოდა მაღაროს მოწყობის პროცესი. მეტად ნელი ტემპით სწარმოებდა მუშაობა ქვაბების და საჩაჩავების დასადგმელად და შენობების ასაგებად, რაც აგვიანებდა თვით მაღაროს გათხრას". პირობები რომლებშიაც სწარმოებდა მუშაობა სკაჩინსკის მაღაროში და მუშების რიცხვი ამ მაღაროში, ყველაფერი ეს, ბერეჟკოვსკის სიტყვით, ეჭვს გარეშეა, ხელს უწყობდა პროექტის განხორციელების შეფერხებას.

კითხვაზე, ეთანხმებოდა თუ არა სკაჩინსკის მაღაროს გათხრის დაგვიანება საზღვარ გარეთიდან მიღებულ დირექტივებს, ბერეჟკოვსკი უპასუხებს: ეთანხმებოდა. რადგან მაღაროს გათხრის შეფერხება და დაგვიანება მიზნად ისახავდა მაღაროს ღირებულების შენარჩუნებას, მაშასადამე ეს იყო გორლეცკისაგან მიღებულ დირექტივის შესრულება, რახან ამ დაგვიანებას ხელს არ უშლიდა ხარკოვის ცენტრი, მაშასადამე ის ეთანხმებოდა მთავარ დირექტივის შესრულებას".

ბერეჟკოვსკის შემდეგომი ჩვენებიდან წარმოიშვა კითხვა, რომელიც ერთნაირად აინტერესებდა დამცველებს და სასამართლოს წევრებს: სწარმოებდა თუ არა საზიანო მუშაობის გეგმის წინასწარი დამუშავება ადგილობრივ ორგანიზაციაში, თუ ეს მუშაობა ცალკე პირთა სურვილზე იყო დამოკიდებული?

„არა—ამბობს ბერეჟკოვსკი—წინასწარ გეგმებს ორგანიზაცია არ ადგენდა".

რატომ არ ადგენდა ასეთ გეგმებს?—ეკითხება მას ვიშინსკი.

„იმიტომ,—უპასუხებს ბერეჟკოვსკი, რომ წინდაწინვე არ შეიძლებოდა გადაჭრა საკითხის, თუ სად და რა უნდა გაფუჭდეს. ასეთი საკითხი მოულოდნელად სდგებოდა. აი, მაგალითად, როცა ჩვენ ვაწარმოებდით პატარა მაღაროების გათხრას, გამოირკვა, რომ არსებობს ზიანის მიყენების ერთგვარი შესაძლებლობა, რასაც ჩვენ ვანხორციელებდით. საკითხს საზიანო მუშაობის შესახებ, რასაკვირველია, ვიხილავდით. იყო ლაპარაკი. ვსახავდით განსაზღვრულ ობიექტებს საზიანო მუშაობისათვის. ორგანიზაცია იძლეოდა მითითებებს, იყო დირექტივა; დეტალები და გეგმა, როგორ და რა უნდა გაკეთებულიყო, არ ყოფილა. დონეც-გრუშევსკის რაიონში მაღაროები იმდენად მრავალრიცხოვანი და გაფანტულია, რომ იქ კალგანოვს მიცემული ჰქონდა უფლება თვით დაესახა საზიანო მუშაობის კონკრეტული პროგრამა და შემდეგ გაეკეთებია მოხსენება, თუ რა გააკეთა მან ამ მიმართულებით.



დამცველები: ზევიდან ქვეით—დობრინინ, ლ. გ. პიატეცკი—შაპირო, ა. ა. ლევენპერგი, კოროლენკო, ა. მ. რიაზანსკი.

—:—

სასამართლოს წევრი ანტონოვ-სარატოვსკი სვამს კითხვას, როგორ იყო მოწყობილი დამზიანებლების ორგანიზაცია.

„რამდენადაც მე მესმის,—ამბობს ამხ. ანტონოვი,—თქვენი ორგანიზაციის კონსპირატიული სტრუქტურა ასეთი იყო: მოსკოვის ცენტრი, ხარკოვის ცენტრი, რაიონული ცენტრები, ცენტრების კავშირი ადგილებთან. მაგალითად, ხარკოვის ორგანიზაციის აგენტი განსაზღვრულ რაიონში არის გორლეცკი. თავის მხრივ გორლეცკის ჰყავს აგენტი ბერეჟკოვსკი, რომელსაც სხვა არავინ არ უნდა იცნობდეს. ბერეჟკოვსკის ჰყავს თავისი აგენტი. ამას იცნობენ მის ხელქვეით მყოფნი.

ყველა ამ კითხვებზე ბერეჟკოვსკი დადასტურით უპასუხებს.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი შეინი ბერეჟკოვსკის აძლევს კითხვას, თუ როგორი იყო საზიანო მუშაობისადმი დამოკიდებულება იმ საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკების მხრივ, რომელნიც არ შედიოდნენ ორგანიზაციაში.

ბერეჟკოვსკი უპასუხებს, რომ საზიანო მუშაობის ფაქტები შეიძლება სრულიად შეუმჩნეველი ყოფილიყო იმათთვის, ვისაც არ ჰქონდა კავშირი ორგანიზაციასთან.

საზოგადოებრივ ბრალმდებელს ბრინქოს სურს გამოარკვიოს, რამდენათ დაკავშირებულია დაბრკოლებები სამთამადნო მრეწველობაში—თვითღირებულების შემცირების და ხარისხის გაუმჯობესების მხრივ—დამზიანებელთა ორგანიზაციის მუშაობასთან.

ბერეჟკოვსკი ადასტურებს, რომ საზიანო მუშაობა რომ არ ყოფილიყო, რასაკვირველია, უფრო მნიშვნელოვანი მიღწევები იქნებოდა ამ სფეროში.

---

*) ბერეჟკოვსკის დაკითხვის ეს ნაწილი შემოკლებით უკვე გექონდა მოთავსებული გუშინდელ ნომერში. ახლა ვათავსებთ უფრო ვრცლად.

ბრალდებულ კალგანოვის დაკითხვა

22 მაისის საღამოს სხდომაზე დაიწყო ბრალდებულ ტექნიკოს კალგანოვის დაკითხვა. კალგანოვის დახმარებით ბერეჟკოვსკიმ დამზიანებელთა ორგანიზაცია შექმნა დონეც-გრუშევსკის მაღაროების სამმართველოში.

კალგანოვი დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, როგორ სწარმოებდა მუშაობის მოწყობა პირველ დღეებში წითელების შემოსვლის შემდეგ და სახადის, სიმშილის და ნგრევის მძიმე პერიოდში. ის მაშინ დანიშნული იყო დონეც-გრუშევსკის რაიონის ტექნიკურ ხელმძღვანელად.

„მთელი მაშინდელი მდგომარეობა,—ამბობს ის,—ქმნიდა რწმენას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ შეინარჩუნებს ყველა მაღაროებს და, ალბათ, აწარმოებს მხოლოდ უფრო ნაყოფიერ მაღაროების დამუშავებას, ხოლო დანარჩენები გაიცემა იჯარით ან კონცესიით. ასეთ ლაპარაკს ადგილი ჰქონდა 1920-21 წლებში".

ამ ლაპარაკში, სხვათა შორის, კალგანოვის სიტყვით, მონაწილეობას იღებდა ბერეჟკოვსკი. პრესაში ამ დროს დაიბეჭდა ცნობები, რომ განზრახულია საკონცესიო კომიტეტის დაარსება. ამ ცნობებმა კიდევ უფრო განამტკიცა სპეციალისტებში შექმნილი აზრი.

„გარდა ამისა,—ამბობს კალგანოვი,—ბერეჟკოვსკი გვეუბნებოდა, რომ ძველ აქციონერებს აინტერესებთ რა ხდება მათ ყოფილ მაღაროებში. შეიქმნა რაღაც მოლოდინის განწყობილება. ველოდით კონცესიონერებს და მოიჯარადრეებს. შესაძლებელი იყო, რომ კონცესიებს აიღებდნენ ყოფილი მეპატრონეები. ეს აზრი კიდევ უფრო განმტკიცდა, როცა 1922 წლის ბოლოში ბერეჟკოვსკიმ კალგანოვს და სხვა ტექნიკოსებს გადასცა ერთგვარი თანხა „დაინტერესებულ ძველ მეპატრონეებისაგან".

ასეთი რწმენა ინჟინერებში არსებობდა 1922 წლიდან 1925 წლამდე. ეს რწმენა თანდათან წლიდან წლამდე სუსტდებოდა.

ვიშინსკი ბრალდებულს აძლევს მთელ რიგ კითხვებს, რომელთა მიზანია იმის გამორკვევა, თუ როგორი ხასიათის იყო მისი მონაწილეობა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციაში.

კალგანოვი არ უარყოფს, რომ მან იცოდა ორგანიზაციის არსებობის შესახებ და მონაწილეობას იღებდა მასში. კერძოდ, კალგანოვი ხვდებოდა ბერეჟკოვსკის, ღებულობდა მისგან განკარგულებებს საზიანო მუშაობის შესახებ და გადასცემდა ამ განკარგულებებს თავის ხელქვეით ტექნიკოსებს მაღაროებში. კალგანოვის სიტყვით თვითეული დამზიანებელი საზიანო მუშაობისათვის ღებულობდა მისი თვიური ჯამაგირის 50-70 პროცენტს, ხოლო უფროსი დამზიანებლები 100 პროცენტამდე.

სასამართლოს წევრი ვასილევ-იუჟინი არკვევს, რომ საზიანო მუშაობა მიმდინარეობდა სამ მიმართულებით: მდიდარი რაიონების დამალვა, ფულის უმიზნოდ ხარჯვა აშკარად უვარგის მაღაროებს გასათხრელად და მანქანების ცუდად მოხმარა. ყველა ამ საზიანო მუშაობას კალგანოვი აწარმოებდა სავსებით შეგნებულად, ორგანიზაციის გეგმის მიხედვით.

ამხ. კრილენკოს კითხვაზე კალგანოვი უპასუხებს, რომ საზიანო მუშაობას ის აწარმოებდა 5 წლის განმავლობაში 1922 წლიდან 1927 წლამდე. 1927 წელს მან თითქოს თავი დაანება ამ მუშაობას. უკანასკნელად მან ბერეჟკოვსკისაგან ფული მიიღო 1926 წელში. მიუხედავად ამისა, ამხ. კრილენკოს კითხვაზე კალგანოვი უპასუხებს, რომ 1927 წელს მაღაროები „კრასნენკაია ზემლიანკა", „ტიგრი" და „ფრუნზე"-ს მუშაობას მხოლოდ ზარალი მოაქონდა. კალგანოვი აღიარებს აგრეთვე, რომ ბერეჟკოვსკის ხარკოვში გადაუგზავნა კონსპირატიული ხასიათის ნახაზები.

შემდეგ კალგანოვი უჩვენებს, რომ საზიანო მუშაობისათვის მან სულ მიიღო 100.000 მანეთი, რომლიდგანაც სამოილოვს, ბაბენკოს და ავერიუშკინს მან მისცა 20.000 მან., ბაშკინს 10.000 მან., ჩერნოკნიჟნიკოვს და კოლოდუბს 5.000 მანეთი თვითეულს, თავისთვის დაიტოვა 20.000 მან. ეს ფული მიღებული იყო ბერეჟკოვსკისაგან.

ბრალმდებელი როგინსკი არკვევს, თუ რა ურთიერთობა არსებობდა კალგანოვსა და გორლეცკის შორის. გორლეცკის მიერ წარმოებულ საზიანო მუშაობას კალგანოვი ბერეჟკოვსკის სიტყვებით გაეცნო.

გორლეცკი, კალგანოვის სიტყვით, ორგანიზაციაში შუამავლის როლს თამაშობდა: ის საზღვარგარეთიდან ღებულობდა ფულს ყოფილ აქციონერებისაგან და შემდეგ ამ ფულს აწვდიდა ბერეჟკოვსკის ორგანიზაციის ყველა წევრებისათვის. კალგანოვი ადასტურებს, რომ 1922 წლამდე საზიანო მუშაობას არ ჰქონდა ორგანიზაციული ხასიათი. ამ წლის შემდეგ ორგანიზაცია სავსებით ჩამოყალიბდა.

სხდომა წყდება 23 მაისის დილის 10 საათამდე (ადს).

ბრალდებულ სამუელოვის დაკითხვა

მოსკოვი, 23 მაისი. 23 მაისს შახტის პროცესის დილის სხდომაზე დაკითხულ იქნა ბრალდებული სამოილოვი. სამოილოვი დამნაშავედ სცნობს თავს საზიანო მუშაობაში. ასეთ მუშაობაში სამოილოვი, მისივე სიტყვით, ჩააბა კალგანოვმა, რომელიც მაშინ დონეც-გრუშევსკის რაიონის მაღაროთა სამმართველოს მთავარი ინჟინერი იყო. კალგანოვი ჯერ დიდ სიფრთხილეს იჩენდა, მერე კი, რაც უფრო ღრმავდებოდა საზიანო მუშაობა, უფრო გულახდილი ხდებოდა. სამოილოვი ამბობს, რომ პირველ ხანებში მას სწორი წარმოდგენა არ ჰქონდა არც იმ ორგანიზაციის სქემის შესახებ, რომელიც საზიანო მუშაობას ეწეოდა, არც მის ცენტრისა და ამოცანების შესახებ. 5—6 წლის განმავლობაში მან საზიანო მუშაობის მხოლოდ ზოგიერთი შემთხვევები იცოდა და მხოლოდ ამ შემთხვევების საფუძველზე ჰქონდა შედგენილი ზოგადი წარმოდგენა იმის შესახებ, რაც ხდებოდა. სამოილოვი ახასიათებს იმ პირობებს, რომელშიაც სწარმოებდა მუშაობა მაღაროებში და აღნიშნავს: დონეც-გრუშევსკის მაღაროთა სამმართველოში მუშაობდნენ სპეციალისტები, რომლებიც ერთმანეთს წინათვე იცნობდნენ და ერთმანეთისათვის „შინაური პირები" იყვნენ, რაც, რასაკვირველია, აადვილებდა საზიანო მუშაობას. თავის მუშაობას სამოილოვი ორგანიზაციაში სთვლის 1922 წლიდან; 1923 წლიდან ფულის დენა დაიწყო. ფული გამოდიოდა კალგანოვის ხელიდან, რომელთანაც სამოილოვი სწყვეტდა საკითხს—ვისთვის რამდენი უნდა მიეცათ. ბერეჟკოვსკი რომ ფულს იძლეოდა, ჯერ იგონებდა სხვადასხვა მიზეზებს: ხან დატვირთვას, ხან რაღაც სპეციალურ თანხებს, ხან რაღაც პრემიას. მაგრამ ბოლოს ყველა ამისთანა მიზეზი გაქრა და ცხადი შეიქნა, თუ ვინ რისთვის იღებდა ფულს. სამოილოვი სასამართლოს გადასცემს თავის ლაპარაკს სხვადასხვა ინჟინრებთან და სხვათა შორის, იხსენებს საუბარს გორლეცკისთან 1925 ან 1926 წელს ამხანაგურ წრეში; გორლეცკი ეუბნებოდა სამოილოვს, რომ პარიზში დონეც-გრუშევსკის საზოგადოებას ჰყავს წარმომადგენლობა, თუ რაღაც ამისთანა რამ, ეს ორგანიზაცია—უთქვამს გორლეცკის—თვალყურს ადევნებს ჩვენს მუშაობას და იცის, თუ როგორ ვმუშაობთ. სამოილოვი ათავებს თავის ჩვენებას. სხდომა სწყდება საღამოს 6 საათამდე.

საღამოს სხდომაზე გაგრძელდა სამოილოვის დაკითხვა. სამოილოვი სასამართლოს მოუთხრობს თავისი საზიანო მუშაობის კონკრეტულ ფაქტებს. საზიანო მუშაობის ფაქტებს, რომელთა შესახებაც ლაპარაკია საბრალმდებლო დასკვნაში, სამოილოვი სრულიად ადასტურებს. ბრალდებული შემდეგ ახასიათებს ინჟენერ-ტექნიკოსების დაუდევრობას მუშების მიმართ. თუმცა მუშებმა არა ერთხელ ითხოვეს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. კოლექტიურ ხელშეკრულებებს სწორედ არ განმარტავდნენ, რაც, ცხადია, მუშების უკმაყოფილებას იწვევდა. ეს უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზარდა ცუდი ვენტილიაციის გამო.

2—3 წლის განმავლობაში მუშები ვენტილიატორს მოითხოვდნენ, ვენტილიატორი კი მიღებულ იქნა სამოილოვის დაპატიმრების წინა ხანებში. შემდეგ სამოილოვი ლაპარაკობს, რომ მას საუბარი ჰქონდა კალგანოვთან ზოგიერთი ინჟენერ-ტექნიკოსების დაპატიმრების შესახებ. თურმე გავრიუშენკოს და ბელენკოს დაპატიმრების შემდეგ სამოილოვი და კალგანოვი ძალიან შეფიქრიანებული იყვნენ თავისი ბედ-იღბლის შესახებ. მაგრამ კალგანოვი ამშვიდებდა სამოილოვს და ეუბნებოდა: „იქნებ საქმე როგორმე მოეწყოს". შემდეგ სამოილოვს შეკითხვებს აძლევს სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. კრილენკო.

ახასიათებს რა მუშაობის საერთო პირობებს მაღაროებში, სამოილოვი ამბობს, რომ გორლეცკიმ და ბერეჟკოვსკიმ თავის ლაპარაკში ბრალდებულს პირდაპირ განუცხადეს იმ მაღალ წარმატებაზე, რომელსაც მიიღებს იგი მაღაროების ძველი მფლობელების დაბრუნების შემდეგ. გორლეცკიმ პირდაპირ განაცხადა, რომ საზღვარგარეთ ყველაფერი კარგად იციან საზიანო მუშაობის შესახებ და რომ ყველანი დაჯილდოვებული იქნება მისი დამსახურების მიხედვით.

ტექნიკოსებსა და ინჟენერებს შორის იყო სრული თანხმობა და ისინი კარგად ერკვეოდნენ საზიანო საქმის ყოველ წვრილმანში.

ახასიათებს რა ცალკე ტექნიკოსებს და ინჟენერებს, ბრალდებული ამბობს, რომ მათ შორის ძალიან იყო გავრცელებული ანტი-საბჭოთა ანეგდოტები. ბრალდებული შემდეგ ამბობს, რომ კოლოდუბთან ხშირად იმართებოდა ქეიფი, ამ ქეიფის დროს ისმებოდა მონარქისტ სადღეგრძელოები. ერთ ასეთ ქეიფზე დაესწრო კოშში-ლემპინოვი, რომელმაც სთქვა, რომ ანარქია—დედაა მონარქიისა. მღეროდენ თეთრგვარდიელთა ლექსებს.

სამოილოვი მოუთხრობს სასამართლოს წერილის შესახებ, რომელიც მიიღო კუვალდინმა მაღაროების ყოფილი მეპატრონე პარამონოვისაგან. ეს წერილი, სამოილოვის სიტყვით, წარმოადგენდა ნამდვილ ინსტრუქციას, რომ არ ყოფილიყო გაძლიერებული ნახშირის ამოღება და ამასთანავე დაცულიყო ქონება.

კრილენკოს კითხვაზე—ახსოვს თუ არა მას ეს ფაქტი კარგად, სამოილოვი უპასუხებს დადებითად.

ამხ. კრილენკო გადადის დაკითხვაზე იმ კონკრეტიული საზიანო მოქმედების ირგვლივ, რომლის მონაწილეც არის სამოილოვი. არის ინციდენტების მთელი რიგი. ერთი—დაკავშირებით ინგლისურ ქვაბთან, რომელიც ღირდა 30.000 მანეთი და რომელიც უმოქმედოდ ეგდო ორი წლის განმავლობაში მაღარო „ოქტომბრის რევოლიუცია"-ში.

1927 წელს იყო შემთხვევა, როდესაც ნახევარი წლის განმავლობაში მუქთად ეყარა რამოდენიმე ასი ათასი ფუთი ნახშირი, ნახშირი არ დაიკარგა, მაგრამ ბევრი დააკლდა ხარისხით და დაიმალა. ამისთანა შემთხვევები ბევრი იყო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ არ იყო კარგად დაყენებული დახარისხების საქმე. ასევე ხდებოდა სააღმშენებლო მასალის მიმართ. მოჰქონდათ რამოდენიმე ასეული ვაგონი და შემდეგ მასალა ეყარა უმოქმედოდ. ყველა ამას მოსდევდა ზარალი, რომელიც უდრიდა ხან რამოდენიმე ასეულ, ხან კი ათასეულ მანეთს.

ამის გარდა მოხდა ტურბინის ავარია, ტარდებოდა შეგნებული პოლიტიკა მუშების ხელფასის ირგვლივ ამ უკანასკნელების საზიანოდ და სხვა.

სამოილოვის დაკითხვით დამთავრდა 23 მაისის საღამოს სხდომა.

მოწმეების დაკითხვა

მუშა დოროვსკის ჩვენება

იწყება მოწმეების დაკითხვა.

პირველად დაჰკითხეს ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის (ყოფილი პეტროპავლოვსკის) მაღაროს მუშა დოროვსკი, რომელიც ბერეჟკოვსკის იცნობს 1913 წლიდან.

„მე ვმუშაობდი,—ამბობს დოროვსკი,—ბერეჟკოვსკისთან ერთად. შემიძლია ვსთქვა, რომ ბერეჟკოვსკი არაადამიანურად ექცეოდა ავსტრიელ სამხედრო ტყვეებს, ამუშავებდა შიშველ-ტიტვლებს და სცემდა მათ. მე ამას ვხედავდი ყოველ დღე, როცა 1917 წლამდე დავდიოდი სამუშაოზე".

ამავე წელს,—ამხ. დოროვსკის სიტყვით,—ბერეჟკოვსკიმ ლაპარაკში თებერვლის რევოლიუციის შესახებ, გაჰკიცხა მუშები მათი რევოლიუციონური განწყობილებისათვის. ამ შემთხვევის შემდეგ მუშები გაბრაზდნენ და გააძევეს ბერეჟკოვსკი მაღაროდან.

ამხ. საპრიკოვის ჩვენება

მოწმე საპრიკოვი ადასტურებს ამხ. დოროვსკის ჩვენებას იმის შესახებ, რომ ბერეჟკოვსკი სასტიკად ეპყრობოდა ავსტრიელ ტყვეებს.

ბერეჟკოვსკიმ ჩაამწკრივა ტყვეები და განუცხადა მათ: „თუ ცუდათ იმუშავებთ, სიმშილით და სიცივით მოგკლავთ". 1917 წელს ბერეჟკოვსკი ყრილობაზე ნოვოჩერკასკში აშკარად გამოვიდა მუშების წინააღმდეგ. ბერეჟკოვსკი მოითხოვდა, რათა მაღაროში გაეგზავნათ ახალი ყაზახი [illegible] დასაცავად. მუშები აღელდნენ და საერთო კრებაზე გადასწყვიტეს გაეძევებიათ ბერეჟკოვსკი მაღაროდან.

მექანიკოს ზოლოტარევის ჩვენება

მოწმე ზოლოტარევი, რომელიც მუშაობს მექანიკოსად მაღარო „მსოფლიო კომუნა"-ში, ამბობს, რომ რევოლიუციონურ გადატრიალების დროს ის მსახურობდა ყოფილ ტაგანროგის ამხანაგობის მაღაროში. მაღაროს გამგის პლოშკოს გაქცევის შემდეგ მაღარო ამოვსებულ იქნა წყალით. მუშებმა ზოლოტარევი აირჩიეს მაღაროს გამგეთ. წყალის ამოქაჩვა მაღაროდან დიდხანს გრძელდებოდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ამ ფაქტს განსაზღვრული საზიანო მიზნები ჰქონდა. ამ დროს მაღაროს ხელმძღვანელობდა ელიაძე. ბერეჟკოვსკის ზოლოტარევი მიაწერს მაღარო „ტიგრის" წყალით ამოვსებას. ბერეჟკოვსკის, კალგანოვს და ელიაძეს მოწმე ახასიათებს, როგორც ბოროტ კონტრ-რევოლიუციონერებს.

„ასეთია,—ამბობს ის,—ყველა მუშების საერთო აზრი".

ასევე ახასიათებს მოწმე ბრალდებულ გავრიუშენკოს, რომელიც რევოლიუციამდე არ ერიდებოდა მუშების ცემას.

შემდეგ მოწმე სასამართლოს მოუთხრობს საზიანო მუშაობის შესახებ მაღარო „პოპოვკა"-ში. „პოპოვკა" გათხრილი უნდა ყოფილიყო თითქმის 7—8 თვის წინად, ფაქტიურად კი ის ეხლაც არ არის გათხრილი. ამ მაღაროს გამგე იყო ბრალდებული ბელენკო. თვით მოწმეს, იმისთვის, რომ ის ცდილობდა გაეუმჯობესებია მუშაობა მაღაროებში, ერთი მაღაროდან მეორეში აგზავნიდნენ და არსად ხანგრძლივად არ აჩერებდნენ.

ამხ. ჩებატოვის ჩვენება

მოწმე ჩებატოვი ბერეჟკოვსკის იცნობს 1919 წლიდან. როცა 1920 წელს მოეწყო მოხალისეთა რაზმი 250 კაცის შემადგენლობით პოლონეთის ფრონტზე წასასვლელად, ბერეჟკოვსკიმ მათ განუცხადა: „მე თქვენ ფრონტზე არ გაგიშვებთ, ვინაიდან თქვენ მიდიხართ დასარბევად და საყაჩაღოდ, თქვენ ხულიგნები ხართ". ამ დროს ქალაქში იმართებოდა კრებები, ქუჩებში აკრავდნენ პლაკატებს შექმნილი საფრთხის შესახებ, გამოჰქონდათ რეზოლიუციები მოხალისეების ფრონტზე გაგზავნის შესახებ და სხვ.. ბერეჟკოვსკი კი აშკარათ გამოდიოდა საბჭოთა ხელისუფლების ბრძანების წინააღმდეგ, ხელს უშლიდა ქვეყნის თავდაცვას.

ბერეჟკოვსკი აღიარებს, რომ მან მოხალისეთა რაზმს, რომელიც მიემგზავრებოდა პოლონეთის ფრონტზე, უწოდა „ყაჩაღები".

შემდეგ ირკვევა, რომ ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ წითელარმიის სამსახურში მიღებას შეგნებულად აფერხებდენ. ;მას ადასტურებს მთელ რიგ მოწმეების ჩვენება წინასწარ გამოძიებაზე.

სხდომა შეწყდა 18 საათამდე.

გერმანიის პრესა შახტის პროცესის შესახებ

ბერლინი, 22 მაისი. გერმანიის პრესა აქვეყნებს დაწვრილებით ცნობებს შახტის პროცესის მიმდინარეობის შესახებ. გაზეთები აკრიტიკებენ უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით ვექილი მუნტე არ იქნა დაშვებული დამცველად.

კომუნისტური „როტე ფანე" მკაცრად ილაშქრებს გერმანიის მელითონეთა პროფკავშირის რეფორმისტული ხელმძღვანელების წინააღმდეგ და აცხადებს: „გერმანიის მუშათა კლასი, უეჭველია, შეეკითხება მათ, თუ როგორ გახდა პროფორგანიზაციის ფუნქციად პროცესში ჩარევა იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს მწარმოებელთა მიერ წამოყენებული დამცველის დაშვებას. ეს ნაბიჯი აშკარად ამტკიცებს იმას, რომ გერმანიის პროფკავშირთა ხელმძღვანელები თანაგრძნობას უცხადებენ მსხვილ-კაპიტალისტური ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის წარმომადგენლებს".

„სოფლის კავშირი"-ს რწმუნებულთა მეორე ყრილობა

მეხუთე სხდომა

ყრილობის დადგენილებანი

მომხსენებელ ამხ. ნადეჭვარიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად „სოფლის კავშირი"-ს გამგეობის მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად, ხოლო სარევიზიო კომისიის მუშაობა—სუსტად.

მოგების განაწილება

1927 წლის მოგება—64.217 მან. 65 კაპ.—შემდეგნაირად იქნა განაწილებული: 25 პროც. გადაირიცხა ძირითად კაპიტალში, სათადარიგო ფონდში გადაირიცხა—20 პროც., ღარიბ გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირების ფონდში—10 პროცენტი, კულტურულ საჭიროებისათვის—10 პროც., სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთა კავშირისათვის—5 პროც.; ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში—10 პროცენტი, ყრილობის მოსაწვევ ხარჯებისათვის 5 პროც. და გრძელვადიან საკრედიტო ფონდისათვის 5 პროც.

„სოფლის კავშირის" მომავალი მუშაობის შესახებ რეზოლიუციის გამოსამუშავებლად გამოყოფილ იქნა კომისია.

„სოფლის კავშირის" მომავალი მუშაობის გეგმა 1927—28 საოპერაციო წ.

(მომხსენებელი ამხ. ლაზუჟაიანი)

„სოფლის კავშირი"-ს 1927—28 საოპერაციო წლის გეგმით გათვალისწინებულია საქართველოს სასოფლო მეურნეობისათვის 2649261 მ. საწარმოო საქონლის მიწოდება. ამ გეგმით კავშირი ფიქრობს, ცოტად თუ ბევრად დააკმაყოფილოს სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებები და შეუფარდოს ისინი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ შენაერთების და მოსახლეობის შესაძლებლობას. მისაწოდებლად მომარაგებული საქონლის უდიდეს ნაწილს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, ტრაქტორები და მავნებლებთან საბრძოლველო საშუალებანი. (60 პროც.). მიწოდების ოპერაციებიდან ნავარაუდევია სულ 59.285 მანეთის შემოსავალი, რაც საქონლის ღირებულების 2,23 პროც. შეადგენს.

საქონლის მომარაგება-მისაწოდებლად საჭირო საბრუნავ თანხების ოპერაციებს „სოფლის კავშირი" აწარმოებს ნაწილობრივად თავისი საკუთარი და დამკვეთ ორგანიზაციებისაგან მოზიდულ თანხებით და ნაწილობრივ ბანკებიდან გამოტანილ კრედიტით. მისაწოდებლად მომარაგებულ საქონლის ოპერაციებს საწარმოებლად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის მიერ ნაღდად იქნება გაღებული 541.815 მანეთი ანუ 20 პროცენტი, დანარჩენი საჭირო თანხა — 1,850,446 მან. კი უნდა იქნას მოზიდული კრედიტის სახით ბანკებისა და იარაღ-მანქ. მოვაჭრე ორგანიზაციებიდან. მომარაგებულ საქონლის ნაწილი გლეხობას მიეცემა გრძელვადიანი სესხის სახით. ამიტომ კრედიტი ვადის მხრით განიყოფება ორ ნაწილად: გრძელვადიანი სესხი შეადგენს 471,446 მან. (25,4 პროც.), მოკლევადიანი—1 379.000 მანეთს (75,6 პრ.).

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის ნაწარმოების დამზადება-გასაღებას, „სოფლის კავშირმა" წარსულისა და მიმდინარე პრაქტიკის მიხედვით სოფლის კოოპერაციის ზოგიერთი დარგი თავის მოქმედების სფეროში მოაქცია და ამის მიხედვით მომავალი გეგმა დამზადება-გასაღების დარგში შეადგინა შემდეგი სახით: მთლიად დამზადება-გასაღების ოპერაციებში ნავარაუდევია 8.050.040 მან. დაბანდება; აქედან საერთო შემოსავალი შეადგენს 173060 მანეთს ანუ საქონლის ბრუნვის 2,14 პროც. გეგმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აბრეშუმის პარკის დამზადებას; სულ დამზადებული იქნება 1.625.000 მანეთის აბრეშუმის პარკი (1.056,8 ტონა).

პარკზე უფრო დიდი ადგილი უკავია დასამზადებელ ოპერაციებში მატყლს, რომელიც ამ გეგმის თანახმად წელს დამზადებული უნდა იქნეს 1.783,5 ტონა ანუ 1,996.000 მან. აბრეშუმის პარკს მოსდევს თამბაქო, რომელიც უნდა დამზადდეს 910.000 მანეთის (1056,8 ტონა). ვაშლი—700.000 მანეთის, ბამბა—600.000 მან., თხილი 600.000 მან., კვერცხი—250.000 მანეთის, ბოსტნეული—200.000 მან., ბუმბული და ჯაგარი—200.000 მან., ცხვრის ტყავი—400.000 მან., რძის ნაწარმოები—150.000 მან. და სხვა. დამზადების ოპერაციები იწარმოებს ერთი მხრით ბანკებიდან მიღებული კრედიტით და მეორე მხრივ მრეწველობისა და დამამზადებელ ორგანიზაციების მიერ გაღებულ თანხების საშუალებით.

საწარმოო დარგში კავშირი ითვალისწინებს თავის საკუთარი ქარხნის „ჭაჭა"-ს საშუალებით დაამუშაოს 622,800 მანეთის სპირტი და 32,640 მანეთის ნედლეული ნაწილავი.

აგროკულტურულ დარგში განზრახულია ამერიკული ვაზის სადედე გაშენება 50 დესეტინაზე, რისთვისაც ნავარაუდევია 50.000 მანეთის დახარჯვა; სულ აგროკულტურულ მუშაობისათვის გადადებულია 141.000 მანეთი.

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა შესაფერისად გადასამუშავებლად და ამ ნაწარმოებთა შესაფერისად შენახვის მოსაგვარებლად „სოფლის კავშირს" დასახული აქვს გეგმით შემდეგი ღონისძიებები: ხილის ფარდულების, თამბაქოს ფარდულების, ღვინის (და სხვა პროდუქტების) საწყობების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებელ სახელოსნოების აგება-მოწყობა, რისთვისაც ნავარაუდევია სულ 741.000 მანეთის დახარჯვა.

ყრილობამ უცვლელად დაამტკიცა წარმოდგენილი გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა 1927—28 საოპერაციო წლისათვის.

მეექვსე სხდომა

გუშინ, დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. კალატოზიშვილის მოხსენება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოქმედების და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ძირითადი ქსელის მდგომარეობის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი

(მომხსენებელი ამხ. კალატოზიშვილი)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი თავის საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებს აფხაზეთის, აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკების და 153 საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით. ყოველი საოპერაციო წლის დადგომამდე წინასწარ დგება საკონტროლო საკრედიტო გეგმა, მაგრამ დღემდე ბანკმა ვერ მოახერხა თავისი საკრედიტო ოპერაციების ჩაყენება ამ გეგმების ფარგლებში იმის გამო, რომ ძალიან ხშირად იცვლება გეგმის შემადგენელი ნაწილები, ხშირად გეგმით გათვალისწინებულ სესხებს ეძლევა სხვა დანიშნულება. მაგალითად, საკრედიტო გეგმა 1926—27 წლისათვის შედგენილი იყო 4,101,000 მანეთის რაოდენობით. მიუხედავად ამისა, ბანკის ბრუნვამ ზემოხსენებულ წელს ფაქტიურად გამოიხატა 15681000 მანეთში. მიმდინარე სამეურნეო წლის საკრედიტო გეგმა შედგენილია 8.523.000 მანეთის რაოდენობით. მაგრამ, უკვე პირველ ორ კვარტალში, გეგმით გაუთვალისწინებელ ასიგნებათა მოზიდვის გამო, უკვე გაცემულია 7.951.000 მანეთის სესხი. ამგვარად ჩვენ სისტემატიურად ვხედავთ საკრედიტო თანხების მნიშვნელოვან გადაჭარბებას გეგმით გათვალისწინებულ საკრედიტო ასიგნებებზე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფოს ყურადღება სოფლის მეურნეობის საჭიროებისადმი თანდათან უფრო ძლიერდება. ამ გარემოებას აშკარად მოწმობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ბალანსის ზრდა. 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ბალანსი შეადგენდა 8600000 მანეთს, 1927 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის კი ბალანსმა მიაღწია 15.612.000 მანეთს, ხოლო მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის 16.359.000 მანეთს. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ბალანსის ზრდა უმთავრესად ხდება ახალი საბიუჯეტო-საკრედიტო ასიგნებათა მოზიდვის ხარჯზე. ბანკის საკუთარი საშუალებები კი ჯერ ძალიან მცირეა. ამჟამად ისინი შეადგენენ 1.077.000 მანეთს, ანუ საერთო ბალანსის 6,4 პროცენტს. ანაბარების საერთო ჯამიც უმნიშვნელოა. იგი უდრის სულ 563.000 მანეთს, ანუ ბალანსის 3,3 პროცენტს. ანაბარების საერთო ჯამის სიმცირე სასოფლო-სამეურნეო ბანკში აიხსნება იმით, რომ მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები თავიანთ თავისუფალ თანხებს ინახავს სხვა ბანკებში.

ამჟამად სასოფლო-სამეურნეო ბანკს აღებული აქვს მტკიცე კურსი სასოფლო-მეურნეობისათვის გრძელვადიანი კრედიტის გაცემის გაძლიერებისაკენ. დავალიანება სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიმართ გრძელვადიანი კრედიტის დარგში მიმდინარე წლის 1-ლი აპრილისათვის შეადგენს 5.433.000 მანეთს, იმ დროს, როცა მოკლევადიანი კრედიტის ხაზით გლეხებს შორის განაწილებულია 4.006.000 მანეთი, ე. ი. მოკლევადიანი კრედიტის რაოდენობა საგრძნობლად ნაკლებია გრძელვადიანი კრედიტის საერთო ჯამზე. ასეთი საკრედიტო პოლიტიკა აიხსნება იმით, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა, რომელიც ამჟამად რეკონსტრუქციის პერიოდში იმყოფება, საჭიროებს კაპიტალურ გრძელვადიან სესხით დახმარებას.

თავის საკრედიტო საქმიანობაში ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს. მიმდინარე სამეურნეო წლის მხოლოდ პირველ კვარტალში კოლმეურნეობებისათვის გაცემულია სესხი 622.155 მანეთის რაოდენობით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისათვის 271.000 მანეთი. გარდა ამისა, ღარიბესი გლეხობის საკრედიტო კოოპერაციაში შესაკავშირებლად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ გაღებულია 76.000 მანეთი, ხოლო ა.-კ. სამეურნეო ბანკისაგან 39.000 მანეთი.

საკრედიტო კოოპერაციის ძირითად ქსელზე ხელმძღვანელობას სასოფლო-სამეურნეო ბანკი ახორციელებს სოფლის კავშირთან ერთად და მასთან შეთანხმებით. დიდი ხანი არ არის, რაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გაერთიანებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საინსპექტორო და სოფლის კავშირის საინსტრუქტორო აპარატები ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად იმ მიზნით, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს საკრედიტო კოოპერაციის ძირითად ქსელს. ბანკს შემოჰყავს საკრედიტო ამხანაგობანი თავის მეპაიეების რიცხვში.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის საკრედიტო ოპერაციების ზრდასთან ერთად ჩვენ ვხედავთ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა საოპერაციო მუშაობის მნიშვნელოვან გაძლიერებას. ამ გარემოებას აშკარად ადასტურებენ შემდეგი ციფრები: საკრედიტო ამხანაგობათა ბალანსი 1926 წლის პირველი ოქტომბრისათვის შეადგენდა 4.684.000 მანეთს, ხოლო 1927 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის, ე. ი. ერთი წლის შემდეგ 9.156.000 მანეთს, ე. ი. ორჯერ მეტს. ძირითადი საკრედიტო ქსელის ბრუნვა 1925-26 წლის განმავლობაში უდრიდა 21.666.000 მანეთს. ერთი წლის შემდეგ 1926-27 წლის განმავლობაში კი 52.311.000 მანეთს. მაგრამ საკუთარი საშუალებანი ძირითად საკრედიტო ქსელშიაც ფრიად უმნიშვნელოა. საკუთარ საშუალებათა ზრდა უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე საკრედიტო ამხანაგობათა საერთო ბრუნვის ზრდა. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ენერგიული მუშაობა გლეხების ანაბრების მოსაზიდად საკრედიტო ამხანაგობებში.

ძირითადი საკრედიტო კოოპერაციის ქსელის მუშაობაში აღსანიშნავია შემდეგი ნაკლოვანებანი: ღარიბ გლეხობისათვის გასაცემი საკრედიტო ფონდი ნაწილდება მიზანშეუწონლად და არარაციონალურად. ადგილი აქვს ამ ფონდების დაქუცმაცება-დაქსაქსვას. ზოგიერთ შემთხვევაში (თუმცა იშვიათად), სესხი ეძლევა გლეხობის შეძლებულ ნაწილს. საკრედიტო ამხანაგობათა გამგეობები არ ღებულობენ ენერგიულ ზომებს დავალიანებათა დასაფარავად. არის შემთხვევები, როცა საკრედიტო ამხანაგობები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ კოლექტიურ მეურნეობებს.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ძირითადი საკრედიტო კოოპერაცია იზრდება და მტკიცდება, რაც იმის საწინდარია, რომ შემჩნეული ნაკლოვანებანი მოკლე ხანში აღმოფხვრილი იქნება.

სრულიად საკავშირო კოოპერატიული ბანკის საქ. განყოფილების მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. დ. გოლქვაძე)

სრულიად საკავშირო კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილების საქმიანობა ყრილობას მოკლედ გააცნო განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. დ. გოლქვაძემ. მომხსენებლის გადმოცემით კოოპერატიული ბანკის განყოფილებამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გააფართოვა თავისი ოპერაციები. განვლილ წელთან შედარებით განყოფილების საერთო ბალანსი 1.393.000 მანეთიდან გაიზარდა 5.609.000 მანეთამდე. ბალანსის საერთო ზრდასთან ერთად იზრდება საპაიო კაპიტალიც. მაგალითად, გასული წლის პირველ ოქტომბრის საპაიო თანხა შეადგენდა 294.000 მანეთს, მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის იგი უდრის 623.800 მანეთს. თვიდან თვემდე მატულობს კოოპერატიულ ორგანიზაციებზე გაცემულ კრედიტების რაოდენობა. გამნადებელ-გამოსახულებელი ოპერაციები თითქმის ერთი-ორად არის გადიდებული. თუ ერთი წლის წინად მათი საერთო ჯამი 1.462.000 მანეთს უდრიდა, ამჟამად იგი 2.659.000 მანეთს აღწევს. კოოპერატიული ბანკის სესხის სარგებელი შემცირდება ნაკლებია დანარჩენი ბანკების სესხის სარგებელზე (სახელმწიფო ბანკის გამოკლებით).

საკავშირო კოოპერატიული ბანკი არ შეიძლება ჩაითვალოს წმინდა საკრედიტო დაწესებულებად, იგი წარმოადგენს ყველა სახის და ყველა საფეხურის კოოპერაციის კოოპერატ.-სამეურნეო ცენტრს. კოოპერატიული ბანკის მთავარი დანიშნულებაა მოაწესრიგოს კოოპერაციის საფინანსო მეურნეობა და კოოპერაციის ფინანსები, რაც შეიძლება, უფრო რაციონალურად და მიზანშეწონილად მოიხმაროს. კოოპერაციის ყველა სისტემებისათვის წარმოადგენს გაძლიერებ კოოპერატიული ბანკის როლი და მნიშვნელობა საერთოდ სახალხო მეურნეობაში. ამიტომ ყველა კოოპერატიული ორგანიზაციები მოვალე არიან გახდენ კოოპერატიული ბანკის პაის მქონე წევრებად.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია საკმარისად ვერ არის დაკავშირებული კოოპერატიული ბანკის საქ. განყოფილებასთან. ის გარემოება, რომ „სოფლის კავშირს" არა აქვს საკრედიტო განყოფილება, ძალიან აბრკოლებს კოოპერატიული ბანკის მუშაობას საკრედიტო კოოპერაციის ძირითად ორგანიზაციებში. პრაქტიკამ და გამოცდილებამ კი გვიჩვენა, რომ ასეთ კავშირის სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის განყოფილებებსა და კოოპერატიულ ბანკებს შორის საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებში დადებითი შედეგები მოაქვს. ძირითადი საკრედიტო ქსელის კოოპერატიულ ბანკთან დაკავშირების მიზნით კოოპერატ. ბანკის ადგილობრივ განყოფილებას განზრახული აქვს საქართველოს მთავარ ეკონომიურ რაიონებში თავისი კორესპონდენტებათ გამოყოს რამოდენიმე ძლიერი სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც დაეყრდნობა კოოპერატიული ბანკის განყოფილებას ხარჯზე აქტიურ და პასიურ ოპერაციების წარმოება თავიანთ რაიონებში.

კამათი

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოქმედების და ძირითადი საკრედიტო ქსელის მდგომარეობის გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ამხ. გურგენიძე

ჭელიაღელის (რაჭა) საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენელი ამხ. გურგენიძე, რომელიც ხაზს უსვამს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ნაყოფიერ მუშაობას, აღნიშნავს შემდეგ ნაკლს: მისი აზრით, ბანკი ვერ აწარმოებს კრედიტების თანაბარ განაწილებას. უმთავრესი ყურადღება ექცევა მხოლოდ იმ რაიონებს, სადაც შესაძლებელია მაღალი კულტურების გაშენება, ხოლო ისეთი კუთხეები, სადაც ასეთი კულტურების განვითარების შესაძლებლობა არ არის, უყურადღებოთ არის დატოვებული. არის ისეთი ამხანაგობები, სადაც თვითეულ მანეთ—საკუთარ თანხაზე მოდის 11 მანეთი ნასესხები თანხა, მაშინ, როცა მივიწყებულ კუთხეების საკრედიტო ამხანაგობებში ნასესხები თანხა თვითეულ საკუთარ მანეთზე სამ-ოთხ მანეთს არ აღემატებოდა. კრედიტების ასეთი სიმცირე ამ მეორე კატეგორიის ამხანაგობებს საშუალებას ართმევს სესხით დახმარება გაუწიოს ღარიბ მოსახლეობას; რაიმე დამამზადებელ ოპერაციების წარმოებაზე კი ზედმეტია ლაპარაკი. ჭელიაღელის საკრედიტო ამხანაგობას შეუძლია თავის რაიონში ხელი მოჰკიდოს მეორე ხარისხოვან საექსპორტო საქონლის, როგორც არის—მოცვი, კაკალი და სხვა, დამზადებას, მაგრამ მას საამისოდ კრედიტებს არ აძლევენ: ამიტომაც არის, რომ ამ ამხანაგობის ზრდა ჩამორჩება სხვა ამხანაგობათა ზრდას. შემდეგ ორატორი თავგამოდებით ილაშქრებს ღარიბი გლეხის მიერ საკრედიტო ამხანაგობიდან სესხის მიღების მიზნით შეძლებულ გლეხის თავდებად აყვანის წინააღმდეგ. მისი აზრით, ამით ჩვენ ხელს ვუწყობთ ჩვენივე საკუთარი საშუალებით შეძლებული გლეხების მიერ ღარიბი გლეხობის დაბეჩავებას.

ამხ. სტეფანოვი

ამხ. სტეფანოვის აზრით, ჩვენს ბანკებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას. იგი საჭიროდ სცნობს, რომ საქმის წარმოება ბანკებში გამარტივდეს იმდენად, რომ უბრალო საქმის მოსაგვარებლად ჩამოსულ ამხანაგებს დიდხანს არ მოუხდეს ლოდინი. საკრედიტო ამხანაგობები, ორატორის აზრით, თავის კვარტალურ გეგმებს ვერ ასრულებენ იმის გამო, რომ ისინი თავის დროზე ვერ ღებულობენ დანიშნულ სესხს. მაგალითად, მიზნობრივ სესხს ხეხილის ბაღების გასაშენებლად ამხანაგობა ღებულობს იმ დროს, როცა მუშაობის სეზონი დამთავრებულია. შემდეგ ორატორი მოითხოვს, რომ გამომუშავებულ იქნეს ღონისძიებები, რომელიც ღარიბ გლეხს გაუადვილებს საკრედიტო ამხანაგობიდან გატანილ სესხის გადახდას.

ამხ. მჟავანაძე

ამხ. მჟავანაძე (მიქელ-გაბრიელის საკრედიტო ამხანაგობის წარმომადგენელი) აღნიშნავს, რომ მიზნობრივი სესხის განაწილება ჩაის მეურნეობათა შორის საკრედიტო ამხანაგობის საშუალებით ამ ამხანაგობას ზარალის მეტს არაფერს აძლევს. მაგალითად, მიქელ-გაბრიელის საკრედიტო ამხანაგობას 120 ათასი მან. სესხი, რომელზედაც აკრძალულია პროცენტების დარიცხვა ამხანაგობის სასარგებლოდ, წლიურად უჯდება ორი ათასი მანეთი. ჩვენს რაიონში დიდი ნაყოფი და სარგებლობა მოაქვს ლუფის კულტურას. შარშან თვითეული კილო ლუფი გავასაღეთ 25 მანეთად. წელს გვინდოდა ეს საქმე გაგვეფართოვებინა, მაგრამ საჭირო კრედიტები ვერ მივიღეთ იმის გამო, რომ წინა წლებში დამამზადებელმა ორგანიზაციებმა ვერ მოახერხეს ლუფის პროდუქტის რეალიზაცია შემდეგ ორატორი მოითხოვს ამხანაგობებს გაუდიდდეს კრედიტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დასამზადებლად და გაჭირვებაში ჩავარდნილ მოსახლეობისათვის სურსათ-საკვების მოსამარაგებლად.

ამხ. ალიხანოვი

ორატორი საჭიროდ სცნობს, რომ დიდ რაიონებში, სადაც მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა, გაფართოვებულ იქნეს საკრედიტო ამხანაგობათა ქსელი. იმ გარემოების მიზეზი, რომ ღარიბ გლეხებს სესხი ეძლევათ განსაზღვრული რაოდენობით, არის თვით საკრედიტო ამხანაგობის უსახსრობა. ამხანაგობები არ ღებულობენ ბანკიდან სესხს წევრთა რაოდენობასთან შეფარდებით. შემდეგ ორატორი ბანკისა და სოფლის კავშირის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ იმ საკრედიტო ამხანაგობებთან, რომელთაც ევალებათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება, მოეწყოს საწყობები, რისთვისაც უნდა შეიქმნას განსაკუთრებული ფონდი.

ამხ. თავხელიძე

ამხ. თავხელიძე (ბაღდათის საკრედიტო ამხანაგობა) სხვათა შორის, ეხება კოოპერატიული ბანკის ადგილობრივი განყოფილების მუშაობას და ამბობს, რომ ამ ბანკის მიერ კოოპერატივებზე და საკრედიტო ამხანაგობებზე გაცემული კრედიტები არ შეესაბამება იმ საპაიო ანაბრების რაოდენობას, რომელიც მათ აქვთ შეტანილი. შემდეგ იგი საჭიროდ მიზანშეწონილად სთვლის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საინსპექციო და სოფლის კავშირის საინსტრუქტორო აპარატების გაერთიანებას.

ამხ. კაკუშაძე

ამხ. კაკუშაძის აზრით, საკრედიტო ამხანაგობებს ჯერ კიდევ კაი ხანს არ ექნებათ იმდენი თანხები, რომ სავსებით დააკმაყოფილონ ღარიბ გლეხობის საჭიროება. უფრო მიზანშეწონილი იქნება გაძლიერდეს ღარიბ გლეხობის შეკავშირება არტელებათ და კოლექტივებათ, რომელთა მოღონიერება უნდა დაისახონ მიზნად საკრედიტო ამხანაგობებმა.

მეშვიდე სხდომა

გუშინ საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. კალატოზიშვილის მოხსენების გარშემო.

ამხ. გამყრელიძე

ორატორი ამბობს, რომ გეგმიანი მუშაობა ყველაზე უფრო საჭიროა საკრედიტო დარგში. საკრედიტო ამხანაგობებმა თავიანთი საქმიანობა უნდა შეუფარდონ იმ რაიონის ეკონომიურ პირობებს და მცხოვრებთა მოთხოვნილებებს, სადაც მათ მოქმედება უხდებათ. უყაირათობის გამოკიდება საკრედიტო ამხანაგობას აცდენს სწორ გზას და ღალუპავს მას. ამხანაგობებმა ყოველი დამამზადებელი ოპერაციის დაწყებამდე წინასწარ უნდა გაითვალისწინონ თუ რა ფარგლებში უნდა აწარმოონ დამზადება, ეყოფა თუ არა სახსარი დაკისრებულ ვალდებულების შესასრულებლად და სხვა.

ამხ. სალოლაშვილი

ორატორი დიდხანს ლაპარაკობს ბანკის ზოგიერთი მოსამსახურის ბიუროკრატიულ თვისებებზე, რომელიც, მისი გადმოცემით, პირდაპირ აფრთხობს პროვინციიდან ჩამოსულ საკრედიტო საქმის მუშაკებს. თუ მომხსენებელი უარყოფს ამ ჩვენ ბრალდებას, ამბობს იგი,—ეს იმიტომ, რომ მისთვის, როგორც ახლო მდგომ პირისთვის, შეუმჩნეველია ეს ნაკლი. ჩვენ გარეშეები უფრო ვგრძნობთ ამა თუ იმ მოსამსახურის დამოკიდებულებას და ყურადღებას ჩვენდამი და ჩვენ მიერ აღძრულ საქმეებისადმი. ამ ნაკლის აღმოფხვრას გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან იგი დიდათ აფერხებს და ამახინჯებს საერთო საქმეს.

ამხ. წივწივაძე

ამხ. წივწივაძე კვლავ აყენებს იმ საკითხს, რომელიც სოფლის კავშირის საქმიანობის გარშემო გამართულ კამათის დროს აღძრა, სახელდობრ იმ რაიონების ეკონომიური მდგომარეობის გამოკვლევა-შესწავლის შესახებ, სადაც საკრედ. ამხანაგობებს უხდებათ მუშაობა. თუ სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობებს,—ამბობს იგი,—ნათლად გარკვეული არ ექნება, მეურნეობის რა დარგს მოჰკიდონ ხელი, აშკარაა, რომ თავს ვერ დააღწევენ ქრონიკულ უსახსრობას და ვერ გახდებიან გლეხის მეურნეობის წინ წამწევი ფაქტორი. შემდეგ ორატორი ეხება აღმასკომის და სხვა არასაკრედიტო ორგანიზაციების ჩარევას საკრედიტო ამხანაგობის მუშაობაში. აღმასკომის ჩარევას იმ ამხანაგობის მუშაობაში, სადაც მე ვმუშაობ,—ამბობს იგი,—მართლა ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს მოხდა ჩვენი ნებაყოფლობით.

საქმე ის არის, რომ საკრედიტო ამხანაგობა ხშირად რამოდენიმე ათეული ვერსით არის დაშორებული სოფლებს. მან არ იცის, დაშორებული სოფლების გლეხების ნივთიერი მდგომარეობა. ამის გამოსარკვევად ხშირად იგი მიმართავს ადგილობრივ თემაღმასკომს, რომელიც უფრო უკეთ იცნობს გლეხობის ქონებრივ ავლადიდებას, ვიდრე რამოდენიმე ვერსით დაშორებული საკრედიტო ამხანაგობა. სხვადასხვა ორგანიზაციების ჩარევას რომ ადგილი არ ექნეს, საჭიროა ერთი მხრით, შესწავლილ იქნეს წევრთა სოციალური მდგომარეობა და მეორე მხრით გაფართოვდეს საკრედიტო ქსელი.

ამხ. ბაქრაძე

საკრედიტო ამხანაგობათა საკუთარი საშუალების გასაძლიერებლად უნდა გამოინახოს სხვა გზები. იმედის დამყარება ბანკებზე და სხვა დიდ საკრედიტო ორგანიზაციებზე ამხანაგობებს შორს ვერ წაიყვანს. ამხანაგობებმა უნდა გამოიჩინონ უფრო მეტი თვითინიციატივა და მთავარი ყურადღება უნდა გადაიტანონ მუშაობის გაძლიერებაზე სასოფლო მეურნეობის დარგში. პირველ ყოვლისა შესწავლილ უნდა იქნეს ამხანაგობის სამოქმედო რაიონის ეკონომიური თავისებურებანი. ჩვენს სოფლებში ბევრი ისეთი მცენარეა, რომლის გაშენება რენტაბელურია. მაგალითად, ქუთაისის აღმასკომმა საკრედიტო ამხანაგობას გადასცა მიწის ნაკვეთი. აღმოჩნდა, რომ ოდესღაც ამ მიწის ნაკვეთზე მოჰყავდათ იამაიკური ჯინჯერი, რომლისაგანაც მზადდება საუკეთესო ხარისხის [illegible]. ამხანაგობა უკვე შეუდგა ამ მცენარეების გაშენებას. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მას დიდ შემოსავალს მისცემს. ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობის მაგალითი წასაბაძი უნდა გახდეს სხვებისათვისაც.

ამხ. ჯინჯარაული

ამხ. ჯინჯარაული ეხება კრედიტების არათანაბარ განაწილებას. მისი [illegible] ზოგიერთ რაიონის ამხანაგობები ყოველწლიურად ათიათასობით ღებულობენ კრედიტებს, ზოგი კი სრულიად მივიწყებულია. მაგალითად, თიანეთის რაიონში საკრედიტო ამხანაგობას დიდი სამოქმედო ასპარეზი აქვს. გლეხობა აქ ამზადებს ღირსეულ ყველსა და რძის პროდუქტებს. ადგილობრივ ამ პროდუქტებს გასავალი არა აქვს, გლეხებს ეს ნაწარმოები ან თვითონ ჩამოაქვთ ქალაქში და სცვლიან სხვადასხვა საქონელზე, ან თვით ჩარჩი ვაჭრები მიდიან რაიონში და მუქთად უღდებენ გლეხის ნაღვაწ-ნაშრომს. საკრედიტო ამხანაგობას სწადია ხელი მოჰკიდოს ამ საქმეს, მაგრამ საკმაო კრედიტების უქონლობა ხელ-ფეხს უბორკავს. კრედიტების განაწილების დროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარდა, აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა მესაქონლეობა და მეცხვარეობა.

მოხსენების გარშემო ილაპარაკა კიდევ რამოდენიმე ამხანაგმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ყველა რაიონების საჭიროებას არ ექცევა საკმარისი ყურადღება; რომ გრძელვადიანი კრედიტების რაოდენობა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის, რომ სესხის თავის დროზე გაცემას აგვიანდება და სხვა.

ამხ. კ. ჩხენკელი

კამათში მონაწილეობა მიიღო ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე ამხ. ჩხენკელმა, რომელმაც პასუხი გასცა ზოგიერთი ორატორების ჩივილს კრედიტების სიმცირის შესახებ.—არ შეიძლება,—ამბობს ამხ. ჩხენკელი, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკს მოეთხოვოთ ჩვენი გაჭირვებული გლეხობის მრავალმხრივი საჭიროებათა დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება. იმას რა აჯობებდა, რომ მოკლე ვადაში სოფლისთვის მოგვეწოდებია კრედიტები ყველა მის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ სად არის ფული? რატომ არ იკითხავთ შეგვწევს თუ არა ფინანსიური შესაძლებლობა ყველა ჩვენი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად? ვერავინ ვერ უარყოფს იმას, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში სოფლის კრედიტებით უზრუნველყოფის დარგში ბანკმა გააკეთა ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო. ესეც უნდა ახსოვდეთ საკრედიტო ამხანაგობათა მუშაკებს, რომ მთელი იმედების ბანკზე დამყარება და კრედიტების მოლოდინში გულხელდაკრეფილი დგომა ამხანაგობებს შორს ვერ წაიყვანს. საკრედიტო ამხანაგობებმა თვით უნდა გამოიჩინონ მეტი თვითმოქმედება. მათ თავიანთი მუშაობა მარტო გლეხებზე სესხის გაცემით არ უნდა შემოფარგლონ; მათ იმისთვის უნდა იზრუნონ, რომ ამხანაგობათა სალაროებში მოიზიდონ გლეხობის რაც შეიძლება მეტი ანაბარი. ამ მხრით საკრედიტო ამხანაგობებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი.

ამხ. კალატოზიშვილის საბოლოო სიტყვა

ამხ. კალატოზიშვილმა მიმოხილვა გაუკეთა კამათში გამოთქმულ მოსაზრებებს და გასცა პასუხი ორატორების მიერ აღძრულ კითხვებზე. მომხსენებელი არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ ადგილი აქვს კრედიტების დანიშნულ ვადაზე მიუღებლობას, მაგრამ ამ მოვლენის მიზეზი არ არის თვით სასოფლო-სამეურნეო ბანკი და არც მასზეა დამოკიდებული კრედიტების თავის დროზე მიწოდების მოგვარება. საქმე იმაშია, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საკრედიტო გეგმების დამტკიცება უმაღლეს ორგანოებში ხდება დაგვიანებით, რაც გამოწვეულია მთელი რიგ ობიექტური პირობებით.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ზოგიერთი ორატორების საყვედურსა და საჩივარს გრძელვადიანი კრედიტების სიმცირის შესახებ და თავის მხრივ მოჰყავს მაგალითები, თუ როგორ ამოკლებენ ზოგიერთი ამხანაგობები თავიანთი შეხედულებისამებრ გრძელვადიანი კრედიტების ვადას. არის შემთხვევა, როდესაც ამხანაგობას გრძელვადიანი კრედიტის გადახდის ვადა წლიდან და ორი თვით განუსაზღვრავს. საერთო წესის ასე დარღვევა იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს საკრედიტო ამხანაგობებში, სრულიად შეუსაბამოდ მიაჩნია ამხ. კალატოზიშვილს ზოგიერთ ორატორების განცხადება იმის შესახებ, თითქოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში ადგილი ქონდეს ბიუროკრატიზმს. ზოგიერთი ამხანაგი,—აცხადებს მომხსენებელი,—რომელიც პროვინციიდან ჩამოდის სესხის მისაღებად, ხშირად არ უწევს ანგარიშს ბანკის ფინანსიურ შესაძლებლობას და როცა ასეთ ამხანაგს ბანკის გამგეობა ფინანსიურ ხელმოკლეობის გამო, სესხის მიცემაზე უარს ეუბნება, ბანკის ასეთ მოქმედებას იგი ბიუროკრატიულ მოპყრობად სთვლის.

ამხ. კალატოზიშვილის სიტყვით დამთავრდა კამათი სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოქმედების გარშემო.

—:—

დასასრულ ყრილობამ საკრედიტო სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოქმედება დამაკმაყოფილებლად აღიარა და აირჩია კომისია 15 კაცისაგან რეზოლიუციის გამოსამუშავებლად გაკეთებულ მოხსენების მიხედვით.

ინგლისის ჯარების გადაყვანა

ლონდონი, 22 მაისი. თემთა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლოკერ ლემპსონმა ჩინეთის მდგომარეობის შესახებ ლაპარაკის დროს განაცხადა, რომ ახლახან შანხაიდან ვეიხაივეიში გაიგზავნა ინგლისის ჯარების ბატალიონი. მისი სიტყვით, ჯარების ეს გადაყვანა გამოწვეულია სამხედრო მეცადინეობის მიზნით, აგრეთვე იმ მიზნითაც, რომ ჯარებს საშუალება მიეცეთ უფრო შესაფერ ჰავაზე იცხოვრონ.

„გარდა ამისა,—დაუმატა ლემპსონმა,—ეს ჯარები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება ინგლისელი მოქალაქეების სიცოცხლისა და ქონების დაცვა ტიანძინში, რომელიც ერთი დღის სავალზეა დაშორებული ვეიხაივეისაგან". (ადს)

ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობა

ლონდონი, 22 მაისი. ეგვიპტის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა პრემიერის ნახას-ფაშის და ინგლისის უმაღლესი კომისრის ლორდ-ლოიდის მოლაპარაკების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია, რომ ნახას-ფაშამ ინახულა ლოიდი და სთხოვა ეცნობებია ინგლისის მთავრობისათვის, რომ იგი კმაყოფილია კონფლიქტების მშვიდობიანად გადაჭრით, რაც მოხერხდა იმის წყალობით, რომ ინგლისის მთავრობამ გაიგო ეგვიპტის პოზიციის მეგობრული ხასიათი.

ნახას-ფაშამ გადასცა ლორდ-ლოიდს, რომ ეგვიპტის მთავრობას ასულდგმულებს გულწრფელი მეგობრობა ინგლისთან და ურთიერთის გაგება. მემარცხენე ნაციონალისტები მკაცრად აკრიტიკებენ ნახას-ფაშას იმის გამო, რომ მან „მუხლზე წამოიჩოქა" ინგლისის ულტიმატუმის წინაშე (ადს).

ჰაიდერაბადი დამოუკიდებლობას მოითხოვს

ლონდონი, 22 მაისი. ინდოეთიდან მიღებულ ცნობებით, ჰაიდერაბადის ნიზამი მოითხოვს, რომ ბრიტანეთის მთავრობამ ჰაიდერაბადთან ისეთივე პოლიტიკური და ფინანსიური ურთიერთობა დაამყაროს, როგორიც სპარსეთთან და ავღანისტანთან აქვს. ნიზამი ემყარება ხელშეკრულებას და მოითხოვს ჰაიდერაბადის დამოუკიდებლობას. ჰაიდერაბადში იმართება მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებზეც გამოაქვთ რეზოლიუციები და მოითხოვენ, რომ ინგლისის მთავრობამ იცნოს ნიზამი დამოუკიდებელ მმართველად; მას უნდა ეწოდებოდეს „მისი დიდებულება" და არა „მისი ბრწყინვალე აღმატებულება", როგორც ახლაა.

შენიშვნა: ჰაიდერაბადი ინდოეთის ყველაზე დიდი სამთავროა 12.500.000 მცხოვრებით. უზენაესი ძალაუფლება ეკუთვნის ნიზამს, მასთან არსებობს აღმასრულებელი საბჭო 9 კაცისაგან. კანონმდებელი საბჭო შესდგება 23 დანიშნული წევრისაგან. ჰაიდერაბადს აქვს საკუთარი ვალიუტა. (ადს).

საბჭოთა კავშირში

მებამბეობის განვითარებისათვის

კოოპერაცია მებამბეობის რაიონებში

მოსკოვი, 23 მაისი. საკავშირო სახკომსაბჭომ, მოისმინა რა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მოხსენება შუა აზიის მებამბეობის რაიონებში კოოპერატიული მუშაობის შედეგებისა და პერსპექტივების შესახებ, საჭიროდ სცნო არსებულ კოლექტივების განმტკიცება. ახალი კოლექტივების შექმნის გასაადვილებლად, კოლექტიურ მეურნეობებს, ერთეულ მეურნეობებთან შედარებით, 25 პროც. გაუდიდდება ავანსები. გარდა ამისა კოლექტიურ მეურნეობებს მიეცემა სხვადასხვა შეღავათები.

სახკომსაბჭომ აუცილებლად აღიარა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემიდან მებამბეობის კოოპერაციის გამოყოფა იმ რაიონებში, სადაც საამისო ორგანიზაციული და ფინანსიური შესაძლებლობაა. მებამბეობის კოოპერაციამ ბამბის მეურნეობას უნდა მიაწოდოს პური, სასუქი და სასოფლო-სამეურნ. ინვენტარი; მანვე უნდა გაუწიოს აგრეთვე აგროდახმარება.

მებამბეობის კოოპერაციას უნდა გადაეცეს გრძელვადიანი კრედიტის სახით ტრაქტორები, რომლებიც მებამბეობის ორგანიზაციებსა და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატებს ეკუთვნის. (ადს).

ნიჟეგოროდის ბაზრობის წინ

შეღავათიანი ტარიფები

მოსკოვი, 23 მაისი. ვოლგისა და კასპიის სანაოსნო საზოგადოებებმა დააწესეს შეღავათიანი ტარიფები, კასპიის ზღვისა, სპარსეთისა, შუა აზიისა და კავკასიის ნავთსადგურებიდან ნიჟეგოროდის ბაზრობაზე გასაგზავნ ტვირთებისათვის, 15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე. ბაზრობაზე გასაგზავნ ტვირთების შენახვაზეც შემოღებული იქნება მნიშვნელოვანი შეღავათები. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის სესხის მოგებათა ტირაჟი

დნეპროპეტროვსკი, 23 მაისი. დასრულდა ინდუსტრიალიზაციის სესხის მოგებათა მესამე ტირაჟი. საღამოს სხდომას დაესწრო მშრომელთა სამიათასიანი მასსა. გათამაშებულ იქნა მსხვილი მოგებანი. 5.000 მანეთის მოგება ხვდა შემდეგ ნომრებსა და ობლიგაციის სერიებს. სერია 089.503, № 29, სერია 6.695, № 20, სერია 130.990, № 39, სერია 24.155, № 32, სერია 50, 196, № 10, სერია 108.493, № 38, სერია 100.502, № 16, სერია 7691, № 01, სერია 7.379, № 37, სერია 86,444, № 16. 10.000 მანეთის მოგება შეხვდა შემდეგ ნომრებსა და სერიებს: სერია 146080, № 9, სერია 105.128, № 4, სერია 37.121, № 34, სერია 82.979, № 36, სერია 63.300, № 42 25.000 მან. მოგება ერგო სერია 38.999, № 7.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

დახმარება ქუთაისს

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

თანახმად საქართვ. ტეხნიკურ საზოგადოების გამგეობის გამოწვევისა შემომაქვს ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოთ ასი (100) მან., გადადებული საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა მიერ: 1) კორინთელი ნიკ., 2) ჩხეიძე გ., 3) მამრაძე პ., და 4) მჭედლიშვილი (ათ-ათი მან.), 5) ვოინოვ-სიაანოჟენცკი გ., 6) ფერაძე კ., 7) ხოჯაშვილი მ., 8) ახალკაცშ., 9) ლოხაბერიძე ა., 10) გოგიჩაიშვილი ა., 11) კანდელაკი ა., 12) გუნია დ., (ხუთ-ხუთი მან.), 13) შერმაზანაშვილი ა., 14) გუგუშვილი ა., (ოთხ-ოთხი მან.), 15) ასათიანი ი., 16) ბურდიაშვილი ი., 17) მგალობლიშვილი ს. და 18) ჯაფარიძე ა. (სამ-სამი მანეთი).

ვიწვევთ ინჟენერ-ტეხნიკოსებს საქ. გზატკეცილთა სამმართველოდან, საქ. უმაღ. სამ. საბჭოდან, რიონჰესიდან და თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობ განყოფილებიდან.

—:—

რკინის გზის მე-10 შრომის სკოლის პედაგოგიურ პერსონალს ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოაქვთ 73 მანეთი და იწვევს რკინის გზის ყველა სკოლებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუტანიათ თავიანთი წვლილი.

რკ. გზის. მე-10 შრომ. სკოლ. პედ. საბჭო.

—:—

ა.-ფ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამართველოს ადგილკომს შემოაქვს 146 მანეთი, გაღებული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

—:—

შემომაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ეთერი ჩხეიძეს, მერი ნადირაძეს, დათუნა კვიცარიძეს და სანჩერიდან—მერი ჯაჯანიძეს და პატ. გლენდონ კალმახელიძეს.

ქუკუნია ფარჯოსაძე.

—:—

როდამ ხაგანაშვილის გამოწვევით ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მან. და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: ნინა გივიშვილს, ზეინაბ დვალს, ენვერ გორდელაძეს, ვაცა მანსვეტოვს, კუკური ლაბაძეს, ქეთო და ოთარ დავლიანიძეებს და ვლადილენ ზულუმიანს.

გიუი ლაბაძე.

—:—

ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მან. (1 მან) და ვიწვევ: ნ. ლეთოდიანს, ნ. კობახიძისას, კ. ბაქრაძისას, თ. წულუკიძისას, ნ. ვაჩაძისას, ს. იაშვილისას, მ. ჯაფარიძისას, მ. ყრუაშვილისას, მ. ქიქინაძეს ო. ივარდავას.

ნადია იაშვილი.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ რკინის გზის მე-9-ე შრომის სკოლის მოწაფეებმა შევაგროვეთ 14 მანეთი 30 კაპ., რასაც ამასთანავე ვადგენთ.

რკ. გზ. მე-9-ე შრ. სკოლის მოწაფე
ა. ჭრიკიშვილი.

—:—

თამაზ თევზაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ტოლ-ამხანაგებს: ტუტკუ მაჭავარიანს, მერი და გრიშა კიზირიებს, აჩიკო და ეთერი ჩხეიძეებს, ლევან და რუსიკო ყიფიანებს და ციცილია ყორყოლიანს.

რევაზ შალვასძე ტყავაძე.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი შოთა თხილავას გამოწვევის თანახმად და ვიწვევ შემდეგ პირებს: ვეფხო აკობაშვილს, ნურა ახობაძეს, კარლო ახობაძეს, ბუხუტი რუხაძეს.

როზა ახობაძე.

—:—

ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ მეგობრებს: ზეინაბ და თალიკო თაყაიშვილებს, ივიკა შოთაძეს, ზურიკო ქვარიანს და თამაზ ჯანელიძეს, მეგი ბეჟაშვილს და ოთარ ბეჟუაშვილს, გურუტო და რეზიკო იოსელიანებს, ალიკო მარგველაშვილს.

დათუნა ყიფიანი.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: რუსიკო და თემო გეგელიძეებს, მარინე და გივი ლუდუშაურებს და თინიკო ჩიკვაიძეს.

მზია ჩხეიძე.

—:—

ოთარ ნიკოლაიშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ ქვემო-მოხსენებულ ამხანაგებს: კოტიკა მესხიძეს, თენგიზო ბაქანიძეს, ოთარ ქორიძეს, ზურაბ კაციტაძეს, ეთერსა და დიდი ბროკიშვილებს, ციხო ხელაძეს, ილიკო თენიეშვილს, ლეილა მარშანიას, ვალოდია ნიკოლაიშვილს.

თენგიზო ნიკოლაიშვილი.

—:—

ხოლიკო კენჭიაშვილის გამოწვევით შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ: მიშა თორდანიშვილს, ნინა სოხელიას, მარია კაჭარავას, ნათელა დედაბრიშვილს, თამარა ბათიაძეს, თამარა მეტრეველს, ლიუბა კოხრეიძეს, ალექსანდრე ხერხეულიძეს და გრიშა ბაქრაძეს.

ნ. ხერხეულიძისა.

—:—

თენგიზ ლოლობერიძის გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: ცირალა მჟავანაძეს, გოგი ნახუცრიშვილს, დიმკა გრიგორიაშვილს, თინიკო ერისთავს, ირაკლი სოკოლოვს, ლიალია მჟავანაძეს, ავთანდილ სახვაშვილს, ვანო ბეჟიტაშვილს, ვახტანგ ლალანიძეს.

ბიჭიკო ანანია მჟავანაძე.

—:—

მარტყოფის სკოლის მეოთხე ჯგუფის მოწაფეებს შემოგვაქვს ქ. ქუთაისის ცეცხლისაგან დაზარალებულ მოწაფეთა სასარგებლოთ 2 მანეთი და ვიწვევთ შემდეგ სკოლებს, მარტყოფის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას, ნორიოს თოთხლედს, ახალი-სოფლის, სართიჭალის, პატარძეულის და ლილოს სკოლის მოწაფეებს.

—:—

დოდოჩია კლდიაშვილის გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: ვალიკო ხუხუას, ლამარა წერეთელს, ეთერი ფახუაშვილს, სულიკო თევდორაძეს, ნოდარ ნოდიას, ლიანა კალანდარიშვილს, ცაცა კაჭარავას, ზაჩანა დემურიას, ტიბი ნოდიას, გოგო წოწვიძეს.

ტოლია ვარლამისძე ნადარეიშვილი.

—:—

თანახმად ლამარა გაბუნიას გამოწვევისა შემომაქვს 3 მან. და ვიწვევ: რეზო, მადლენა და ეთერი ბერძენიშვილებს, თენგიზო ნიკოლაიშვილს, ნოდარ ჩხეიძეს, ირა აკოფოვს, სულიკო ჩიხობერიძეს, ეთერი ჯანჯღავას, თინა და ვანიკა ჩხარტიშვილებს.

ელგუჯა ისიდორესძე ბერძენიშვილი.

—:—

რეზო კალაძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ კარლო გვაზავას, ლილი ბახტაძეს, თინა ბახტაძეს და ნელიკო კაშიაძეს.

თალიკო დავითის ასული გვაზავა.

—:—

ნანული ჭირაქაძის გამოწვევით შემომაქვს 2 მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ მარინე საყვარელიძეს.

ედიშერ აკაკისძე მენაბდე.

—:—

ქ. თბილისის № 1 ხე-ტყის სახერხ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს შემოაქვთ ქუთაისის ფონდში ერთი დღის ხელფასი ას თოთხმეტი მან. და 8 კ. რაოდენობით და იწვევენ: ს. ტ. მ. ტრესტის სამმართველოს, თბილისის გრეხილ აბრეშუმის ფაბრიკას, ერთეულთა ადგილკომს და ფოლაქების ფაბრიკებს: „ლებედს" და „კოლხიდას".

ქარხკომი.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად გუშინ „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა—356—30, სულ წინად შემოსულთან ერთად—12.240—71.

გამოხმაურება

რკინისგზელთა პროფკავშირის მიმართვა

ამ.-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირმა რკინის გზის ყველა პროფორგანიზაციებს მიმართა წინადადებით, რომ რკინისგზელთა შორის ჩაატარონ ფართო კამპანია ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა დახმარების აღმოჩენის მიზნით. პროფკავშირის მიმართვას გამოეხმაურენ ყველა პროფორგანიზაციები. შემოწირულებათა შეკრება დაიწყო ამიერ-კავკასიის მთელ რკინის გზის ხაზზე. განსაკუთრებული სიცხოველით კამპანია ტარდება სომხეთის რკ. გზ. ხაზზე და კერძოთ ლენინაკანის რკინისგზელთა შორის.

წითელი ჯვარის საზ-ბის თანამშრომელთა წვლილი

საქართ. წითელი ჯვარის საზოგადოების თანამშრომელთა საერთო კრებამ ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდო ერთი დღის ხელფასი.

ერთი დღის ხელფასი

სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებმა ხანძრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად გადასდეს ერთი დღის ხელფასი.

დაზარალებულთა ფონდის გასაძლიერებლად

ქუთაისის სამაზრო პროფბიუროს უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებელ ფონდის გაძლიერების შესახებ.

სამაზრო პროფბიურომ დაადგინა: ხანძრისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდის გაძლიერების მიზნით ყველა წარმოება-დაწესებულებებში ადგილკომების საშუალებით ჩაატარონ ფართო აგიტაცია-პროპაგანდა.

კავშირების განკარგულებაში არსებულ კინოებში ჩატარებული იქნეს სეანსები და შემოსავლის 50 პროცენტი გადადებულ იქნეს დაზარალებულთა ფონდის გასაძლიერებლათ.

მუშათა კლუბებში მოეწყოს წარმოდგენები და მთელი შემოსავალი მოხმარდეს დაზარალებულთა ფონდის გაძლიერებას.

დაზარალებულთა ფონდის გასაძლიერებლათ შეკრებილი ფული კავშირებმა და რაიონულმა სამდივნოებმა უშუალოთ უნდა შეიტანონ კომუნალურ ან სახელმწიფო ბანკში და აღმასკომის სალაროში, ხოლო ცნობა უნდა გადაუგზავნონ პროფბიუროს.

ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ

საქართველოს კომუნალურ ბანკის და „თბილისის ვაჭრობის" თანამშრომლებმა ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდის გასაძლიერებლად გადასდეს ერთი დღის ხელფასი.

დამწვარი რაიონის აღსადგენად

ბინათ კავშირის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებამ დაადგინა ქუთაისის გადამწვარი რაიონის აღსადგენად გადასდოს ერთი დღის ხელფასი.

578 მანეთის გადადება

ცეკავშირის თანამშრომლებმა ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გაიღეს 578 მანეთი.

დახმარება ცეცხლისაგან დაზარალებულთ

საქ. ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ განყოფილების პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა დასახმარებლად ქუთაისის ქალთა განყოფილებას გადაუგზავნოს 200 მანეთი.

„საქართველოს ღვინო"-ს მუშა-მოსამსახურეთა შორის

„საქართველოს ღვინის" მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ ერთხმად დაადგინა გაიღოს თავისი წვლილი მოძმე ებრაელთა დასახმარებლად ერთი დღის ხელფასის რაოდენობით, რაც დაახლოებით 500 მანეთს შეადგენს.

„საქართველოს ღვინის" გამგეობამ წარმოების თანხებიდან გაიღო ამავე მიზნისათვის 500 მანეთი.

რკინის გზის მთავარ სახელოსნოში

ქუთაისის შემაძრწუნებელმა ამბავმა მთავარ სახელოსნოს მუშებს შორის გამოიწვია დიდი თანაგრძნობა. გამოძახილი. 14 მაისს ნაშუადღევს შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებამ ერთხმად დაადგინა ქუთაისის უსახლკაროდ დარჩენილთა სასარგებლოდ გადასცეს თვიური ჯამაგირის ერთი პროცენტი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა

მმართველი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საზი სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეში იქითკენ არის მიმართული, რომ მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინონ ღარიბ და საშუალო გლეხობას თავიანთი მეურნეობის გასაუმჯობესებლად. ამასთან ერთად მთავარ ამოცანად სდგას სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია, წვრილ მეურნეობათა გაერთიანება ნებაყოფლობითი საფუძველზე და ამგვარად სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა.

ამ მიზნით როგორც კოლექტივებს, ისე მეურნე გლეხებს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებიდან ეძლევათ სესხი ძლიერ ხელსაყრელ პირობებში. გაცემული სესხი აუცილებლად უნდა მოხმარდეს სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს. სესხის მიმღებმა ნასესხი თანხებით უნდა შეიძინოს მუშა-საქონელი და გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

საკრედიტო ამხანაგობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ თავიანთი დანიშნულების შესრულება, თუ მათი ხელმძღვანელები სათანადო ცოდნით იქნებიან აღჭურვილნი. ამასთან ერთად საჭიროა პასუხისმგებლობის გრძნობა და ნაკისრ მოვალეობისადმი პირნათლად მოპყრობა. უამისოდ საკრედიტო ამხანაგობები ვერ გაამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. გამგეობის საქმიანობას მტკიცე კონტროლს უნდა უწევდეს სარევიზიო კომისია, ხოლო თავის მხრივ გამგეობამ თვალყური უნდა ადევნოს, თუ რამდენად ხმარდება თავის პირდაპირ დანიშნულებას საკრედიტო ამხანაგობიდან გაცემული სესხი.

მაგრამ მარტო ამ ფუნქციით როდი ამოიწურება საკრედიტო ამხანაგობების საქმიანობა. ისინი აწარმოებენ აგრეთვე ოპერაციებს სამეურნეო იარაღების შესაძენად და სოფლის ნაწარმოების სარეალიზაციოდ. ეს მუშაობა ფრიად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანია. ამით გლეხობას საშუალება ეძლევა თავი დააღწიოს ჩარჩების თარეშს და თავიანთი ნაწარმოები ხელსაყრელ ფასებში გაასაღონ.

ამიტომ საკრედიტო ამხანაგობების მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ამ ორგანიზაციას. საკრედიტო ამხანაგობების გამგეობებში უნდა ავირჩიოთ საქმის მცოდნე და მუშაობით დაინტერესებული პირები. სარევიზიო კომისიებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური გამგეობის მუშაობას და ბოროტმოქმედებაში შემჩნეულ პირს სასტიკი პასუხი მოეთხოვოს.

ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა საკრედიტო ამხანაგობების მუშაობაზე. ასეთი ზომებით ჩვენ ადვილად შევძლებთ ყოველგვარი ნაკლულოვანებების აღმოფხვრას ამ მნიშვნელოვან ორგანიზაციაში.

გლეხკორი

დაუსჯელი არ უნდა დარჩეს

დუმანისის თემი, ბორჩალოს მაზრა

საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს ღარიბი გლეხობის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით სოფლად გახსნილია სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები, რომელთა დანიშნულებაა მიაწოდოს ღარიბ გლეხობას სესხი სამეურნეო იარაღების და მუშა-საქონლის შესაძენად. მაგრამ იმათ საკითხი, თუ როგორ ასრულებენ ხელისუფლების ამ ღონისძიებებს ზოგიერთი სოფლის მიერ ამორჩეული პირები?

თუ რამდენად მასხრად იგდება ხელისუფლების ასეთი საზი სოფლად, ჩვენ მოვიყვანთ ამის ერთ მაგალითს: ბაშკიჩეთის საკრედიტო ამხანაგობამ დუმანისის თემს გადასცა განსაზღვრული თანხა ღარიბ გლეხებზე სესხად დასარიგებლად. სოფ. ვარდის-უბნის საბჭოს წევრმა მოქ. არსენ მიქელიანცმა ისარგებლა რა ამ შემთხვევით, განუცხადა ამავე სოფლის მცხ. არსენ და სამონ მოსესიანცებს: „თუ სამ-სამი დღე მომიმუშავებთ ბაღში, იმ ფულს თქვენ გარგუნებთ, თუ არა და სხვას მივსცემ".

გაჭირვებული მოსესიანცები დაეთანხმნენ მუშაობაზე. საბჭოს წევრმა არსენ მიქელიანცმა ამუშავა ბაღში მოსესიანცები სამ-სამი დღე და სამაგიეროდ მისცა საკრედიტო ამხანაგობიდან ხუთ-ხუთი თუმნის სესხად აღების უფლება.

საბჭოს ასეთი ულირსი წევრი დღესაც არხეინად თარეშობს და მის უკანონო მოქმედებას არავინ ყურადღებას არ აქცევს. საჭიროა მიქელიანცს სასტიკი პასუხი მოეთხოვოს.

ნ.

ასურეთ-ალბულაღის აგრონომიული პუნქტი

(წერილი სოფ. სალთვაშენიდან)

ასურეთ-ალბულაღის გაერთიანებული აგრონომიული პუნქტი მდებარეობს რაიონის შუა ადგილას, სოფ. სალთვაშენში. რაიონში შედის თელეთის, ასურეთის, ბოგვის, ალბულაღის, დუმანისის და ოძისის თემები. ამ რაიონს ემსახურება სამი აგრონომი.

რაიონში 1-ლ აპრილისათვის ირიცხებოდა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები, კომუნები და ამხანაგობები შემდეგ თემებში: თელეთში—სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი, სოფ. კუმისში—სამანქანო ამხანაგობა, ასურეთში—5 სამანქ. ამხანაგობა; სოფ. [illegible], ბორბალოში, მუხათში, [illegible] და [illegible]. ასურეთშივე ჩამოყალიბდა მეღვინეთა და მეტყევეთა არტელი და ამხანაგობა. ბოგვის თემში: სამანქანო ამხანაგობა—სოფ. დენაგეთში, ალბულაღის თემში: კომუნა,—ალბულაღში მერძეველთა არტელი—კონსტანტინოვკაში; სამანქანო ამხანაგობა — [illegible]; მერძეველთა არტელი სოფელ [illegible]. კოლექტივებში უმთავრესად გაერთიანებულია ღარიბი გლეხობა.

საერთოდ რაიონში კოლექტივებისადმი ლტოლვა ძალიან დიდია გლეხობაში. აგროპუნქტის აგიტაციამ დიდი გავლენა იქონია ამ მხრივ გლეხობის შეგნებაზე. თითქმის ყველა სოფლებში მომზადებულია ნიადაგი კოლექტივების ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ ხელის შემშლელი პირობებიც ბევრია სოფლის კოლექტივიზაციის [illegible] ჩატარებისათვის. მთავარი ისაა, რომ არც ერთი სახის წესდებები არ არის დღემდე ადგილებზე. რაიონში არსებული კოლექტივები უმეტეს შემთხვევაში არ არიან ამის გამო გატარებული რეგისტრაციაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ არ არის სათანადო ხელმძღვანელობა ცენტრალურ დაწესებულებებიდან. თემ-აღმასკომები კოლექტივებისადმი არ იჩენენ მზრუნველობას, ხოლო პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციები ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობენ ადგილობრივ აგრონომიულ ძალებთან და ხელს უწყობენ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციას.

კოლექტივიზაციის განვითარების მიზნით საჭიროა შემდეგი ღონისძიებები: 1. კოლექტივების ყოველგვარ სახეებისათვის წესდებების დროზე შემუშავება; 2. საკრედიტო ამხანაგობები პირველ რიგში დახმარებას უნდა უწევდენ კოლექტივებს; 3. ადგილობრივი აგრონომიული პუნქტები მომარაგებული უნდა იქნენ სამეურნეო იარაღებით და სარემონტო სახელოსნოებით.

ადგილობრივი.

გლეხკორთა წერილებიდან

აღარ უქმობთ

ს. ზემო-ბეშეთი, გორის მაზრა

ზემოხსენებული სოფლის გლეხობამ ერთხმად გამოიტანა დადგენილება საეკლესიო დღესასწაულის „ელიობა"-ს უარყოფის შესახებ, რომელსაც უქმობდენ 28 მაისს. ამ დღეს გლეხობა იმუშავებს სასოფლო გზის გასაკეთებლად.

ზემო-ბეშეთელი.

ხელმძღვანელობა გაუწია

შინდისის თემი, გორის მაზრა

შინდისის თემის გლეხობა დიდ სიძნელეს განიცდიდა სასოფლო გზების უვარგისობის გამო. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. [illegible], რომელმაც დაათვალიერა თემი და წინადადება მისცა თემაღმასკომს გზების გაფართოებისა და შეკეთების შესახებ, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

ე. ე—შვილი.

„მოუსვენარის" წერილის გამო

17 მაისს გაზ. „კომუნისტი"-ს № 112-ში მოთავსებული იყო წერილი შემდეგი სათაურით: „ნათლიმამობა დაუშვებელია", „მოუსვენარის" ხელმოწერით. წერილის ავტორი ბრალს სდებდა გორდის თემის შვიდწლედის გამგეს გრიგოლ ჩიქოვანს, ვითომც მან მასწავლებლის თავისუფალ ადგილზე მოიწვია თავისი ბიძაშვილი ჩიქოვანის ქალი. ამის გამო ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილება გაცნობებთ, რომ ჩიქოვანის ქალის მოწვევა მასწავლებლად მოხდა გორდის თემაღმასკომის შუამდგომლობის თანახმად, რაც დაადასტურა განათლების განყოფილებამ და არა გრიგოლ ჩიქოვანის პირადი სურვილით. თემაღმასკომის შუამდგომლობა განყოფილებაში ინახება.

განათ. განყ. გამგე ი. ჭუმბურიძე

ა.-ფ. ეკონომსაბჭოში

ა.-ქ. სას.-სამ. კოოპერაციის ცენტრი.

ამიერ-კავკ. უმაღლესმა ეკონომსაბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე გამოჰყო კომისია ამხ. ბუკრეევის, კ. ჩხენკელის, სმირნოვის, გრიგორიანის და გაჯინსკის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა დაამუშაოს ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის მოწყობის საკითხი.

კომისიას დაევალა თავისი დასკვნები წარადგინოს ამიერ-კავკ. ეკონომსაბჭოში არა უგვიანეს 1 ივნისისა.

კრედიტების ნუსხა

ამიერ-კავკ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული გლეხობისათვის 1927—28 წელში სას.-სამ. იარაღ. მანქანების მიყიდვის დროს მისაცემ კრედიტების ნუსხა.

სააქციო საზ-ბა „ხალიჩა"

ამიერ-კავკ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად და აუცილებლად სცნო სააქციო საზ. „ხალიჩა"-ს დაარსება. საზ. „ხალიჩა"-ს ფუნქციებში შედის ხალიჩების წარმოება და ექსპორტი.

გეოლოგიური კომიტეტის ექსპედიციის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საკავშირო გეოლოგიური კომიტეტის სპეციალისტთა ექსპედიცია გეოლოგ ნ. ვასოევიჩის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის ჩამოსვლის მიზნისა და დანიშნულების შესახებ გეოლოგმა ვასოევიჩმა ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— საბჭოთა კავშირის გეოლოგიურმა კომიტეტმა გამოიმუშავა თავისი მუშაობის ხუთწლიანი გეგმა, რომელშიაც საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევას უკავია პირველი ადგილი. საქართველო თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით საყოველთაოდ ცნობილი ქვეყანაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოში ბევრგან მოიპოვება ნავთის ახალი წყაროები, რომლებიც ჯერ-ჯერობით ნაწილობრივ ან სრულიად გამოუკვლეველია, ან არაა ჯეროვნად შესწავლილი. გეოლოგიურ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს უახლოეს 5 წლის განმავლობაში შეისწავლოს კახეთის ყველა ნავთის წყაროები, რომელთა შორისაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ—ზემო-ხოდაშენის, ილდოკანის და შირაქის რაიონები.

ნავთის წყაროების გამოკვლევა თავიდან უნდა იქნეს დაწყებული, რადგანაც ჯერ ამ საკითხზე საფუძვლიანად არავის უმუშავნია; სხვადასხვა ნავთის სამრეწველო ამხანაგობები მარტო იმით იყვნენ დაინტერესებული, რომ ნავთი ეპოვნათ და დაეწყოთ მისი უხეში ექსპლოატაცია.

წელს გეოლოგიური კომიტეტი საქართველოში გზავნის რამოდენიმე ექსპედიციას. ორი ექსპედიცია იმუშავებს ნავთის რაიონების ტოპოგრაფიული რუქის შესადგენად, ხოლო დანარჩენი ექსპედიციები ჩაატარებენ გეოლოგიურ გამოკვლევებს. ჩვენი ექსპედიციის სამუშაო რაიონად დანიშნულია თიანეთის უბანი. აღნიშნულ რაიონში ჩვენ უნდა შევისწავლოთ ყველა ის ბუნებრივი სიმდიდრეები, რომლებიც შეგვხვდება.

ცნობისათვის შეიძლება გადმოგცეთ, რომ გეოლოგიური კომიტეტის მასალებით ილდოკანში (კახეთი) 1913 წლამდე მუშაობა უწარმოებია ორ ნავთის მრეწველთა საზოგადოებას. ორივე საზოგადოებას გაუთხრია თითო-თითო ჭაბურღილი და მიუღია საკმაოთ ძლიერი ნავთის შადრევანი. აღნიშნული საზოგადოებები უმთავრესად უცხოელებისაგან შესდგებოდენ და ამიტომ დიდი ომის დაწყებისთანავე საზოგადოებები დაიშალენ და ჭა-ბურღილებიც გაფუჭდა.

გეოლოგიური კომიტეტის ერთი ექსპედიცია წელს მხოლოდ აღნიშნული ნავთის წყაროების გამოკვლევა-შესწავლაზე იმუშავებს.

ყველა გეოლოგიური ექსპედიციების საერთო ხელმძღვანელად დანიშნულია ცნობილი მეცნიერი პროფ. ვ. რენგარტენი.

მოსალოდნელია თუ არა ეპიდემიები

მიმდინარე ზაფხულზე

— ამ კითხვაზე კატეგორიული პასუხის გაცემა,—განაცხადა ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე ჯანსახკომის სან.-ეპიდემიური განყოფილების უფროსმა ამხ. ლ. ნაზარეტიანმა,—ძალიან ძნელია. ეპიდემიების გავრცელების წყარო ორგვარია: ერთი—როდესაც ეპიდემია გადმოდის მეორე ქვეყნიდან და მეორე—როდესაც ეპიდემია ჩნდება თავის სახელმწიფოს შიგნით.

ამა თუ იმ ქვეყანაში ეპიდემიების გაჩენის შესახებ ჯანსახკომი სისტემატიურად ღებულობს ცნობებს, ჟენევაში ერთა ლიგასთან არსებულ ჰიგიენური კომიტეტისაგან. გაზაფხულის განმავლობაში მივიღეთ ცნობა, რომ ზოგიერთ შორეულ ქვეყნებში, უმთავრესად წყნარ ოკეანეს კუნძულებზე, ადგილი აქვს გადამდებ ეპიდემიებს.

საქართველოში ასეთი შორეული ქვეყნებიდან ეპიდემიის შემოტანის შიში არ უნდა გვქონდეს. შიში მაშინ გვმართებს, რომ ეპიდემიებს ადგილი ჰქონდეს ჩვენს მოსაზღვრე ქვეყნებში (თურქეთში, სპარსეთში, და სხვ.), ამ ქვეყნებიდან კი ეპიდემიების არსებობის შესახებ არაფერი ისმის.

მიუხედავათ ამისა, ჩვენი სანავსადგურო კარანტინებს მაინც დიდი სიფხიზლე მართებთ, რომ არავითარი ინფექცია არ შემოიპაროს უცხოეთიდან.

გასულ ზამთარში,—ამბობს შემდეგ ამხ. ნაზარეტიანი, ადგილი ჰქონდა გრიპის, ხუნაგისა, და ქუნთრუშას ეპიდემიას. ეპიდემიებთან მებრძოლი სპეციალური [illegible] მუშაობით ხუნაგისა და ქუნთრუშას ეპიდემია მოკლე დროში იქნა მოსპობილი, ხოლო გრიპი შედარებით უფრო დიდხანს გაგრძელდა.

ზაფხულის პერიოდი კი ყოველთვის ხასიათდება სეზონური ხასიათის ეპიდემიებით. ხშირია ე. წ. მუცელა, კუჭ-ნაწლავების დაავადება და ზოგჯერ ადგილი აქვს ხოლერასაც. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ წელს სანიტარული თვალსაზრისით რესპუბლიკა ამჟამად კარგ მდგომარეობაშია, მაშინ შესაძლებელი გახდება იმის თქმა, რომ ზაფხულზე ეპიდემიებს ადგილი არ ექნება.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა უნდა [illegible] თავისი ყურადღება და მუშაობა, რათა ყოველგვარი წინასწარი ზომები მიიღონ ეპიდემიების გავრცელების შესაძლებლობის სათავეშივე ჩასაკლავად.

დახმარება ადგილობრივ მრეწველობას

(თათბირი ს. მ. უ. ს. ადგილ. მრეწველობის განყოფილებაში)

გუშინ, ს. მ. უ. ს. ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებაში შესდგა სპეციალური საუწყებათაშორისო კომისიის თათბირი ადგილებზე დაწყებულ აღმშენებლობისათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგემ ამხ. მზარეულაშვილმა თათბირს გააცნო, რომ მთელ რიგ მაზრებში დაწყებულია ახალი წარმოებების აგება. ზოგიერთ ადგილებში, როგორც მაგალითად ახალქალაქის მაზრაში წარმოებათა ნაწილი უკვე ამუშავებულია, მაგრამ მათი მოქმედების ფართოდ გაშლის შესამჩნევად აბრკოლებს საბრუნავი თანხების სიმცირე. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია სოფ. ბეჟანოში ამუშავებული რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხანა. ლეჩხუმის მაზრაში გადაწყვეტილია 2 აგურ-კრამიტის ქარხნის აგება. აღნიშნულ ქარხნების მოწყობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ლეჩხუმის მაზრის ეკონომიკაში, ვინაიდან ჯერ ერთი, უფრო გაიაფდება საამშენებლო მასალა და მეორეც კრამიტის დამზადებით დაცული იქნება მაზრის ტყეები, რომლებიც ამჟამად იჩეხება ყავრის დასამზადებლად.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა, რომელსაც დაესწრნენ სახელმწიფო ბანკის და სამრეწველო ბანკის წარმომადგენლებიც, გადასწყვიტა მისცეს ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომს—15.460 მანეთი გრძელვადიანი სესხის სახით. სენაკის კომუნალურ ტრესტს გადაწყვეტილია მიეცეს—15.000 მანეთი მესამე კვარტალში და 15.000 მანეთი მეოთხე კვარტალში. ეს კრედიტი სენაკის ტრესტმა უნდა მოახმაროს სატყეო მასალის გადაზიდვის საკითხის მოგვარებას. ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს, ბეჟანოს ქარხნის საბრუნავი თანხის გასაძლიერებლათ მიეცა—6.000 მანეთი. ახალციხის სამაზრო აღმასკომს—საკრახმალე ქარხნისათვის კარტოფილის პარტიების დასამზადებლათ მიეცა—15.000 მანეთი მოკლევადიანი სესხის სახით. ლეჩხუმის აღმასკომის ხელზე გაცემული თანხა (15.460 მან.) საჭიროა მოხმარდეს მაზრაში ორი აგურ-კრამიტის ქარხნის აგებას.

პროლეტარულ ბავშვთა დღესასწაული

20 მაისიდან დაიწყო ბავშვთა მე-8 საერთაშორისო კვირეული.

ბავშვთა კვირეული ისე, როგორც ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, ბურჟუაზიის სამფლობელოში გამოხატავს პროლეტარულ ბავშვთა ბრძოლას, მშრომელ ბავშვების დაუნდობელი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული სკოლის მკაცრი კანონების წინააღმდეგ, საზოგადოების სოციალურ უთანასწორობის წინააღმდეგ, მუშათა კლასის დიქტატურის დასამყარებლად.

პიონერების საწარმოო მუშაობა

აი, რატომ ატარებს ბავშვთა საერთაშორისო კვირეული უდიდეს პოლიტიკურ და რევოლუციონურ ხასიათს.

საბჭოთა ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატის ურყევი ბატონობა უკვე მეთერთმეტე წელშია გადასული, ბავშვთა საერთაშორისო კვირეული ტარდება სულ სხვა ლოზუნგების ქვეშ.

ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, უმთავრესად კი ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ ბრძოლა, ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერება, კაპიტალისტურ ქვეყნების ჩაგრულ ბავშვებისათვის დახმარების აღმოჩენა, სოციალისტურ მშენებლობისათვის ხელის შეწყობა,—აი ეს ლოზუნგებიც.

პიონერები ამზადებენ პლაკატს დემონსტრაციისათვის

კაპიტალის მკაცრი იერიშები, მიმართული მშრომელთა მასების წინააღმდეგ პროლეტარულ ბავშვებსაც არ სტოვებს, პირიქით, ეს იერიშები, რაც დრო გადის, მით უფრო აუტანელი ხდება მათთვის, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მარტო ნიუ-იორკში მანუფაქტურის წარმოებაში ჩაბმულია 6.288 ბავშვი, რომლებიც დღიურად 12-15 საათამდე მუშაობენ, მოწმობს მცირე წლოვანთა საშინელ ექსპლოატაციის წითელ საზღვრებს იქეთ.

„იდეოლოგიურ" ანუ „პოლიტიკურ" ექსპლოატაციაზე" ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

ღვთისა და ბურჟუაზიის [illegible] გვა, საბჭოთა კავშირისადმი ბოროტი გრძნობების გაღვივება მოწაფეებში—ბურჟუაზიული სკოლის მთავარი დანიშნულებაა.

ბავშვთა კვირეულის დროს კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვთა კომორგანიზაცია, რომელშიაც გაერთიანებულია მრავალი ათასი მშრომელი ბავშვი, მკაცრი პროტესტით გამოდის კაპიტალისტების თვითნებობისა და რევოლუციონურ მასების დევნის წინააღმდეგ; ნორჩ პროლეტარებს სწამთ, რომ ბრძოლა კლასობრივ მტერთან მთავარი პირობაა პოლიტიკურ და ეკონომიურ უფლებათა მოსაპოვებლად, ეს არის ბრძოლა, რომელიც გადაარჩენს ბურჟუაზიის სისხლიან კლანჭებისაგან რევოლუციონერთა შვილების საუკეთესო კადრებს.

ბავშვთა საერთაშორისო კვირეული გამოიწვევს საზღვარგარეთელ ბავშვთა კომორგანიზაციების დარბევას, ეს გარემოება ავალებს საბჭოთა კავშირის პიონერებს ყოველგვარი ზომები იხმარონ მოძმე ორგანიზაციებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, ხელი შეუწყონ მათ მუშაობას და გაუზიარონ მათ თავიანთი გამოცდილება.

ჩვენში კი პიონერ ორგანიზაცია მოითხოვს საბჭოთა საზოგადოებრიობის, უმთავრესად პარტიისა და კომკავშირის აქტიურ მზრუნველობას და დახმარებას, რაც უნდა წარიმართოს პიონერ კოლექტივებზე ხელმძღვანელობის გაძლიერების, ბავშვთა შორის გამოცდილ მუშაკების გაგზავნის და საჭირო მატერიალური ბაზის შექმნის ხაზით.

მხოლოდ ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება გამხეცებულ კაპიტალისტების მიერ დარბეულ საზღვარგარეთელ ორგანიზაციების აღდგენა. და ჩვენი მესამე თაობის რევოლუციურად აღზრდა.

ბ. ბუ—ლი.

ნავთის პროდუქტების ექსპორტი

ნავთის სინდიკატის ბათომის განყოფილების ცნობებით, ნავთის პროდუქტების გატანის გეგმა 1927—28 წლის პირველ ნახევარში, მიუხედავათ მთელ რიგ არახელსაყრელ პირობებისა (რკინისგზის წალეკვა, ქარბუქი, მატარებლების დამსხვრევა და სხვა) შესრულებულია მთლიანად.

ამ ხნის განმავლობაში საზღვარგარეთ გატანილია მილიონ ტონაზე მეტი ნავთის პროდუქტები, წლიური გეგმა კი გულისხმობს—2.129.000 ტონის გატანას. საექსპორტო გეგმის წარმატებით შესრულებას ხელი შეუწყო ახალი საქაჩავების დადგმამ, ნავთის მიწოდების ნაწილობრივმა ელექტროფიკაციამ და სხვა ღონისძიებებმა, რამაც 1926—27 წელთან შედარებით გაადიდა ნავთსასხმელ სადგურების გამტარუნარიანობა და ნავთის ჩასხმა გემებში დააჩქარა საშუალოდ სამჯერ.

უცხოეთის ქვეყნების მოთხოვნილება საბჭოთა ნავთზე თანდათან იზრდება. 1928—29 საოპერაციო წლის განმავლობაში განზრახულია ბათომიდან გატანილი იქნეს 168 მილიონი ფუთი ნავთის პროდუქტები; აქედან: ბენზინი და ლიგროინი—32 მილიონი ფუთი, ნავთი—42 მილიონი ფუთი, გაზოლი—14 მილ. ფუთი, სხვადასხვა ზეთი—25 მილ., მაზუთი—55 მილ. ფუთი.

არსებულ ნავთის ბაზის არასაკმაო ტევადობა გემების არარეგულიარულ მოსვლასთან დაკავშირებით ქმნის ერთგვარ დაბრკოლებას საექსპორტო გეგმის შესრულების დროს, ამიტომ ამჟამად ნავთის სინდიკატის მთელი ყურადღება მიპყრობილია იქითკენ, რომ ბათომის ნავთსასხმელ ბაზის ტევადობა გადიდებული იქნეს 18-დან 27 მილიონ ფუთამდე და აღმართული იქნეს ახალი მძლავრი საქაჩავები.

ქრონიკა

სახელმწიფო სესხების რეალიზაცია

საქართ. პროფკავშირთა საბჭომ მიიღო საკავშირო პროფსაბჭოს ცირკულიარი სახელმწიფო სესხების რეალიზაციის უზრუნველყოფის შესახებ.

ცირკულიარში აღნიშნულია, რომ კავშირების ზოგიერთი წევრები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას სახელმწიფო სესხების მნიშვნელობას, შეძენილ ობლიგაციებს არ აჩერებენ ხელზე, ჰყიდიან მას ბანკებზე ან სხვა ორგანიზაციებზე, რაც სრულიად ეწინააღმდეგება იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომელსაც ისახავს აღნიშნული სესხების რეალიზაცია.

ამიტომ, საკავშირო პროფსაბჭო საჭიროდ სცნობს, რომ პროფორგანიზაციებმა თავიანთ წევრებს შორის ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი კამპანია სესხების მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ და მიიღონ აგრეთვე სათანადო ღონისძიებანი მომავალში სესხების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

საგლეხო სესხის პირველი ტირაჟი

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველი ტირაჟი განჯაში (სადაც გათამაშებული იქნება მე-17-ე სერია) მოხდება 1 ივნისს, ხოლო ქუთაისში (სადაც გათამაშებული იქნება 54-ე სერია)—14 ივნისს.

თვითეულ ტირაჟის დროს გათამაშებული იქნება 1.000 მანეთიანი მოგება, 5 მოგება. 500 მანეთიანი, 300 —100 მანეთიანი და 1080 50 მანეთიანი მოგება, სულ გათამაშებული იქნება 1386 მოგება (მოგებათა თანხა —87.500 მანეთი).

მოგებას გარდა მომგებს ხელზე მიეცემა ობლიგაციის ღირებულება და სარგებელი.

50 მანეთიან და 100 მანეთიან მოგებათა გაცემა დავალებული აქვთ ფინანსთა სახ. კომისარიატის სალაროებს, სახ. ბანკის დაწესებულებებს, შემნახველ სალაროებს, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებს და სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათ, 50 მანეთიან და 100 მანეთიან მოგებათა გაცემა მოხდება აგრეთვე ტირაჟის ადგილზე გათამაშების დღეებში. მოგებულ ობლიგაციის წარმომდგენს შეუძლია რიგს გარეშე და შეღავათიან პირობებში მიიღოს ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

პროფკავშირის ულირსი წევრები

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა კავშირის წევრობიდან გამორიცხოს შემდეგი პირები: **დავით ზუბალაშვილი**—როგორც კერძო მესაკუთრე; **ქსენია გაბისონია**—როგორც არამშრომელი ელემენტი; **გიორგი გუნცაძე**—ბოროტმოქმედების ჩადენისათვის; **ნიკიტა გრიგორიანი** გამორიცხულია კავშირიდან 6 თვით—თანამოსამსახურეთადმი უხეში და არა ამხანაგური მოპყრობისათვის და **ალექსანდრე ჯიმუხაძე**—6 თვით, მუშკოოპში საქონლის ნორმაზე ზევით გაყიდვისათვის.

მალარიასთან ბრძოლა ზაფხულზე

31 მაისისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მოწვეულია სამალარიო სამკურნალო დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი, რომელიც განიხილავს ზაფხულის პერიოდში მალარიასთან ბრძოლის საკითხებს.

თათბირზე მოწვეულია აგრეთვე მალარიასთან მებრძოლი კომიტეტი.

ბეჟანოს ქარხნის ამუშავება

16 მაისს ამუშავებული იქნა სოფ. ბეჟანოში (ახალქალაქის მაზრა) ახლად აგებული რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხანა. ქარხანა უკვე შეუდგა შვეიცარული და თუშური ყველის, კარაქის, ერბოს, ხაჭოს და რძის სხვა პროდუქტების დამზადებას.

შეგირდების ხელფასი

სოციალური დაზღვევის ანარიცხების გამოსაანგარიშებლათ, შინამრეწველობაში, სახელოსნოებში, სარეწაო კოოპერაციასა და შრომის არტელებში მომუშავე შეგირდების თვიური ხელფასის ნორმათ საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ქალ. თბილისის ფარგლებში დაწესებულია 20 მანეთი, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებისთვის—15 მანეთი.

ავტო-მიმოსვლის განახლება საქ. სამხედრო გზაზე

გუშინ განახლდა ავტო-მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზაზე.

პირველ ხანებში გზაზე იმუშავებს 25 ავტობუსი, შემდეგ კი მოთხოვნილებისამებრ, მათი რაოდენობა გადიდებული იქნება.

მიმოსვლის ტარიფი წელს ისეთივეა, როგორც შარშან.

წყალზე გადამრჩენი პუნქტების გამოკვლევა

ამ დღეებში კომისიამ, ამიერ-კავკ. ნავთსადგურების სამმართველოს წარმომადგენლის ამხ. ტყეშელაშვილის, თბილისის წყალზე დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელ ამხ. უვანიას და წყალზე მშველელ მოსკალენკოს შემადგენლობით გამოიკვლია თბილისის წყალზე დამხმარე პუნქტები და აღმოაჩინა, რომ ზოგიერთ პუნქტებს არ აქვთ ნავი ან აქვთ უვარგისი; არ მოიპოვებათ სათანადო მედიკამენტები; გადამრჩენებს არ ეძლევათ სპეცტანსაცმელები; თუმცა მათ უხდებათ კვირა-უქმე დღეებშიც მუშაობა, არ ეძლევათ ზედმეტი მუშაობის ხელფასი. გადამრჩენების მუშაობის პირობებს ამძიმებს კიდევ ის გარემოება, რომ პუნქტებზე არ მოიპოვება საგუშაგო ფარდულები და წვიმასა და სიცხეში მუშაობა უხდებათ ღია ცის ქვეშ.

თბ. აღმასკომში

◆ **ფიზკულტურის საქმის** გასაფართოებლად თბ. აღმასკომმა დაადგინა ფიზკულტურის ორგანიზაციებს მისცეს კომუნალური შეღავათები.

◆ **ქუჩების მორწყვა.** თბ. აღმასკომმა შეიძინა ქუჩების სარწყავი ავტომობილი.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **უმუშევრობასთან საბრძოლველად** თბილისში, შრ. სახ. კომისარიატმა გადასდო—50.000 მ.

◆ **შრომის პირობები.** შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა გამოიკვლიოს შრომის პირობები აბრეშუმის ქარხნებში.

ჯანსახკომში

◆ **საექიმო რაზმები.** ჯანსახკომმა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გაგზავნა ვენერიულ სენებთან მებრძოლი საექიმო რაზმები.

◆ **მალარია.** ჯანსახკომის ცნობით ბათომის რაიონში მალარია უკანასკნელ ხანებში შემცირდა 48 პრ.

სხვადასხვა

◆ **საგლეხო სესხის ობლიგაციების** გავრცელება იწარმოებს 1 ივლისამდე.

◆ **ახალი საზოგადოება.** თბ. დაარსდა მიკრობიოლოგიური საზოგადოება.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** პარასკევს, 25 მაისს დილის 1 ს. შესდგება გან. მუშ. კავშირის № 73 ადგილკომის ერთეულების საერთო კრება.

◆ **ძაღლების გამოფენა.** 1 ივნისს ბაღ „არტო"-ში გაიმართება ჯიშიან ძაღლების გამოფენა.

პარტიული ცხოვრება

მთლიანი პოლიტცოდნის სკოლა

(წინადადების წესით)

ყველა კომუნისტი უნდა ერკვეოდეს თანამედროვე პოლიტიკურ საკითხებში. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიას გაუძნელდება მშრომელი ხალხის ხელმძღვანელობა.

პოლიტიკურ დონის ამაღლების მიზნით წინად არსებობდენ პოლიტიკური წრეები, მაგრამ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ მარტო წრეებით პირველდაწყებითი პარტგანათლების მიღება შეუძლებელია. ამიტომ საჭიროდ იქნა ცნობილი სხვადასხვა ტიპის და საფეხურის პოლიტცოდნის სკოლათა დაარსება: ქალაქად მოეწყო პირველი და მეორე საფეხურის პოლიტცოდნის სკოლები: (შემოკლებული და ნორმალური); სოფლად—პოლიტცოდნის მოძრავი და სტაციონარული სკოლები.

ორი ტიპის სკოლის არსებობა ჰქმნიდა ერთგვარ პარალელიზმს, რაც მსმენელებში ჰკარგავდა ინტერესს უფრო მაღალი ტიპის სკოლისადმი. ეს იყო 1927-28 სასწავლო წლამდე.

მიმდინარე სასწავლო წელში პარტგანათლების სისტემაში მოხდა ცვლილება: სოფლის პოლიტცოდნის სკოლების დანიშნულება განისაზღვრა, ნორმალური სკოლა გადავიდა ნებაყოფლობით პრინციპზე, მაგრამ არსებითად პარტგანათლების ძველი ფორმები მაინც დარჩენ. იმის გარდა, რომ სკოლების ასეთი მრავალტიპიანობა აფერხებდა მეცადინეობას, მას სხვა უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. ძნელი შეიქნა ყველა ტიპის სკოლებისათვის სახელმძღვანელოების, დამხმარე წიგნების, პროგრამების გამოცემა. მაგალითად, მიმდინარე წელში ერთი სკოლის სახელმძღვანელო ძლივს იქნა გამოშვებული. დანარჩენი სამი ტიპის სკოლა ფაქტიურად უსახელმძღვანელოდ და მათთვის შეუფერებელ სახელმძღვანელოებით მეცადინეობდა. ყოველივე ეს ჰქმნიდა ბუნდოვანებას, არევ-დარევას და სიძნელეს პარტგანათლების სისტემაში და ხელს უშლიდა პარტიულ მასების სათანადო მომზადებას.

ამჟამად დასმულია საკითხი პოლიტცოდნის მთლიანი სკოლის შექმნის შესახებ, რომლის პროგრამის ძირითადი სქემა ერთი იქნება ყველა სკოლებისათვის. ამით პარტგანათლების ქსელი საგრძნობლად გამარტივდება. არსებითად ჩვენ გვექნება ერთ პრინციპზე და პროგრამაზე აგებული ორი ტიპის სკოლა: სოფელში და ქალაქში. ამის მიხედვით შესდგება ორი სახელმძღვანელო, რომელიც ქართულადაც უნდა იქნეს გამოცემული ადგილობრივი მასალების დამატებით.

მთელი წლის განმავლობაში პრესაში დისკუსიამ ნათელყო, რომ პოლიტცოდნის მთლიან სკოლას მეტი უპირატესობა აქვს და მასზე გადასვლა გაცილებით მეტ ნაყოფს მოიტანს. ჩვენს პროპაგანდისტებს ამ საკითხზე ჯერ თავისი აზრი არ გამოუთქვამთ. მათ შეხედულებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი პრაქტიკულად იცნობენ ყველა იმ პირობებს, რომლებშიდაც მიმდინარეობს პარტიული განათლება და სათანადო გამოცდილებაც აქვთ. სასურველია, რომ ჩვენს გაზეთებშიაც გამოითქვას აზრი ამ საკითხზე.

დ. ო.—ძე.

საქ. კომპარტიის ორგანიზაციებში

კოოპერაციის საარჩევნო კამპანიის შედეგები

საქართველოს კომპარტიის აჭარისტანის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ კოოპერაციის გამგეობათა გადარჩევის კამპანიამ მიმდინარე წელში ბევრად უფრო გაცხოველებულად ჩაიარა, ვიდრე შარშან.

საანგარიშო და საარჩევნო კრებებს ქალაქებში დაესწრებოდა პაის მქონეთა 57 პროცენტი და სოფლებში — 68 პროცენტი.

გადარჩევის დროს აჭარისტანის სამაზრო კოოპერატივებმა შეაკავშირეს 372 ღარიბი გლეხი, ქალაქის მუშკოოპმა — 157, ღარიბ გლეხობის ფონდის ხარჯზე. სულ კი, გადარჩევის დროს, კოოპერაციაში ჩაბმულია 1,000 კაცი.

ახლანდელი გადარჩევის დროს კოოპერატივების გამგეობათა შემადგენლობა თვალსაჩინოდ განახლდა. სამაზრო სამომხმარებლო, საკრედიტო კოოპერაციის გამგეობებში თვალსაჩინოდ გაიზარდა ღარიბ გლეხებისა და მოჯამაგირეების რიცხვი.

გლეხის სახლის მუშაობა. აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა აღნიშნა აფხაზეთის გლეხის ცენტრალურ სახლის მუშაობის სისუსტე: ადგილი არ ჰქონდა გეგმიანობას არც საბჭოს და არც კულტგანყოფილების მუშაობაში. საოლქო კომიტეტმა აღნიშნა, რომ საჭიროა პირველ რიგში გაძლიერებულ იქნას კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა გლეხებს შორის, სპეციალური კუთხეების მოწყობის, კინო-სურათების ჩვენების და გლეხის სახლში გაჩერებულ გლეხებისათვის გონიერ გასართობების მოწყობის საშუალებით.

გლეხკორების კონფერენცია. სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტმა დაადგინა მოიწვიოს 25 მაისისათვის გაზეთ „ხურზარინ"-ის გლეხკორების საოლქო კონფერენცია.

აშუღების კონფერენცია. ბორჩალოს სამაზრო კომიტეტმა დაადგინა მაისის ბოლოს მოიწვიოს აშუღების სამაზრო კონფერენცია (აშუღი—სახალხო მომღერალი და მოლექსე). აშუღების კონფერენციის დღის წესრიგში სამაზრო კომიტეტმა დასახა საკითხი აშუღების მუშაობის შესახებ მოსახლეობის შორის გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით, აშუღების მოხსენებები მოსახლეობის შორის მუშაობის შესახებ, მოხსენება აშუღების ბაქოს კონფერენციის შედეგების შესახებ და რელიგიურ დღესასწაულ „შახსეი-ვახსეი"-სთან ბრძოლის შესახებ.

ამასთან ერთად, სამაზრო კომიტეტმა დაადგინა ყველა აშუღებს მიაწოდოს სათანადო ლიტერატურა თურქულ ენაზე.

მუშაობა ღარიბ გლეხობის შორის. ახალქალაქის სამაზრო კომიტეტმა დამთავრებულად სცნო ღარიბ გლეხობის ჯგუფების მოსაწყობად წარმოებული მუშაობა. იმ მიზნით რათა განმტკიცებულ იქნას ღარიბ გლეხობის ჯგუფების მუშაობა, განზოგადოებულ იქნას მათი მუშაობის გამოცდილება და შეთანხმებულ იქნას ცალკე ორგანიზაციათა ღონისძიებანი ღარიბ გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში— სამაზრო კომიტეტმა წინადადება მისცა თემკომებს პერიოდულად მოიწვიონ ღარიბ გლეხობის ჯგუფების სათემო თათბირები.

მუშაობა ოსტატებს შორის. თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონულმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ უჯრედების მუშაობაში ოსტატებს შორის არის მიღწევები, რომლებიც გამოიხატება იმაში, რომ რამოდენიმე უჯრედში გაძლიერებულია ხელმძღვანელობა მუშაობაში ოსტატებს შორის, გაძლიერებულია ოსტატების ახალი კადრების შერჩევა და დაწინაურება, ოსტატები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საწარმოო თათბირებისა და კომისიების მუშაობაში.

ამასთან ერთად რაიონულმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სუსტი კონტროლი ეწევა ოსტატების მოხსენებების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას და საკმაოდ არ სწარმოებს მუშაობა ოსტატების დასაწინაურებლად კვალიფიციურ მუშების ახლად მომზადებულ აქტივის კადრებიდან.

ბიუროების საარჩევნო კრებებზე

სახკინმრეწვში

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის პარტუჯრედის კრებამ მოისმინა ამხ. თითბერიძის მოხსენება უჯრედის მუშაობის შესახებ. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, სადაც მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა.

— სახკინმრეწვის გამგეობა ამ 3—4 თვის განმავლობაში რამოდენიმეჯერ იქნა გამოცვლილი, რამაც ზიანი მოუტანა წარმოებას.

— ხშირად მსახიობები ჯამაგირს იღებდენ, მაგრამ არ მუშაობდენ.—ამას ბიურომ ყურადღება უნდა მიაქციოს.

— უჯრედის ბიურო რაიონულ კომიტეტს ოქმებს დროზე არ უგზავნიდა, რის გამო საჭირო საკითხების გადაჭრა გვიანდებოდა.

— საჭიროა უჯრედის ბიურომ გააძლიეროს ხელმძღვანელობა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაზე...

ასეთ ნაკლულოვანებებზედ უთითებდენ ორატორები.

კრებამ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, მომავალი მუშაობის გასაუმჯობესებლად მიიღო სათანადო პრაქტიკული წინადადებები და აირჩია ახალი ბიურო.

სახკინმრეწველი.

სპილენძის სატყე[illegible] ქარხნის უჯრედში

— პარტუჯრედის ბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საწარმოო საკითხებს. საანგარიშო პერიოდში მოსმენილ იქნა სპილენძის სატყეც ქარხნის დირექტორის მოხსენება, რომელსაც მიეცა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი. პარტმუშაობა გამოცოცხლდა; აქტივი გაიზარდა და სხ.—აცხადებს აღნიშნულ ქარხნების გაერთიანებულ უჯრედის მდივანი ამხ. სარქისოვი. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ უჯრედში სულ 35 წევრი ითვლება, კამათში 12 კაცმა მიიღო მონაწილეობა.—ამხ. ხაჩატუროვი,, ბანტარენკო, ბურიშევი, მაკირტიჩიანი, ადიანოვი და სხ. უთითებდენ ბიუროს ნაკლულოვანებათა აღმოფხვრა-გამოსწორებისაკენ:

— მუშებს ჯამაგირები დროზე არ ეძლევათ. ეს საკითხი ბიურომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოაწესრიგოს.

— ადმინისტრატიული ხარჯების 20 პროც. შემცირება მხოლოდ ნაწილობრივ გატარდა.

— ბიურო ხელმძღვანელობას არ უწევდა პროფესიონალურ მუშაობას.

—ადგილობრივ კომკავშირის უჯრედის მუშაობა არა სდგას სათანადო სიმაღლეზე..

— თუ სპილენძის სატყეც-ქარხნის დირექტორის მოხსენება მოვისმინეთ, საჭიროა მოსმენილ იქნას აგრეთვე ამხ. კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხნის დირექტორის მოხსენებაც, რადგან იქ ჯერ კიდევ ბევრია მოსაგვარებელი საჭირბოროტო საკითხი.

— ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა თუჯის ჩამომსხმელ ქარხანაში გაკეთებულ საქმეს იწუნებენ უნდა აწეული იქნეს მუშების კვალიფიკაცია.

— სპილენძის სატყეც ქარხანაში არ არსებობს თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედი—საჭიროა ამ ქარხანაში „[illegible]"-ს ბიუროს მუშაობის გამოცოცხლებაც.

ახალ ბიუროში არჩეულ იქნა 5 წევრი და 2 კანდიდატი.

„შახსეი-ვახსეი"-ს დღესასწაულის წინააღმდეგ

საქ. კ. პ. (ბ) საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ამ დღეებში შესდგა თათბირი, რომელმაც შეიმუშავა ღონისძიებანი მუსულმანური დღესასწაულების—ყურბან-ბაირამის და მაჰარამის საწინააღმდეგო კამპანიის ჩასატარებლად.

კამპანია უნდა დაიწყოს ა. წ. 25 მაისიდან. კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის [illegible] ანტირელიგიური საკითხების მცოდნე თურქი ამხანაგები, რომლებიც აღნიშნულ დროისათვის გაემგზავრებიან ყარაიაზში (თბილისის მაზრა) ბორჩალოში და სიღნაღში. თბილისში ყველა მუშათა კლუბებში ჩატარებული იქნება მოხსენებები ანტირელიგიურ თემებზე. ნაჩვენები იქნება ანტირელიგიური კინო-სურათები და დაიდგმება ასეთივე ხასიათის წარმოდგენები.

ანტირელიგიური წარმოდგენებისა და ინსცენირობების მაზრაში გასამართავად იქმნება მოძრავი დასი, რომელიც 25 მაისიდან დაიწყებს მოგზაურობას მუსულმანურ რაიონებში.

კამპანია დასრულდება 10 ივნისს, ე. ი. 10 დღით ადრე აღნიშნული დღესასწაულების დაწყებამდე.

მუშათა ცხოვრება

უნდა შეიცვალოს

(საგზაო კომიტეტის საყურადღებოდ)

წინად რკინის გზის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც ცოლ-შვილი სოფელში ჰყავდათ და თვითონ კი თბილისში მსახურობდნენ, ეძლეოდათ წლიური ბილეთი 120 ვერსის მანძილზე. ხოლო იმათ, ვისაც ცოლ-შვილი აგარაკზე ჰყავდათ გაგზავნილი, ეძლეოდათ საზაფხულო ბილეთი ამდენივე მანძილზე.

რკ. გზის გამგეობამ მიმდინარე წელს ეს წესი № 376 ბრძანებით შესცვალა და ყოველგვარი ბილეთები, როგორიც არის, მოწაფის, საზაფხულო და წლიური ბილეთები, 120 ვერ. მანძილიდან 70 ვერსამდე დასწია. სამმართველომ ალბად მომჭირნეობის მიზნით გამოსცა ეს ბრძანება, მაგრამ ისეთი მომჭირნეობა, რომელიც უფრო მეტ ზიანს მიაყენებს რკ. გზას და მუშა-მოსამსახურეებსაც უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენებს, არაფერი მოსაწონია. აგარაკების უმრავლესობა გორის იქით არის. 70 ვერსი კი მხოლოდ სად. გორამდეა. ისე, რომ ბორჯომში, ან სხვა რომელიმე აგარაკზე წასვლა, რკ. გზელს არ შეეძლება. გორი კიდევ ჯერ-ჯერობით არ არის გამოცხადებული აგარაკად, რომ შეეძლებოდეს ცოლ-შვილის გაგზავნა.

ამის შესახებ რკ. გზის ზოგიერთი დარგის მუშა-მოსამსახურეებმა, მისცეს კოლექტიური განცხადება, რკინის გზის გამგეობას, რათა შეეცვალათ ეს ბრძანება და მანძილი გაედიდებიათ. მაგრამ რკინის გზის გამგეობამ მათ განცხადებას ყური არ ათხოვა და ცივი უარით დააბრუნა უკან, საყურადღებო აქ ის არის, რომ როგორც რკ. გზის სამმართველოს პასუხისმგებელმა თანამშრომელმა, ამხ. ფერაძემ განუცხადა სად. თბილისის მატარებლის შემადგენელ გიორგი არევაძეს, ბრძანება არ ყოფილა შეთანხმებული საგზაო კომიტეტთან. კავშირი უნდა ჩაერიოს ამ საქმეში და მოაგვაროს ეს საკითხი ისე, რომ არც რკინის გზა ჩავარდეს დიდ ზარალში და არც მუშა-მოსამსახურეები დარჩნენ ასეთ მდგომარეობაში. რაც შეიძლება დროზე უნდა მოაგვაროს კავშირმა ეს საქმე.

ა. გოგიბერიძე.

—:—

მუშაობა გაუმჯობესდა

(წერილი ოზურგეთიდან)

ოზურგეთის აბრეშუმის ძაფ-სახვევ ქარხნის საწარმოო თათბირის მუშაობა დღემდე მოიკოჭლებდა; საწარმოო კომისიისა და თათბირის სხდომები ძალიან იშვიათად სდგებოდა. ეს გამოწვეული იყო არა იმით, რომ ადგილობრივი ორგანოები ვერ აქცევდნენ შესაფერ ყურადღებას საწარმოო თათბირს, არამედ იმით, რომ ქარხანა სულ წელიწადში ორ თვეა, რაც არსებობს და ჯერ-ჯერობით ისე, როგორც საწარმოო თათბირის მუშაობა, კომისიების საქმიანობაც მოისუსტებს.

მაგრამ ქარხნის ადგილკომი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს საწარმოო და სხვა კომისიების მუშაობის გასაცხოველებლად. კერძოდ საწარმოო თათბირის მუშაობა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაცხოველდა. ადგილკომმა საწარმოო თათბირების მწყობრად ჩასატარებლად მუშებს შეასწავლა საწარმოო მნიშვნელობა და მათი როლი წარმოების გაუმჯობესების საქმეში, აუხსნა მუშებს რა საკითხები უნდა დაისვას საწარმოო თათბირებზე და რანაირი მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშებმა ამ თათბირებზე. ასეთმა მუშაობამ დიდი ნაყოფი მოუტანა საწარმოო თათბირს და ხელი შეუწყო მასში მუშების ფართო მასის მონაწილეობას. მუშები დაინტერესებული არიან საწარმოო თათბირის მუშაობით და მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ მის ყოველდღიურ საქმიანობაში. საწარმოო თათბირის მუშაობის გაცხოველება იქიდანაც სჩანს, რომ უკანასკნელ ხანებში ქარხნის შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში უფრო გაუმჯობესდება საწარმოო თათბირის მუშაობა.

ალ. ელენაშვილი.

ხარჯები შეამცირეთ

(ელექტრო ტეხნიკური სახელოსნო)

21 მაისს, მუშაობის დამთავრების შემდეგ რკ. გზის მთავარ ელექტრო-ტეხნიკურ სახელოსნოში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, დღის წესრიგში იყო მოხსენება ადმინისტრატიული ხარჯების 20 პროცენტიანი შემცირების შესახებ. პირველად ილაპარაკა მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელმა ამხ. იზიაშვილმა. მან გააცნო კრებას ადმინისტრატიული ხარჯების 20 პროცენტიანი შემცირების მნიშვნელობა და მოუწოდა მუშებს გაუწიონ თავიანთი სახელოსნოს საქმიანობას სასტიკი კონტროლი და იბრძოლონ ყოველგვარ ზედმეტ ხარჯების წინააღმდეგ.

ამხ. იზიაშვილის წინადადებით კრებამ აირჩია საკონტროლო კომისია ექვსი კაცის შემადგენლობით.

შემდეგ სახელოსნოების უფროსმა ამხ. თაქთაქიშვილმა გააცნო კრებას 20 პროცენტიანი ხარჯების შემცირების შედეგები: მისი სიტყვით 1926-27 წლის განმავლობაში კანტორის შემადგენლობა აღწევდა 18 თანამშრომელს და წლიური ხარჯები აღემატებოდა 28.800 მანეთს. ხარჯების შემცირების შემდეგ კანტორის თანამშრომელთა რიცხვი დავიდა 13 კაცამდე და წლიური ხარჯებიც შემცირდა 69.000 მანეთით.

კამათში გამოსული მუშები აღნიშნავდენ 20 პროცენტიან შემცირების გატარების ზოგიერთ ნაკლს და მოითხოვდნენ მის გამოსწორებას.

ს. ზოჯაევი.

—:—

შრომის ბირჟაში

(შრომის კომისარიატის საყურადღებოდ)

ქალაქის შრომის ბირჟის ზოგიერთი სექციის გამგე უფრო გარეგნული შეხედულობით ეკიდება უმუშევარს და გზავნის მას სამუშაოზე, ვიდრე მიუდგომლად. ბიუროკრატიულ საქციელსაც ხშირად აქვს ადგილი. არ აძლევენ უმუშევრებს თავის დროზე ცნობებს, უმუშევრების გაგზავნა არ სწარმოებს წესიერად და სხვა.

ამას წინად, პროვინციაში უნდა გაეგზავნათ ერთი უმუშევარი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად. ბირჟის გამგის კაბინეტი სავსე იყო უმუშევრებით—არის ერთი ყვირილი და ჟივილ-ხივილი, ყველა ცდილობს სამუშაოზე წასვლას, მაგრამ ყველას იმედი გაუცრუვდა, სამუშაოზე უკვე გაეგზავნათ კაცი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ შრომის ბირჟის სექციების გამგეები, ანგარიშში არ უწევენ შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებებს, და თავიანთი სურვილის მიხედვით ისე მუშაობენ, როგორც მათ მოესურვებათ. ბირჟაში ითვლებიან უმუშევარი კვალიფიციური მუშები, რომლებმაც დაამთავრეს კურსები, მაგრამ სექციის გამგეები ყურადღებას არ აქცევენ ამას. ამას წინად ცეცხლფარეშად გაგზავნეს ამ საქმის არა მცოდნენი. დახელოვნებული ცეცხლფარეშები კი უყურადღებოდ დასტოვეს.

შრომის ბირჟაში ასეთ მოვლენებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ვ. ლოისველი.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

გაანათეთ ხიდი. კარლ მარქსის ხიდზე საშინელი სიბნელეა. ამით სარგებლობენ ქუჩის ქალები და მათი დამცველები და გამვლელ-გამომვლელს ისე არ გაატარებენ, რომ შეურაცხყოფა არ მიაყენონ. აღმასკომო, გაანათე ხიდი.

წყაროსპირელი.

სწავლა ფერხდება. თბ. მაღალი ტიპის სასწავლებელში არ არის არც ქიმიური და ფიზიკური კაბინეტები, არც სინათლე და არც სხვა სწავლისათვის ხელსაწყო იარაღები. ეს გარემოება ძლიერ აფერხებს მეცადინეობას. მოწაფეები ხშირად საკუთარი საშუალებებით იძენენ ლამფებს, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის.

მახვილი.

ხელოვნება

მოსკოვის მცირე თეატრი

აუტანელი კონსერვატიზმი ანუ „რევიზორი“ მცირე თეატრში

სრულიად ბუნებრივი და გასაგებია ის გარემოება, რომ მოსკოვის სტუდიები აქტიორის აღზრდის საქმეს კლასიკებით იწყებენ. კლასიკები იძლევიან ყველა იმ ელემენტებს, ურომლისოდაც აქტიორის „შინაგანი ტექნიკის“ შემუშავება ყოვლად შეუძლებელი ხდება: ადამიანის ბრძოლის ვნება—აი, ის მთავარი ელემენტი, რომელიც უნდა სძლიოს აქტიორმა, რომ მან მიიღოს „შინაგანი შემოქმედებათი“ კულტურა. არსად ისე მხატვრულად, ისე ოსტატურად არ არის გადმოცემული ადამიანის ბრძოლის ვნება, როგორც კლასიკებში. მართალია უმთავრეს მომენტებში ამ ბრძოლის ფონი სასახლის ინტრიგაა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მხატვრული სიმართლე ოდნავადაც შებღალული არ არის. თანამედროვე მაყურებელს—თანამგზავრს და აქტიურ მონაწილეს რევოლიუციონურ ბრძოლებისას—არ აღელვებს და არც შეიძლება აღელვებდეს ფეოდალური არისტოკრატიის სასახლის ინტრიგები და „წარჩინებულთა“ სანტიმენტალური განცდები. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თანამედროვე ხანაში კლასიკებს არ შეუძლია გამოიწვიოს ახალ მაყურებელში შესაფერისი ემოციები და მოახდინოს ორგანიზაცია მისი ფსიხიკის, მისი განწყობილების და მისი ნებისყოფის იმ მიმართულებით, რომელსაც თხოულობს სოციალისტური მშენებლობა. **დღეს კლასიკები მიუღებელია მაყურებლისათვის, ისინი მისაღებია მხოლოდ აქტიორის აღზრდის თვალსაზრისით.** ასეთ დასკვნამდის მივიდნენ მოსკოვის თეატრები, რისი შედეგიც იყო კლასიკების მოხსნა რეპერტუარიდან და მათი გადატანა პედაგოგიურ სტუდიებში. სულ სხვა მდგომარეობაშია რუსული კლასიკები. ოსტროვსკი, გოგოლი, გრიბოედოვი—ეს ნამდვილი სატირიკოსებია ძველი მეშჩანური და ჩინოვნიკური ყოფა-ცხოვრების. შილლერი, შექსპირი და სხ. ოსტატურად შლიდნენ ადამიანის ვნებას სასახლის არისტოკრატიის ინტრიგის ფონზე. აქ უფრო თავისებური აპოლოგიაა არისტოკრატიული წესწყობის, ვინემ პამფლეტი მის წინააღმდეგ, ან და რაიმე სოციალური სატირა მასზე. გოგოლი და ოსტროვსკი კი („რევიზორი“, „ერთი სისულელე ბრძენსაც კი მოუვა“, „ტყე“ და სხ.) სწერდნენ ნამდვილ პამფლეტს ჩინოვნიკურ და მეშჩანურ ობლომოვშჩინის წინააღდეგ. მაგრამ დღეს ამ სატირებსაც დაკარგული აქვთ აქტუალური ღირებულება. საჭირო შეიქმნა „გათანამედროვება“ ამ კლასიკების, რომ მათ ჩვენს სინამდვილეში შეენარჩუნებიათ ცხოველი მნიშვნელობა. მეიერხოლდის ცნობილ ექსპერიმენტებს სწორედ ეს გარემოება ედო საფუძვლათ: მეიერხოლდმა შესძლო ტიპაჟის განზოგადოების მეთოდით ძველი რუსული სატირის გათანამედროვება, და მით იმ სიცხოველის დაბრუნება კლასიკებისათვის, რომლითაც ისინი ოდესღაც ხასიათდებოდნენ. მეტის მეტათ ძლიერათ მოსჩანს ასეთი ექსპერიმენტი მეიერხოლდის „რევიზორში“. მცირე თეატრი კი ბრმა მონაა ლიტერატურის და საერთოთ ისტორიული ტექსტის: „რევიზორს“ დღესაც ისე „დგამენ“ იქ და ისეთი ხერხებით ასრულებენ, როგორც პირველ ხანებში, როცა ეს კომედია დაიდგა: არავითარი ცდა ტექსტის ახალი კომპოზიციისა, არავითარი ცდა ტიპაჟის განზოგადოების და მასში ახალი შტრიხების შეტანისა. თბილისის მაყურებელმა უკვე ნახა მეიერხოლდის „რევიზორი“, ის უკვე იცნობს ყველა იმ რეფორმებს, რომელიც მოახდინა რევოლიუციის თეატრმა კლასიკების შინაგან სტრუქტურაში. ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა მეიერხოლდის „რევიზორმა“ დღესაც ძლიერია. ამითაც აიხსნება სხვათა შორის ის გარემოება, რომ მცირე თეატრის დადგმა და შესრულება გოგოლის ამ კომედიისა არა თუ სუსტი იყო, არამედ მოსაბეზრებელი თავისი აუტანელი კონსერვატიზმით. ისეთ გენიალურ მსახიობმა, როგორიც **სტეპან კუზნეცოვია** (ხლესტაკოვი), მანაც ვერ იხსნა დადგმა სრულ კრახისაგან. დიდი ხანია ასეთი ხალტურული და მოსაწყენი პიესა თბილისს არ უნახავს. ასრულება საშუალოზე დაბალი იყო; მაგ. გოლოვინი მეტის მეტათ სუსტი იყო გოროდნიჩის როლში: დიქციის სრული უქონლობა, ერთფეროვანი მიმიკა, ურიტმო ჟესტები და სხ. ორლოვა მარია ანტონოვას როლში ყოვლად მიუღებელი იყო. დობჩინსკის და ბობჩინსკის შემსრულებლებმა პროვინციელ აქტიორების როლიც ვერ დაიჭირეს. არა უშავდა იაბლოჩკინას. ვაჭრების სცენა მკრთალი იყო. ნიჟეგორი კლიმოვის ზემლიანიკა პირდაპირ გაუგებრობას წარმოადგენდა. სტ. კუზნეცოვი არარის მხოლოდ კარგი მსახიობი. ბ. ჩეხოვთან ერთად ის მთელი საუკუნის ნამდვილი გენიალური მსახიობია. მაგრამ ტრადიცია და ბნელი კონსერვატიზმი მცირე თეატრისა, არ აძლევს ფართო გასაქანს, იმ ძლიერ შემოქმედებას, რომელიც სტ. კუზნეცოვს გააჩნია. მაყურებელი სიხარულით გაკვირვებული იმ დიდი აქტიორული შესაძლებლობით, რომელიც კუზნეცოვმა გამოამჟღავნა, გამოვიდა თეატრიდან მორალურათ და ფიზიკურათ მოქანცული მცირე თეატრის აუტანელი სპეციფიური კონსერვატიზმის გამო.

ა.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მცირე თეატრის მიერ დღეს ოპერის** თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლიუბოვ იაროვაია“.

◆ **„ქეთო და კოტე“.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში 26 მაისს წარმოდგენილი იქნება ვ. დოლიძის ოპერა: „ქეთო და კოტე“.

◆ **ხომენ მსახიობის აბრამოვის საღამო** გამართება 27 მაისს რუსთაველის თეატრში. წარმოდგენილი იქნება: „ქვეყნის სამართალი“

◆ **მხატვარ დ. კაკაბაძის შემოქმედებაზე** დისპუტის გაგრძელება დანიშნულია 27 მაისს სამხ. აკადემიის კლუბში.

◆ **პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბებში** დღეს გაიმართება მიხ. კავსაძის სახ. მომღერალთა გუნდის კონცერტი.

მირზა ფატალი ახუნდოვის გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების გამო

მირზა ფატალი ახუნდოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაარსებულ კომისიის დადგენილებით, ახუნდოვის გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების გამო ორშაბათს, 28 მაისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება საზეიმო კრება. კრებაზე გაკეთებულ იქნება მოხსენებები თურქეთის უდიდესი მწერალის და მოაზროვნის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ, ხოლო შემდეგ გაიმართება დიდი კონცერტი.

მირზა ფატალი, რომელსაც მიმდინარე წელს პატივისცემით იგონებს ამიერ-კავკასიის მთელი საზოგადოებრიობა, არის ახალი თურქული ლიტერატურის საძირკველის ჩამყრელი. მან პირველად შექმნა, თურქულ ენაზე უაღრესად მხატვრული დრამატიული ნაწარმოებნი, რომლებიც გადათარგმნილია თითქმის ყველა ევროპიულ ენებზე. ამ თავის ნაწარმოებებში მირზა ფატალმა პირველად აღწერა თავის თანამედროვე თურქების ნამდვილი ყოფა-ცხოვრება და სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მათი ცრუმორწმუნეობა, ჩამორჩენილობა, უმეცრება, სისასტიკე და აგრეთვე თურქი ქალის უუფლებობა და მონური პირობები.

თავის ფილოსოფიურ ნაწარმოებში „ჯამალუდოვლეს და ქემალუდოვლეს მიწერ-მოწერა“ მან გაილაშქრა ისლამის საფუძვლების წინააღმდეგ, ისლამის, რომელმაც ჩაახშო ხალხის სული, ჩაჰკლა ძველი (მაზდეიანური) სპარსეთის მრავალსაუკუნოებრივი კულტურა, ერთ წერტილზე გაჰყინა ყველა ერები, რომელთაც ცეცხლითა და მახვილით თავზე მოახვიეს ისლამი, როგორც რელიგია.

მირზა ფატალის მნიშვნელობა თურქული კულტურისათვის კიდევ უფრო ძლიერდება მით, რომ მან პირველად წამოაყენა საკითხი დრომოჭმულ არაბულ ალფაბეტის შეცვლის შესახებ ისეთი, ახალი ალფაბეტით, რომელიც შეიძლება გადაიქცეს ფართო მასებში განათლების გავრცელების ნამდვილ იარაღათ და, რომელიც შეეფერება თანამედროვე კულტურის და ტეხნიკის მოთხოვნილებებს. მისი წინადადება ძველი არაბული ალფაბეტის ახალი ლათინური ალფაბეტით შეცვლის შესახებ მხოლოდ საბჭოთა აზერბეიჯანის პირობებში შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

ახალი ალფაბეტი, რომლის იდეა ახუნდოვმა ჯერ კიდევ წარსული საუკუნის მე-50—60 წლებში წამოაყენა, ამჟამად წარმატებით ტარდება ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის ყველა თურქებსა და თათრებს შორის. ასეთივე ალფაბეტის შემოღება განზრახული აქვს ახალ თურქეთს და თვით სპარსეთსაც.

მირზა ფატალი ახუნდოვი, რომელმაც დაამთავრა აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტი და მთელ თავის სიცოცხლეში მსახურობდა მეფის ნაცვლის კანცელარიაში ამიერ-კავკასიაში, გარდაიცვალა 1878 წელს და დასაფლავებულ იქნა თბილისში.

თავის ანტირელიგიურ გამოსვლებისათვის მირზა ფატალი ადგილობრივმა მუსლიმანურმა მოსახლეობამ გამოაცხადა ერეტიკათ, სჯულის მოღალატეთ და გიაურათ. მარტო ეს ფაქტი მოწმობს, რომ მირზა ფატალმა უდიდესი რევოლიუციონური როლი ითამაშა აზერბეიჯანის ნამდვილი კულტურის შექმნაში.

ამ დიდი მოღვაწის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მთავრობის კომისიამ, სხვათა შორის დაადგინა:

1) აღდგენილ იქნეს მწერლის საფლავი, 2) მოეწყოს თბილისის ნარიმანოვის სახელობას მუშათა კლუბში მირზა ფატალის კუთხე, 3) კომუნალურ ქუჩას თბილისში დაერქვას მირზა ფატალის ქუჩა, 4) მწერლის კუთვნილი აგარაკი კოჯორში გადაკეთებულ იქნეს მირზა ფატალის სახელობის დასასვენებელ სახლად, თურქ ლიტერატორებისა, მხატვრებისა, მეცნიერებისა და მსახიობთათვის და 5) დაევალოს „ზაკკნიგა“-ს გამოსცეს მირზა ფატალის ნაწარმოებთა სრული კრებული რუსულ ენაზე და სხვ.

სასამართლო

ორი შაურის გულისთვის

— რას იზამ, შვილო! უნდა მოითმინო. ოჯახის სახელის გატეხა იქნება, რომ მიატოვო. ჯერ კიდევ ახალგაზრდაა ვლადიმერი. დრო გავა და თავისით ჩავარდება ჭკუაში...

ასე ელაპარაკებოდა მამამთილი მარიამს, რომელიც თვალცრემლიანი იჯდა და თავის გაჩენის დღეს სწყევლიდა.

— განა მე არ ვითმენ! მესამე წელი გადის, რაც მე მაგასთან ვცხოვრობ და ერთხელ რიგიანი სიტყვა არ გამიგონია. სულ მუდამ იმას სცდილობს, რომ როგორმე მიზეზი იშოვოს წასაჩხუბებლად. მომბეზრდა ასეთი ცხოვრება. აღარ შემიძლია ასეთი დამცირების ატანა. მეც ადამიანი ვარ...

— სად უნდა წახვიდე ქალო! რას იტყვიან! ისევ შენ გაგამტყუნებენ. იტყვიან ქმარს ვერ შეუწყო ხელიო, განებივრებული ადამიანიაო.

— რაც უნდათ, ის სთქვან. წავალ ჩემს მშობლებთან. ლუკმა პურს არასოდეს არ დამიშურებენ ჩემთვის. ვიშრომებ და ვიცხოვრებ მათთან ერთად. რა ჯანდაბად მინდა ისეთი ქმარი, რომელიც მუდამ მაგინებს, მლანძღავს და მცემს...

მარიამი მართლაც მიატოვებდა მხეც ქმარს, მაგრამ მამამთილის რჩევა-დარიგებას ყურს უგდებდა და თანაც ეშინოდა ქმრის, რომელიც ხშირად დაემუქრებოდა: „სადაც არ უნდა წახვიდე ტყვიას მოგაწევო“.

აუტანელი იყო მარიამის მდგომარეობა. ვლადიმერ ბედიაშვილისათვის ის დღე უშინაარსო იყო, თუ თავის ცოლს რამეზე ჩხუბს არ აუტეხდა და მაგრად არ მიბეგვავდა. მიზეზი მაინცა და მაინც არ იყო საჭირო. უბრალო „ხაში“ კმაროდა.

ერთ დღეს ბელაშვილმა 3 მანეთი დაუტოვა ცოლს სანოვაგის საყიდლად. დაბრუნდა საღამოს სახლში და მოსთხოვა მარიამს ანგარიშის გასწორება.

ცოლმა გადასცა ქმარს დარჩენილი ხურდა და ჩამოუთვალა რა და რა იყიდა ბაზარზე. ვლადიმერმა თითო კაპეიკობით იანგარიშა ყველაფერი და ცოლს აღმოუჩინა „გაფლანგული“ ორი შაური.

— ააა! შენ გველის წიწილო! ასე აწიავებ ჩემს ქონებას? მითხარი ეხლავე რაში დახარჯე ორი შაური, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებ...

ბევრი იფიქრა საწყალმა ქალმა, მაგრამ ვერ მოიგონა რა იყიდა ორი შაურის.

— გენაცვალე, არ მახსოვს ეხლა.. ცოტა დამაცადე და მოვიგონებ.

— არ გახსოვს?.. მაშ მე მოგაგონებ!..

ქმარმა სტაცა მარიამს თმაში ხელი და რამოდენიმეჯერ თავი დაახეთქა მაგიდაზე. დაუწყო უმოწყალო ცემა.

როგორც იქნა განთავისუფლდა ქალმა თავი და გავარდა აივანზე, სადაც დიდხანს სტიროდა უხმოდ. უცდიდა გამხეცებული ქმარის დამშვიდებას. ბოლოს მოჰკიდა ადუღებულ სამოვარს ხელი, შეიტანა ოთახში და მორჩილების ხმით უთხრა ქმარს:

— ჩაის მიირთმევთ?,—ეს ისე სთქვა, რომ არც კი შეუხედავს ქმრისათვის შიშის გამო.

ამ დროს გავარდა რევოლვერი და მარიამის ცრემლებით დასველებულ სახეზე ნიაღვარივით ითქრიალა სისხლმა.

დაჭრილი ქალი კივილით გავარდა გარეთ და აივანზე ჩაიკეცა.

ქალს აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება და გადაარჩინეს.

მძიმედ დაჭრილ მარიამს საავადმყოფოში გაახსენდა, რომ იმ ორი შაურით, რომელიც გაფლანგულად ჩაუთვალა ქმარმა, პონჩიკები უყიდა ბავშვებს.

ვლადიმერ ბედიაშვილი დაპატიმრებულია. საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრის სასამართლო.

—:—

დუშეთის უპატენტო ვექილი

ქუცა ბუხუტაშვილის „კურიკულუმ-ვიტე“ ასეთია: თვითმპყრობელობის დროს—სასამართლოს ჩინოვნიკი, მენშევიკების დროს—ციხის უფროსი, საბჭოთა ხელისუფლების დროს—კოოპერატივის ფულების გამფლანგველი.

აი ასეთი წარსულის მქონე გაქუცული ქუცა 1926 წელს ოქტომბერში რაღაც ოინებით ახერხებს დამცველთა კოლეგიის წევრად ჩარიცხვას. საკვირველი ამბები ხდება ქვეყანაზე! კოოპერატივის ფულების გამფლანგველი საბჭოთა სასამართლოში ვრცელი სიტყვით გამოდის, სიტყვების კორიანტელს აყენებს, რომ „უდანაშაულო კაცი არ დაისაჯოს“, გამფლანგველი, რასაკვირველია, გამფლანგველს დაიცავს ეფექტიანად. ჯერ მარტო პირად განცდებს რომ ჩააქსოვს, ეს რათ ღირს!

ჰო! იმას მოგახსენებდით, ქუცა უკვე დამცველთა კოლეგიის წევრია დუშეთში. არხეინად გრძნობს თავს. კლიენტები საკმაოდ ჰყავს. გაჭირვებულთა ტყავის გაძრობაში ბადალი არავინ ჰყავს. სასამართლო რომ ბრალდებულს გაანთავისუფლებს, ქუცას გასამრჯელო მიაქვს და ბრალდებულს აჯერებს, რომ ყველაფერი მან მოახერხა.

1927 წელს ჩატარდა დამცველთა კოლეგიის შემადგენლობის წმენდა: დუშეთის აღმასკომის პრეზიდიუმმა ცენტრალურ გამწმენდ კომისიას წარუდგინა მასალები ქუცას წინააღმდეგ. კომისიამ დაადგინა ქუცა ბახუტაშვილის გამორიცხვა დამცველთა კოლეგიიდან. აეკრძალა ახალი საქმეების აღება. მხოლოდ უნდა დაემთავრებია გამორიცხვამდე აღებული საქმეები.

გადის ცოტა ხანი. გაქუცულმა ქუცამ მოახერხა საქმე და ისევ აღიდგინა თავი დამცველთა კოლეგიის წევრად.

ეს ის დროა, როცა ქუცას მიერ კოოპერატივის ფულის გაფლანგვის საქმის გამოძიება დამთავრდა. ქუცა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის პასუხისგებაშია მიცემული.

დუშეთის მაზრის სასამართლომ აცნობა ეს ამბავი იუსტიციის კომისარიატს და დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს. ერთხელ კიდევ „გასწმინდეს“ ქუცა. მოხსნეს დამცველთა კოლეგიის წევრობიდან.

ეხლა ჩამოვთვლით მაგალითებს ქუცას პრაქტიკიდან.

პატიმარი გული სოინ-ოღლი დაპატიმრებული იყო. ქუცამ გაიგო მილიციაში, რომ სოინ-ოღლი, როგორც უდანაშაულო განთავისუფლებული იქნება. ქუცა შედის საპატიმროში, ნახულობს პატიმარს და ეუბნება, რომ სამ დღეში შეუძლია მისი განთავისუფლება, პატიმარი აძლევს გასამრჯელოს 20 მანეთს. პატიმარი განთავისუფლეს. გაიგო, რომ ქუცას არავითარი წილი არ უდევს მის განთავისუფლებაში. იტყა თავში ხელი. მივარდა ქუცასთან და ერთი ამბავი დააწია ფულის და ტყუებისათვის, მაგრამ რა გამოვიდა! ფული შესანსლა ქუცამ.

კიდევ უკეთესი ამბავი. სათინანსო სამმართველოში ერთი საადგილ-მამულო მოსპობილი საქმე შეცდომით (!) ხელმეორედ ყოფილიყო დანიშნული, დაეგზავნათ უწყებები მხარეთათვის.

ქუცა „საწყალს“ ახდენს, პირობას აძლევს დაინტერესებულ მხარეს, რომ მას შეუძლია საქმე მოასპობინოს, მხოლოდ 100 მანეთზე ნაკლებს არ დასჯერდება გასამრჯელოდ.

რასაკვირველია, აფერისტმა ქუცამ „მოასპობია“ მოსპობილი და შეცდომით დანიშნული საქმე, ასი მანეთი ჯიბეში ჩაიდო.

პატიმარ ოსეფოვს, (რომელიც ეხლაც დუშეთის გამსახლში ზის) ქუცამ საქმის დასაცავად გამოართვა 20 მანეთი. ეს იმ დროს, როცა ის უკვე გადაყენებული იყო დამცველობიდან და ახალი საქმის აღების უფლება არ ჰქონდა. იყო ასე ვსთქვათ „უპატენტო ვექილი“. ქუცა ბახუტაშვილი, რასაკვირველია, საქმეზე არ დაუშვეს. მაგრამ მას არაფერი წაუგია, 20 მანეთი შეირჩინა ხახვივით.

ეხლა მოვიყვანთ ერთ სახაცილო ამბავს ქუცას პრაქტიკიდან, როგორ იცავდა ქუცა საქმეს თვალებით? ერთი საადგილ-მამულო საქმე იყო დანიშნული. ეს ამბავიც იმ დროს ეკუთვნის, როცა ქუცა უპატენტოდ ვექილობდა—საქმეზე გამოსვლის უფლება არ ჰქონდა.

ქუცამ გამოართვა მაძიებელ **ნინა სოლომონოვის ქალს**—11 მანეთი და აღუთქვა საქმის თავგამოდებით დაცვა. რა ჰქნას ქუცამ. საქმის გარჩევას უნდა დაესწროს. გამოსვლის უფლებას არ აძლევენ. ჯერ სცადა გამოსულიყო, მაგრამ წინადადება მისცეს: „თავი შეიკავეთო“.

ქუცა იძულებული გახდა ხმა ჩაეკმიდა. მოუჯდა გვერდით მაძიებელს და დაუწყო ჩურჩული. გააჩერეს ქუცა. ქუცას არ ასვენებს ჯავრი 11 მანეთის, რომელიც მიღებული აქვს. უნდა დაანახვოს მაძიებელს, რომ მართალია ლაპარაკის უფლება არ აქვს, მაგრამ მაინც ცდილობს მისთვის. უშვება თვალებს, ანიშნებს ხელებით რაღაცეებს, ვითომ ეხმარება. ოღონდ 11 მანეთი შერჩეს და ქუცა სარტალ-მარტალს გააკეთებს.

ეს ამბავი გაიგო მაძიებლის ქმარმა. დაუწყო ჩხუბი ქუცას, მაგრამ ფული მაინც შეირჩინა ქუცამ.

ბევრია ასეთი მაგალითები. ეხლაც განაგრძობს დუშეთელი უპატენტო ვექილი ასეთ აფერისტობას ვფიქრობთ, რომ უკვე დროა მოვაშოროთ დუშეთელ გლეხებს მატყუარა და გაიძვერა ქუცა, რომელიც სახელს უტეხს ხელისუფლებას და დამცველთა კოლეგიას.

ვეს.

შემთხვევები

დაჯახება

გუშინწინ ავტომობილი № 47, რომელსაც მართავდა შოფერი არამ ოსიპოვი რუსთაველის პროსპექტზე (სასახლის პირდაპირ) დაეჯახა საქართველოს სახკომსაბჭოს თანამშრომელ—პარმენ ჯაფარიძეს და მსუბუქად დაშავა. ჯაფარიძეს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. შოფერი ოსიპოვი დაპატიმრებულია.

ჯიბგირობა

ამ უკანასკნელ ხანებში „დეზერტირკა“-ს და ცენტრალურ ბაზარში გახშირდა ჯიბიდან ფულის ამოცლის შემთხვევები.

გამოირკვა, რომ ამ ბაზრებს შემოეჩვია ქურდებისა და ჯიბგირების ერთი ჯგუფი.

ამ დღეებში თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სამი ბოროტმოქმედთაგანი. ისინი აღმოჩნდნენ: გრიგოლ მელქონოვ-ძე პეტროსიანცი, არამ ასლანის ძე სუქიასოვი და ოსიპ მათეოსის ძე შახნაზაროვი.

რეციდივისტის დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ცნობილი ქურდი-რეციდივისტი ვასილ გევანეს ძე ტკუნოვი.

ქურდობა

გუშინ, დღისით, გაქურდეს არშენაკ ასატუროვის ბინა (ბარაქოვის შესახ. №4), წაიღეს სხვადასხვა ნივთები. ამ საქმეზე მილიციამ დააპატიმრა მამედ გუსეინ-ოღლი.

გუდაურის მეტეოროლოგიური სადგურის აღდგენა

საქართველოში მდებარე მაღალ ადგილების სისტემატიურად გამოსაკვლევად საქართველოს გეოფიზიკურმა ობსერვატორიამ აღადგინა გუდაურის მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც ზღვის დონიდან 2204 მეტრის სიმაღლეზე იმყოფება. ობსერვატორიის ცნობით, ამ სადგურს აქვს არა მარტო საკავშირო არამედ მსოფლიო სამეცნიერო მნიშვნელობა. სადგური გუდაურში დაარსებულია 58 წლის წინად—1.870 წელს და განუწყვეტლივ მუშაობდა 1918 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში გუდაურის სადგურმა მეცნიერებას მიაწოდა მრავალი ძვირფასი და შესანიშნავი ცნობები.

გეოფიზიკურმა ობსერვატორიამ სადგურს მისცა დასაყრდენ პუნქტის ხასიათი და ჩვეულებრივ მეტეოროლოგიურ ხელსაწყოების გარდა, სადგურში დადგა მთელი რიგი თვითჩამწერი აპარატები, როგორიცაა ბაროგრაფი, ტერმოგრაფი, რიშარის სისტემის ჰიგროგრაფი და კემბელის სისტემის ჰელიოგრაფი.

ამას გარდა წვიმების სიძლიერის შესასწავლად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში, სადგურთან ამ დღეებში მოეწყობა გელმანის სისტემის პლიუვიოგრაფი (წვიმის სიძლიერის გამომრკვევი აპარატი).

გეოფიზიკურმა ობსერვატორიამ გადასწყვიტა აგრეთვე გუდაურის სადგურის საშუალებით აწარმოოს თოვლის წყლიანობის და სიმკვრივის გამოკვლევა.

საგზაო მშენებლობა

ქუთაისის მაზრაში

ქუთაისის მაზრაში დაიწყო მუშაობა ცხენისწყლის გზის გასაყვანად. ამ გზას უდიდესი მნიშვნელობა ექნება, რადგან იგი ქუთაისის და ლეჩხუმის მაზრებს დაუკავშირებს კურორტ წყალტუბოს და ქვემო სვანეთს.

გზის სიგრძე იქნება სულ 100 კილომეტრი. გზა გაყვანილი იქნება მთიან ადგილებში. დამთავრებულია გამოკვლევა პირველ 23 კილომეტრის; ამჟამად მუშაობა სწარმოებს გზის ამ ნაწილზე, სადაც განზრახულია აგებული იქნეს ორი რკინა-ბეტონის ხიდი: ერთი მდ. ცხენის-წყალზე—40 მეტრი, ხოლო მეორე მდ. კულის-გზაზე—60 მეტრი გზის მთელ მანძილზე სულ აგებული იქნება 40-დე წვრილი ხელოვნური ნაგებობა. გზაზე შრომის ბეგარის წესით მუშაობს ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობა, რომელიც ეზიდება ქვიშას და სილას და აწარმოებს ყველა მიწის სამუშაოებს.

გზის პირველი 16 კილომეტრის ხარჯთაღრიცხვა შედგენილია 144.000 მანეთის რაოდენობით. გზაზე გახსნილი იქნება საავტომობილო მიმოსვლა.

ამას გარდა, ქუთაისის მაზრაში 1-ლ ივლისიდან დაიწყება გზატკეცილის გაყვანა ხონსა და წყალტუბოს შორის, 17 კილომეტრის მანძილზე. გზის პირველი 6 კილომეტრი მიჰყვება ძველ გზატკეცილს, რომელიც ამჟამად დანგრეულია. შემდეგ გზა გადადის მდ. გუბის წყალზე და მიდის პირდაპირ წყალტუბოში. ამ გზაზე აგებული იქნება კაპიტალური რკინა-ბეტონის ხიდი 34 მეტრის სიგრძის. მიწის სამუშაოები დაჯდება სულ 36.000 მანეთი.

სწარმოებს აგრეთვე სვირი-სიმონეთის გზის გაყვანა. მიწის სამუშაოები ამ გზაზე დაჯდება 88.000 მანეთი.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 24 მაისი

დღეს რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა, გადაცემა არ იწარმოებს.

პარასკევი, 25 მაისი

პარასკევს, 25 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

ხელოვნების როლი კულტურულ რევოლიუციაში—მოხსენება ქართულ ენაზე.

მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევები—მოხსენება რუსულ ენაზე.

ადამიანის წარმოშობა—საუბარი რუსულ ენაზე.

პიონერების გაზეთი და მოხსენება ოსურ ენაზე.

რადიო-მეგობართა საზოგადოების ტეხნიკური კონსულტაცია.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის შედეგები—მოხსენება თურქულ ენაზე.

კუჭ-ნაწლავების ავადმყოფობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა—საუბარი თურქულ ენაზე.

საქართ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენებების შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

ნარევი

ფრენის უშიშროება

ოკეანეზე და ზღვებზე გადაფრენის გაფართოებამ დღის წესრიგში დასვა უშიშროების უზრუნველყოფის საკითხი. ამ მიზანს ისახავს აეროპლანების რამოდენიმე კონსტრუქცია, რომლებიც ამ რამოდენიმე ხნის წინად შეიმუშავეს ამერიკელმა და ევროპიელმა კონსტრუქტორებმა. ერთი ასეთი ახალი კონსტრუქციის აეროპლანზე ფრთებზე მოთავსებულია რეზინის ბალონები, რომლებიც ნორმალურ პირობებში დაჩუტულია. როცა მფრინავი იძულებული ხდება დაეშვას ზღვაზე, ბალონები (ბუშტები) ავტომატიურად ივსება შეკუმშული გაზით და ჰაეროპლანი აღარ იძირება.

ჩვენი დროის მათუსალები

ჩვენს საუკუნეში მრავალი მათუსალა მოიძებნება თურმე.

ბულგარელმა სტატისტიკოსმა კირილე პოპოვმა დიდი ხნის გამოკვლევების შემდეგ გამოარკვია, რომ ბულგარეთში ცხოვრობს—3.000 კაცი, ასი წლის ჰასაკს გადაცილებული მათ უმრავლესობას დოკუმენტებით შეუძლია თავისი წლოვანების დადასტურება.

ბევრია ასწლოვანი აგრეთვე თურქეთში. იქ ცხოვრობს 120 წლის მოხუცი ჰარირ-აღა, რომელმაც ცხრა ცოლი გამოიცვალა. იქვე ცხოვრობს ფატმა-ხანუმი (ანგორიდან), რომელსაც 160 წელიწადი შეუსრულდა. მისი უფროსი ქალიშვილი 90 წლის გარდაიცვალა.

ჰარირ-აღა დაიბადა 1808 წ. თურქესტანში.

ესპანეთში ირიცხება 355 ასი წლის მოხუცი, მათგან 258 ქალია.

იტალიაში—146 ასწლოვანი მოხუცი ირიცხება. ერთი რუმინელი/მოხუცი ქალის დასაფლავებას დაესწრო მისი 82 პირდაპირი შთამომავალი. ბოსნიაში ამ რამოდენიმე ხნის წინად მოკვდა მალი ფრაკჩიჩი—126 წლის მოხუცი, რომელიც სიკვდილის დღეებამდე ლოთობდა. ინგლისში ხუთი წლის განმავლობაში მოკვდა 439 ასწლოვანი კაცი. პოლონეთში ამ რამოდენიმე ხნის წინად გარდაიცვალა ვინმე ფელდი, 129 წლის მოხუცი, რომელმაც სიკვდილამდე რამოდენიმე თვით ადრე თავისი ქორწინების 100 წ. თავი გადაიხადა. ფელდის ქვრივი 121 წლის არის.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

თბილისის შრომის ბირჟა დღეს 24 მაისს სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ: **კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან:** ლაზიშვილი და სიმონიანცი. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** კარმენ კალანდარიშვილი; ოლღა ნიჟარაძე; ი. ტრიაპაძე; არტემ ავთანდილოვი, კალანდარიშვილი; მეჭაუროვა და ოგანეს კაზამიროვი. **შავ მუშათა მესამე სექციიდან:** ალექსი ინაშვილი; მიხეილ ჰანტურიძე; აირაპეტიანი, სარქის ალავერდოვი; დავით ბახტაძე; ვარლამ კახიშვილი; სერგო ოქრუაშვილი; ერვანდ მირაქოვი; გლახო ჯეირანაშვილი; ხაინ პასტერნაკი, შოინ ცუხინი; სიმონ ასლანოვი; შალვა ლღუავა; ნიკოლოზ ალავერდაშვილი; არუთინ სერქისოვი; ანტონ გიორგობიანი; ბენიამინ წერაძე; შავენ ტარალოვი; არშაკ ნაზარიანი; სერგო შაპოვალოვი; სარგის ტაროიანი; გიორგი ხუნაშვილი; მკირტიჩ დიანი; იოსებ ხარებავა; არჩილ კურტანიძე; ილარიონ მგალობლიშვილი; გიორგი შელიქიშვილი; ვლადიმერ სარბილაძე; მოსე გაბატურიანი; პავლე აბულაძე; გრიგოლ ფურცელაძე; ივანე ხარიტონაშვილი; დავით ქარიაშვილი; აბდულ ალი-ზადე; სუსანა ცატუროვა; სუმბატ კოსტანოვი; გრიგოლ შიუკაევი; სტეფანე მაღალაშვილი, ოდონტე არუთინოვი; მოსე ბალათურია; ტევატ არუთინოვი; მოსაკ ატინიანი; ალექსანდრე გიორგელიძე; ალექსი ინაშვილი; ხაზარ საფაროვი; პლატონ წირღვავა; გარეგინ კარაპეტიანი; სავლე არუთინოვი; ამბარცუმ ალავერდოვი; სიმონ სიმონიანცი; კოსტა ბუაძე; პავლე ჩიხრაძე; იოსებ ავეტისოვი; ლევან უბნოევი; სერგო ტერიევი და პავლე ჩიხრაძე. **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** ლეონტიევი; სედრაკ პოლოსოვი; ხაჩატურიანი, ძელიტონიანი და ჩანგვიჩევი.

წერილი რედ. მიმართ

თბილისის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის პედაგოგიური საბჭო და მშობელთა წრე ულრმეს მადლობას უცხადებს ქვემოჩამოთვლილ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ტეხნიკუმის ღარიბ მსმენელთა სასარგებლოდ გამართულ საღამო-კონცერტში: ბ. ანაშვილს, დ. ბადრიძეს, ა. ბალანჩივაძეს, ნ. ბეჟანიშვილს, ნ. გოცირიძეს, ი. გრიშაშვილს, ლ. გვარამაძეს, ე. გოშაძეს, ო. დიმიტრიადის, ვ. ინგუროვს, მინდიაშვილს, ი. მჭედლიშვილს, ე. მირზაბეკოვას, ვ. ნავრუზიშვილს, მ. სუხიშვილს, კ. ურიცკაია-ბალანჩივაძისას, ი. ქურიშვილს, გ. ყორიაშვილს, ნ. ჭრელაშვილს, ვ. ხომაშურიძეს და კ. ჩივაძეს.

ტეხნიკუმის საბჭოს თავმჯდომარე
ინჟ. ვ. კაკაბაძე.
მშობელთა წრის წარმომადგენელი
სოფიო ხარაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 30—139

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1928 წლ. მაისის 21.

თანახმად ამიერ-კავკ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და ამიერ-კავკ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის მარტის 22-ს დადგენილებისა და ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ამა წლის მაისის 12-ს დადგენილებისა № 8, ვინაიდან საქართველოს ზოგიერთ სავაჭრო სამრეწველო და საკრედიტო ორგანიზაციები საკმარისად ვერ იყენებენ ამიერ-კავკ. საოლქო კანტორის „კრედიტბიუროს“, რომლის მიზანიცაა დაიცვას სახელმწიფოს თანხები, როგორც დებიტორების კრედიტუნარიანობის და გაუნაღდებელი სავალო დოკუმენტების განაღდების გამორკვევის მხრით ისე სატრანსპორტო დოკუმენტების (რკინის გზის ზედნადები, კონოსამენტები და სხვ.) შემოწმების მხრით, რითაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ სახელმწიფოს ინტერესებს,—ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში წინადადებას აძლევს ყველა სამეურნეო ორგანიზაციებს, რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან მტკიცედ იხელმძღვანელონ შემდეგი წესებით:

§ 1.

ა) საზოგადოება „ზაკკრედიტ-ბიუროს“-თან დაიჭირონ სააბონემენტო ურთიერთობა ორგანიზაციების კრედიტუნარიანობის შესახებ სათანადო ცნობების მისაღებად.

ბ) შეეკითხონ მას სახელმწიფო, სამეურნეო დაწესებულებათა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და კერძო პირთა კრედიტუნარიანობის შესახებ.

გ) აიკრძალონ კრედიტის გაცემა კერძო პირებისა, საწარმოებისა, პირველი საფეხურის კოოპერატიულ ამხანაგობათა, შინა-მრეწველობის სარეწაოებისა და ორგანიზაციებისათვის, უკეთუ წინასწარ არ იქნება შეკითხული „ზაკკრედიტ-ბიურო“ მათი კრედიტუნარიანობის შესახებ.

დ) გამოითხოვონ ცნობები გამოცხადებულ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთა კრედიტუნარიანობისა, კომერციული და საქმიანი მუშაობის ღირსება-ნაკლოვანობის შესახებ.

ე) აცნობონ „ზაკკრედიტ-ბიუროს“ ყოველი შემთხვევა კონტრაგენტების მიერ თავის ვალდებულებათა არა წესიერად და არა კეთილსინდისიერად შესრულებისა, თამასუქების გაპროტესტების და სხვ.

§ 2.

გამოიყენონ „ზაკკრედიტ-ბიუროს“ აპარატი გაუნაღდებელი სავალო პრეტენზიების (თამასუქებისა და სასამართლოს განაჩენის და სხვ.) განაღდებისათვის.

§ 3.

გადასცენ „ზაკკრედიტ-ბიუროს“ შესამოწმებლად სატრანსპორტო დოკუმენტები (ზედნადები, კონოსამენტი, რკინის გზის ქვითრები და სხვ.), რათა გამოირკვეველი იქნეს, რომ არ არის ზედმეტი თანხა გადახდევინებული, ვადა გადაცილებული და სხვა. რაიმე ზიანი მიყენებული, რომ ამის და მიხედვით თან სათანადო პრეტენზია წარუდგინოს სატრანსპორტო ორგანიზაციების სამეურნეო ორგანოების სასარგებლოდ.

ზოგიერთ სამეურნეო ორგანიზაციებში არსებული სატრანსპორტო უჯრედები და აგრეთვე აქამდე არსებული წესი ზედნადების გადაცემისა კერძო პირთათვის მათ შესამოწმებლად გაუქმებულ იქნეს.

დასასრულ ეცნობება ყველა სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომ მათი სამეურნეო საქმიანობის ანალიზის დროს ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მიერ მხედველობაში იქნება მიღებული ის გარემოება თუ რამდენად იქნა მათ მიერ გამოყენებული „ზაკკრედიტ-ბიუროს“ აპარატი მატერიალური ზარალის თავიდან ასაცილებლად.

§ 4.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმოადგენლებს აფხაზეთსა და აჭარისტანში ევალებათ გამოსცენ ანალოგიური დადგენილება რესპუბლიკანური მასშტაბით და მტკიცედ ადევნონ თვალყური მის ცხოვრებაში გატარებას.

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში—
სააკიანი.
საქმეთა მმართველი—ჰალანდაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 24 მაისს, საქართველოს კომ. პარ. (ბ) ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება **თათბირი უმაღლესი სასწავლებლების საკითხების შესახებ.**

თათბირზე აუცილებლად უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები.

ს. მამულია, კ. მეგრელიძე, (საქართველოს კომ. პარ. (ბ) ც. კ. საგიტ.-საპრ. განყ.), **დ. კანდელაკი** (განსახკომი), **ვ. კანდელაკი** (ამიერ-კავკ. კოოპერატიული კავშ.), **სულაქველიძე, სალუქვაძე, ს. ხუნდაძე** (სახ. უნივერსიტეტი), **ზახაროვი, სამოხვალოვი** (სახ. პოლიტ. ინსტიტუტი), **გეგენავა** (პროლეტ. სტუდ.), **არ. რუხაძე** (ქართული მუშფაკი), **სურხატიანი** (სომხური მუშფაკი), **ბუდილევი** (საქ. კომ. პარ. (ბ) თბ. კომ.), **მახათაძე** (ახ. ლ.კ.კ. ცეკა), **შ. დუდუჩავა** (სამხატვრო აკადემია), **არჩ. მიქაძე** (განათლების მუშ. კავშ.), **გულთიანი** (ამ.-კავკ. კომ. უნივერს.) და **პიახეცკი** (რუსული მუშფაკი).

დარისპან დონდუა თავისი ოჯახით მწუხარებით აცნობებს ნათესავებს და საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათი სიძე დამცველთა კოლეგიის წევრი

ბარნაბა მიხარბეგის ძე
ლოლაძე

დაკრძალვა მოხდება დღეს, 24 მაისს, საღამოს 4 ნახ. საათზე. 2447

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ცენტრ. პარტიული სკოლის კომპარტიის და კომ. კავშირის უჯრედი და სკოლის გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ხსენებულ სკოლის პირველი კურსის საუკეთესო კურსანტთაგანი

ამხ. გრიგოლ არჩილის-ძე ჯაჭვლიანი

1—1 (ზ)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ანეტა შვილებით—ლიუბა, დარეჯანა და კიკი, ძმა ნოე ცოლშვილით და დამენიკო ჩიჩუები აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფას და მუდამ დაუვიწყარ

თეოფილე ბეჟანის ძე ჩიჩუას

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი კვირას, 27 მაისს, 1 საათ. ვერის ახალ სასაფლაოზე. 2448

უზომოთ დამწუხრებულნი: მეუღლე ეკატერინე, შვილებით: ექიმი შალვა გიორგის ძე, ნინო, ბადრიძისა, ელიზბარ, თამარ, ქეთევან, ეთერი, ბიძაშვილი ვანო, რძალი ნინო, შვილიშვილები: თეიმურაზ, ოთარ შათირიშვილები, სიძე ალექსანდრე ბადრიძე, სიდედრი ნატო დონაძისა აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ მათთვის უსაზღვროთ საყვარელის და დიდი მომამაგის

გიორგი მოსეს ძე შათირიშვილის

გარდაცვალებას გასვენება ავლაბრის სასაფლაოზე (რკინის გზის გადაღმა) 27 მაისს 11 ნახ. საათ. ხარფუხიდან, იმირის შესახვევი. 2449

სახკინმრეწვის კინოები

მხატვრული სურათი „მეჟრაბპომ-რუს“-ის გამოშვება 1927/28 წლ.
აპოლო
არფასტო
მინიონი
მიწა ტყვეობაში
რეჟისორი—ფ. ა. ოცეპ (სურათ „მის მენდ“-ის დამდგმელი)
ოპერატორი—ლ. ფორესტიე.

პალასი (საზაფხულო) — საზაფხულო სეზონის გახსნა. ეკრანზე **სამი მუშკეტერი** დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით

სოლეი — სეზონის საუკეთესო სურათი **ორი ქმრის ცოლი** ესტერ გაზის მონაწილეობით. პროგრამის გარდა ხანძარი ქუთაისში

ოდეონი — მოზჟუხინი და ლისენკო სურათში **უკანასკნელი რიგი**

დარბაზი — მხატვრული სურათი **ლონდონის ნისლში**

პროლეტარი ავლაბარი — პერლ უაიტ სურათში **ვუ-ფანგის საიდუმლოება** (პარ ამურ)

ანონსი: მალე „სამანიშვილის დედინაცვალი“ დ. კლდიაშვილის ნაწარმოების მიხედვით 0—19

სამხედრო საფონდო ბიუროს (ВОЕНФОНДБЮРО) რწმუნებული

აცხადებს, რომ კვირას, ი|წ. 27 მაისს, ნავთლუღში, და ორშაბათს, 28 მაისს, არსენალის მთაზე ავტო-მანქანების, ავტო-ნაწილების და ტეხნიკური ქონების გარდა

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება აგრეთვე შემდეგი ქონება: ძრავი ბოლინდერ, 2 ცილ. 80 HP, ვიწრო ლიანდაგიანი გზის ლოკომოტივი „ბოლდვინ“, ელექტრო-ტეხნიკური ქონება (ძრავები, არმატურას დენწინაღები), შანცის ქონება (წერაქვები, ნაჯახები, სხვადასხვა დანიშნულების იარაღები) და სხ.

ვაჭრობა დაიწყება: 27 მაისს, დილის 10 საათიდან, 28 მაისს, დღის 2 საათიდან. ქონების დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დღეს 1 საათით ადრე ვაჭრობის დაწყებამდე. ბე—10 პროც., საწინდარი—პირვანდელი შეფასების რაოდენობით. ნ. 1132

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად და შრომის სკოლის ყველა ჯგუფებისათვის და საშუ. ტეხნიკუმში შესასვლელ გამოცდებისათვის და აგრეთვე ასწორებს სუსტ და ჩამორჩენილ მოწაფეებსაც. პლეხანოვის ქუჩა № 25. (შესავალი ჩერქეზიშვილის ქუჩ. № 5) ნახვა 8—10 ს. და 12—5 საათ. 2443 2—1

დღეს საზაფხულო კინო-თეატრ **პალასის გახსნა** (კაპიტალურ შეკეთების შემდეგ)

პირველად თბილისში

ეკრანზე საუკეთესო ფილმი ორ სერიათ **სამი მუშკეტერი** ორი სერია 16 ნაწილი ერთად

მთავარ როლებში: **დუგლას ფერბენქს ადოლფ მენჟუ ბარბარა ლა-მარ**

სურათს „სამი მუშკეტერი“ არაფერი საერთო არა აქვს თბილისში უკვე ნაჩვენებ ამავე სახელწოდების სურათთან. გაძლიერებული სიმფონიური ორკესტრი ნ. 1137

ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

აცხადებს, რომ 6 ივნისს, 1928 წელსა, დილის 11 საათზე, ადგილობრივ ქ. ქუთაისში ზედანივის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება გიორგი ანანიას-ძე ბაზაძის უფლება ერთ ნახევარ ნაწილზე ერთი სართულიანი ქვიტკირის სახლის № 91, რომელიც შეიცავს მთლად ექვს საცხოვრებელ ოთახს, შუშაბანდ-„პადიეზდს“ და ერთ თვალ სამზარეულოს. დახურულია კრამიტით. ვლადიმერ სალრიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 400 მანეთი, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. სახლი დაგირავებულია თბილისის კომუნალურ ბანკის ქუთაისის განყოფილებაში 500 მანეთ., ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპრ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 1136

ექიმი **ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**

ავადმყოფების მიღება ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 დათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დილის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.

საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქ. კუთხე.

თბილისის მუშკოოპის საორგანიზაციო განყოფილება

აცნობებს თავის წევრებს, რომლებსაც დღემდე აქვთ ხელზე დეფიციტურ საქონელზე გაცემული ნებართვები, რომ **ვადა ორდერებისა** თეთრეულის საქონელზე **იხაზდება 25 მაისამდე და ზალეულზედ კი 26-და,** რის შემდეგაც ორდერები ჩაითვლება გაბათილებულათ და საქონელი გაყიდულ იქნება სხვა წევრებზე.

ნ. 1138 მუშკოოპის გამგეობა.

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 სალ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები:

ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

საქართველოს კომუნალური ბანკის ახალსენაკის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე-37-ე მუხლის თანახმად 1928 წლის **10 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, განყოფილების ბინაზე (ახალსენაკი, ლენინის ქუჩა).**

საჯარო ვაჭრობის

წესით გაყიდულ იქნება ქალ. ფოთში და ახალსენაკში მდებარე სახლები

იმ მესხებელთა, რომელთაც სავადო გადასახადთა შემოტანა ორ თვეზე მეტად დააგვიანეს

ქალ. ფოთში.

1. **სამსონ იგივე ალექსანდრე გვადას-ძე გიგიბერიების ობლები:** ზინაიდა, კლეოპატრა და კლავდია. (პროლეტარის ქუჩა № 31, თავნი ვალი 160 მან. 96 კაპ.
2. **კვირკველია თეოფანე თეიმურაზის-ძე** მარქსის ქუჩა № 30, თავნი ვალი მან. 212—08 კაპ.
3. **ანდღულაძე მიხეილ გიორგის-ძე** სტალინის ქუჩა № 13, თავნი ვალი 211—08 კ.
4. **მელიქია თეოფი კოსტას-ძე** რაჭის ქ. № 2, თავნი ვალი მან. 200—68 კ. სავადო გადასახადი 83 მ. 25 კ.
5. **ჩხარტიშვილი ილიკო ნიკოლოზის-ძე** გურიის ქუჩა № 74, თავნი ვალი მან. 428—29 კ.
6. **ელიგულაშვილი გაბრიელ მოსეს-ძე** ნინოშვილის ქ. № 19, თავნი ვალი მან. 706—44 კ.
7. **ხუციშვილი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე** საბაჟოს ქ. № 1, თავნი ვალი მან. 291—07 კ.
8. **კვანტალიანი მიტროფანე დავითის-ძე** ნიკოლაძის ქ. № 123, თავნი ვალი 439 მან. 14 კ. სავადო შემოსატანი 73 მ. 88 კ.
9. **ჩიქვანაია მარკოზი კოსტას-ძე** როზა ლიუქსენბურგის ქ. № 7, თავნი ვალი 90 მ. 47 კ. სავადო შემოსატანი 71 მ. 76 კ.
10. **კილაძე დათიკო იგივე დავით ამბაკოს-ძე** საშაწულუკიძის ქ. № 54, თავნი ვალი 87 მ. 38 კ.
11. **თურქია გიორგი და იოსებ ათანასეს-ძე** გურიის ქუჩა № 94, თავნი ვალი მან. 259—07 კ.
12. **ტულუში დარისპან იოსებ-ძე** გურიის ქუჩა, თავნი ვალი 156 მ. 45 კ.
13. **არზიანი დავით ლომიკას-ძე** ნაბადას ქ. № 101, თავნი ვალი 132—75 კ.
14. **დოლბაია იასონ კონსტანტინეს-ძე** ყულევის ქუჩა, თავნი ვალი 121 მ. 68 კ. სავადო შემოსატანი 173 მ. 39 კაპ.
15. **ზურჭულაძე ამბაკო ბიჭიას-ძე** ლუნაჩარსკის ქუჩა № 1, თავნი ვალი 191 მ. 37 კ. სავადო შემოსატანი 387 მ. 19 კ.
16. **დოლბაია ანდრო სიმონის-ძე** ნაბადა ყულევს ქუჩა № 73, თავნი ვალი 97 მ. 12 კ.
17. **ბახუშვილი იოსებ დავითის-ძე** ნინოშვილის ქუჩა № 61, თავნი ვალი 92 მ. 15 კ. სავადო გადასახადი 179 მ. 74 კ.
18. **მესხი კონდრატე იგივე კონსტანტინე სოლომონის-ძე** ლენინის პროსპ. № 48, თავნი ვალი 143 მ. 64 კ. სავადო შემოსატანი 295 მ. 24 კ.
19. **ხავთასი მიხეილ პორფილეს-ძე** ნიკოლაძის ქუჩა № 98, თავნი ვალი 62 მ. 10 კ. სავადო შემოსატანი 53 მ. 56 კ.
20. **სანაია ბესარიონი ზალიკას-ძე** 1-ლი ქალადიდის ქუჩა, თავნი ვალი 75 მ. 18 კ., სავადო შემოსატანი 32 მ. 76 კაპ.
21. **ქავთარაძე იონა ანდრიას-ძე** ილიას ქუჩა № 3, თავნი ვალი 83—40 კ., სავადო შემოსატანი 332 მ. 01 კ.

ქ. ახალ-სენაკში

1. **ძიგუა აპოლონი ლუკას-ძე** ჟორჟიაშვილის ქუჩა № 3, თავნი ვალი 558 მ. 47 კ.
2. **გუგუნავა ვარლამ ნიტუს-ძე** მცხეთის ქუჩა, თავნი ვალი 110 მ. 57 კ., სავადო შემოსატანი 54 მ. 15 კ.
3. **გვაძაბია გრიგოლი ბუხუს-ძე** რუსთაველის ქუჩა, თავნი ვალი 403 მ. 90 კ., სავადო შემოსატანი 112 მ. 49 კაპ.

სავადო გადასახადის თანხებს მიემატება სახლებზე ვაჭრობის დღისათვის დარიცხული სახელმწიფო და ქალაქის ყველა გადასახადები.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს კომუნალურ ბანკის სენაკის განყოფილებაში. ნ. 1138

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10 სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივი (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღე 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—სალ. 7 აათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

თანახმად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა,
ამა წლის 20 ივნისს შესდგება
უკანასკნელი
და საბოლოო

საგამოცდო სესია იმ პირთა გამოსაცდელად, ვისაც სურს მიიღოს: 1) კბილის ექიმის წოდება, 2) კბილის ტეხნიკოსის წოდება.

მსურველმა წერილობითი განცხადება სათანადო საბუთებით უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 15 ივნისისა, საგამოცდო სესიის თავმჯდომარის სახელზე, შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 126 სტომატოლოგიური კლინიკა. იქვე შეიძლება დაწვრილებით ცნობების მიღება. 13—1

ა. ვ. მიქ`ბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ●●●
●●● ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ქუთაისის მე-3 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ ის 8 ივნისს, 1928 წ. დღის 11 საათზე, სახლში № 26, ქ. ქუთაისში, რუბინიძის ქუჩაზედ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ივანე ზუბიევის ქონებას: შკაფს, სტოლს, სტოლსაფარს და სხ. შეფ. სულ 85 მანეთად, ილიკო ძოწენიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთაისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 11 მაისს, 1928 წ. თარიღით, № 1937 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1136

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—სალ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

დაკარგა: პროფესიონალური კავშირის წიგნაკი № 298 ბესარიონ ივანეს ძე ყაურიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2445

დაკარგა: მუშკოპის წიგნაკი № 36164 ალექსანდრე ზალდასტანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2444

დაკარგა: დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 2599 გიურქ იოსების ძე გოზალოვის სახელზე, ჩ. გ. 2444

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64